# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 სექტემბერი პარასკევი 2012 №224 (13 830) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ძლიერ კლუბებში ნაკრების გზით

გვყავს ახალგაზრდა ტალანტები, რომლებსაც ძლიერ ევროპულ კლუბებში მოხვედრის ამბიცია აქვთ. მათ კარგად ესმით, რომ ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენა საამისოდ ყველაზე რეალური გზაა. ყოველივე ამას პატრიოტიზმი ემატება, გაორმაგებული მოტივაციით კი ძალიან ბევრი რამის მიღწევაა შესაძლებელი".

2




# ევროპალიგამ ფეხი აიდგა

5



# ესპანელები: თქვენი ლორია ქართველია?

## ქართულ-ბასკური საფეხბურთო პარალელები







4



13

# დიდებულიძე საფრანგეთში ცნობილი მწვრთნელია

ინტერვიუ შალვა სუთიაშვილთან

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ნაკრები ფიფას თვალით



# ქართული პოტენციალი და ამბიცია

**საქართველოს ნაკრებსა და მის ბოლოდროინდელ ასპარეზობას ფიფას ოფიციალურმა ვებგვერდმა სტატია მიუძღვნა, რომლის ნაკითხვაც ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს.**

რამდენიმე დღის წინ მთელი საფეხბურთო სამყარო თვალს ადევნებდა მატჩს, სადაც საქართველოს ნაკრები მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთს გმირულად უძალიანდებოდა და მხოლოდ 86-ე წუთზე მიღებული გოლით დამარცხდა. დამარცხდა, მაგრამ **თემურ ქეცბაიას** გუნდმა ყველას დაუმტკიცა, რომ ამიერიდან ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენს.

ფაქტია, რომ ქვეყანაში, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ფეხბურთი წინ მიდის. ამაზე ფიფას სანაკრებო რეიტინგიც მოწმობს, სადაც საქართველოს ნაკრები 11 საფეხურით ალზევდა და დღეს 86-ეა. მართალია, ეს გუნდი ჯერ ძალიან შორსაა საუკეთესო შედეგისგან, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, არც იქამდე მისვლაა შეუძლებელი. საქართველოს ნაკრებს კი ფიფას რეიტინგში საუკეთესო მაჩვენებელი 14 წლის წინ ჰქონდა – 42-ე ადგილი.

fifa.com-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში თემურ ქეცბაიამ საქართველოს ნაკრების წინსვლის მიზეზი ასე ახსნა: *"გვყავს ახალგაზრდა ტალანტები, რომლებსაც ძლიერ ევროპულ კლუბებში მოხვედრის ამბიცია აქვთ. მათ კარგად ესმით, რომ ეროვნულ ნაკრებში თავის გამოჩენა საამისოდ ყველაზე რეალური გზაა. ყოველივე ამას პატრიოტიზმი ემატება, გაორმაგებული მოტივაციით კი ძალიან ბევრი რამის მიღწევაა შესაძლებელი"*.

ამ ახალგაზრდებისთვის კი ყველაზე კარგი მაგალითი თავად ქეცბაიაა. მან საქართველოს ნაკრებში 49 მატჩი ჩაატარა და 16 გოლი გაიტანა. ამის დამსახურებაც არის, რომ შთამბეჭდავი საკლუბო კარიერა გაიკეთა. ქეცბაიას უთამაშია კვიპროსულ "ანორთოსისში", ბერძნულ აეკ-ში, ინგლისურ "ნიუკასლსა" და "ვულვერჰემპტონში", შოტლანდიურ "დანდიში". ამის შემდეგ მან სამწვრთნელო საქმეშიც გამოიჩინა თავი და "ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა, რის შემდეგაც მცირე ხნით ბერძნულ "ოლიმპიაკოსში" ითამაშა. მოკლედ, 44 წლის ქეცბაიამ კარგად იცის, რასაც ლაპარაკობს.

ბელარუსთან 1:0 გამარჯვებამ საქართველოს ნაკრების რეიტინგული წინსვლა განაპირობა. *"ჩემს გუნდს უკვე აქვს თავისი სახე. მან იცის, თუ რისთვის იბრძვის და რა აკეთოს. ბიჭებმა იციან, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ ქვეყნისა და ქართველი ხალხისთვის. რაც მთავარია, ჩვენ დამოკიდებულები ვართ არა ცალკეულ ფეხბურთელებზე, არამედ გუნდზე"*, - ამბობს ქეცბაია.

საქართველოში 4,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ფეხბურთი ნომერი პირველი სპორტია.

*"საქართველოში ფეხბურთი მეტიც კი არის, ვიდრე სპორტი. აქ ძალიან ბევრი ისეთი ადამიანია, რომელიც ფეხბურთით ცხოვრობს. სამწუხაროდ, წინა წლებში საქართველოს ნაკრები არ იყო წარმატებული გუნდი. არადა, აქ ხალხი ფეხბურთზე უზომოდაა შეყვარებული და იმაზე ოცნებობს, რომ თავისი ნაკრები ევროპის ან მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იხილოს"*, - ეს კვლავ ქეცბაიას სიტყვებია.

**ჯაბა კანკავასა** და კომპანიისთვის მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატისკენ მიმავალი გზა ძალიან რთულია. საქართველოს ნაკრები ხომ უმძიმეს ჯგუფში მოხვდა და მეტოქეებად ესპანეთი, საფრანგეთი, ბელარუსი და ფინეთი ჰყავს. ქეცბაიამ იცის, რომ გიგანტებთან ტოლსწორად ბრძოლა მის გუნდს გაუჭირდება: *"ძნელია იმ გუნდის შანსებზე საუბარი, რომელსაც თავისი საბოლოო სახე ჯერ არ მიუღია, მაგრამ საქართველოს ნაკრებს აქვს საიმისო პოტენციალი, რომ უახლოეს მომავალში დიდი ხნის ნანატრ მიზნებს მიაღწიოს"*.

ქეცბაიას რეალურად მიაჩნია ევროპის 2016 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა და მისი გუნდის პროგრესს თუ გავითვალისწინებთ, ეს მიუღწეველი ამოცანა სულაც არ უნდა იყოს.

მოამზადა
**ლევან ჯანეზაშვილმა**

ფუტსალი

# ჩემპიონატში ცვლილებაა: სეზონი 27 სექტემბერს გაიხსნება

"ლელო" წერდა, რომ 23 სექტმებერს ფუტსალში საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო. თუმცა, გეგმებში ცვლილებებია.

*"ჩემპიონატი 27 სექტემბერს დაიწყება, კენჭისყრა კი 24 სექტემბერს გაიმართება. მონაწილეობას 7 კლუბი მიიღებს - "იბერია სტარი", თსუ, "იმერეთი" (ქუთაისი), "სოკარი", "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია", სტუ -თელასი, "თელავი". ტურნირი 4 წრედ ჩატარდება.*

*გადაწყდა, რომ ამიერიდან ჩემპიონატის სპონსორები იქნებიან "იბერია ბიზნეს ჯგუფი", "აჭარაბეთი" და "ბორჯომი", რაც ასოციაციის პრეზიდენტის, ლევან ცქიტიშვილის დამსახურებაა.. სპონსორები სწორედ მან მოიზიდა.*

*მსაჯებს რაც შეეხება, ტურნირს ფიფას ფუტსალის მსაჯები მოემსახურებიან. ფუტსალის ასოციაციას გვერდში უდგას მსაჯი მამუკა ურუშაძეც და თამაშებს ისიც განსჯის"* – გვითხრა ფუტსალის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა**.

ფუტსალში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** ეროვნული ნაკრების კანდიდატები დაასახელა, რომლებიც ოქტომბერში პორტუგალიასთან საკონტროლო მატჩისთვის მოემზადებიან.

მეკარეები: **ზაქაიძე (თსუ), გაბუჩია ("თელასი"), ჯამბურია ("იბერია სტარი"), კეფაშვილი ("თელასი");**

მოთამაშეები: **ასათიანი, ბოკერია, კუბლაშვილი, ცნობილაძე, ცხომარია, შელეგია, ხოსრუაშვილი, სოზაშვილი ("თელასი"), კაკაბაძე, თოფურია, ჭანუყვაძე, ბობოხიძე, ჯაფარიძე, ლუკავა, კობაიძე (თსუ), ჯვარაშვილი, ალთუნაშვილი, ძაბირაძე ("იბერია სტარი"), მაყაშვილი, შერმადინი, ლუკავა, ტიკურიშვილი ("სოკარი").**

ავთანდილ ასათიანი და მისი თანაშემწე **ბესო არველაძე** ეროვნული ნაკრების კანდიდატებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში შეხვდნენ. გასაგები მიზეზის გამო, თბილისში ჩამოსვლა და შეხვედრაზე დასწრება ვერ მოახერხეს ლეგიონერებმა – ბაქოს "ნეფთჩის" მოთამაშეებმა **მაისაიამ** და **სებისკვერაძემ**, აგრეთვე კვიპროსის "ომონიას" ლიდერებმა, **დევდარიანმა** და **თოთლაძემ**.

*"სანაკრებო თემას შევეხეთ და გეტყვით, რომ ოქტომბრის ბოლოს თბილისში დანიასთან ორი ამხანაგური შეხვედრა უნდა გამართულიყო, მაგრამ ბოლო მომენტში გამოგვიგზავნეს წერილი, რომ ბილეთები ეძვირათ. ასე რომ, ოქტომბერში პორტუგალიასთან მატჩებით შემოვიფარგლებით.*

*აქვე ვიტყვი, რომ ძალიან თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა უელსის ფედერაციასთან, რომელმაც ფუტსალის ორგანიზაცია ახლა ჩამოაყალიბა. ურთიერთობა ცნობილ უელსელ მეკარე ნევილ საუტჰოლთანაც მაქვს, რომელსაც კარდიფში დიდი ავტორიტეტი აქვს და ამხანაგურ შეხვედრებზე დახმარება აღმითქვა"*- ამბობს კვიციანი.

**მერაბ მამულაშვილი**

თვალსაზრისი

# ორად გაყოფილი გული

**საინტერესო ფეხბურთელები, რომელთაც აქეთურ-იქეთური კარიერა და ცხოვრება ჰქონდათ- საქართველოს ჩემპიონატში სპექტრი ფართოა და ასეთებიც არიან.**

**დავით ოდიკაძე** 31 წლის გახლავთ და ახლა საჩხერის "ჩიხურაში" თამაშობს. "ჩიხურა" საამსეზონოდ გადმოვიდა პირველი ლიგიდან და უკვე ლიდერებშია, ქუთაისის "ტორპედო" და თბილისის "დინამოს" მსგავსად ხუთი ტურის შემდეგ 12 ქულა აქვს.

იყო დრო, ოდიკაძეს საქართველოს ეროვნულ ნაკრებში რომ იწვევდნენ. ის მარჯვენაფლანგელია, გარღვევა და ჩაწოდება რომ ეხერხება. არაერთ ქართულ კლუბში უთამაშია, 2003-04 წლების სეზონში ის ერთობ სიმპათიურ "თბილისში" გამოდიოდა და ალბათ იქ ჩაატარა კიდეც ყველაზე გამორჩეული სეზონი.

უნგრული "დიორი", ბაქოს "ინტერი", თბილისის "დინამო" და ახლა "ჩიხურა" - ეს მხოლოდ ბოლო ფრაგმენტია ამ ფეხბურთელის კარიერიდან, მანამდეც აქეთ-იქით უწევდა გადასვლა. ყველაზე უფრო კი ხელი იმან შეუშალა, რომ პირად ცხოვრებაში მომხდარი უსიამოვნების გამო რამდენიმე წელი იძულებით იუქმა.

მიმდინარე ჩემპიონატის წინა ტურში "ჩიხურამ" შინ "სიონი" 2:1 დაამარცხა და ორივე გოლი ოდიკაძემ გაიტანა პენალტით.

*"ღმერთმა დამიფაროს და, სანამ 11-მეტრიანს არ გავაფუჭებ, გუნდში პენალტისტი მე ვიქნები. თუმცა ჩვენთან ისეა, რომ 11- მეტრიანს ის ასრულებს, ვინც ამისთვის ყველაზე კარგად არის მზად. "სიონთან" ვგრძნობდი, რომ გავიტანდი და ორიჯერვე მე დავარტყი. რაც შეეხება იმას, ველოდი თუ არა პირველი ლიგიდან ალზევებული "ჩიხურას" ლიდერებში ყოფნას, ამის მოლოდინი რომ არ მქონოდა, ამ გუნდში არც გადმოვიდოდი"* - გვითხრა ოდიკაძემ.

"ჩიხურამდე" ის "დინამოს" ფეხბურთელი იყო და ისიც ვკითხეთ, თუ რატომ მოუწია საქართველოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდიდან წამოსვლამ.

*"არ უნდოდათ ჩემი "დინამოში" ყოფნა, კერძოდ ვის, არ ვიცი. ახალ მწვრთნელს ნანახიც არ ვყავდი, ისე მითხრეს ამის შესახებ. "ჩიხურაში" იჯარით ვარ და "დინამოს" წინააღმდეგ თამაშის უფლება არ მაქვს"* - განგვიმარტა მან.

"ჩიხურას" თემა საინტერესო გახდა, **სოსო ფრუიძის** გუნდი მოწინავეთა შორის ალმოჩნდა. მაინც, რა ხდება საჩხერეში, რარიგ უყვართ და ზრუნავენ იქ ფეხბურთზე?

*"ჩვენს განკარგულებაში ორი მოედანია, ხელოვნურსაფრიანი და მინდორი. უამინდობის დროს ხელოვნურზე ვვარჯიშობთ. საკმაოდ კარგი სასტუმროც არის საჩხერეში. ვინც ოჯახით არის ჩამოსული, ისინიც ნაქირავებში ცხოვრობენ. ყველაფერი ნორმალურადაა, ფეხბურთელები აქ გაძლებაზე ნამდვილად არ ვართ. საჩხერეში ცხოვრება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს"* - ირწმუნება ოდიკაძე.

ფეხბურთი გულშემატკივრისთვისაა, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გულის ფეთქვაც ყველაზე მეტად პერიფერიებში იგრძნობა, სადაც უფრო უყვართ ჩვენი ჩემპიონატი, ვიდრე დედაქალაქში. საჩხერეს დიდი საფეხბურთო ტრადიციები ჯერ არ აქვს, თუმცა თუ ასე გააგრძელებს, ვინძლო ახალი, მძლავრი საფეხბურთო კერაც შეემატოს საქართველოს.

*"მინდორი საჩხერესთან ახლოს, ივანწმინდაშია, სტადიონზე დამონტაჟებული ტრუბუნა 600 მაყურებელს იტევს, ამიტომაც არცთუ ცოტა გულშემატკივარს ფეხზე დგომა უწევს. სტადიონის გაფართოებას აპირებენ და ვნახოთ, რა როგორ იქნება. საჩხერეში ხელოვნურსაფრიანი მოედანი რომ გვაქვს, იმ სტადიონის ტევადობა მეტია, მაგრამ მინდორზე თამაში გვირჩევნია. მომდევნო საშინაო შეხვედრა ჩემპიონატში "დინამოსთან" გვაქვს და ჩემი გულიც ორად გაიყოფა: თუ წავაგებთ ან მოვიგებთ, კიდევაც მეწყინება და კიდევაც გამიხარდება"* - ამბობს ოდიკაძე.

მაინც, როგორ ფეხბურთს თამაშობს "ჩიხურა"? აქვს კი გუნდს უკვე საკუთარი სახე?

*"თამაშის სტილი იმისდა მიხედვით ირჩევა, თუ რომელ მეტოქეს ვეთამაშებით. რაც შეეხება ერთადერთ წაგებას ამ სეზონში, "მერანთან" მარცხს ცუდ მინდორს ვერ დავაბრალებ, მოედანი ორივე გუნდსითვის ერთი და იგივე იყო, მერანელებმა იბრძოლეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს."*

საჩხერული გუნდი კარგი კონტინგენტით არის დაკომპლექტებული, გამოცდილება დიდად განაპირობებს "ჩიხურას" ძალას და პირველ რიგში, ალბათ, ამის ხარჯზეც არის ლიდერებში. ახალგაზრდული ნაკრების წინა შეკრებაზე კი **ალექსანდრე ჩივაძემ** ერთბაშად ოთხი



ფეხბურთელი გამოიძახა, **დავით კირკიტაძე** მეორე ტაიმში შეუშვა ესტონეთთან და საჩხერელმა გარემარბმაც რამდენჯერმე გაამწვავა თამაში.

*"საკმაოდ კარგი გუნდი ითქმის "ჩიხურაზე". სომხიშვილი, მე და დილმელაშვილი "დინამოში" ყოფნისას საქართველოს ჩემპიონები გავხდით, "ტორპედოდან" გოცირიძეც დავიმატეთ, "ჩიხურაში" მოვიდა გამოცდილი მცველი საჯაიაც, კიდევ გვყავს გუშარაშვილი, ლაშა ჭელიძე... არიან ნიჭიერი ახალგაზრდებიც: კირკიტაძე, ქიმაძე... მოკლედ, კარგი შერწყმა გამოდის გამოცდილი და ახალგაზრდა ფეხბურთელების. ასეთი შემადგენლობით სავსებით შესაძლებელია, რომ კონკურენცია გავუწიოთ ჩვენს ჩემპიონატში ფავორიტებად მიჩნეულ გუნდებს"*.

როგორც უნდა იყოს, "ჩიხურას" ლიდერად დამკვიდრებისთვის ჯერ გასავლელი აქვს გზა. იშვიათად, რომ წარმატება მალე მოვიდეს იმ გუნდისთვის, რომელიც ახალი გადმოსულია უმაღლეს ლიგაში.

*"ამ სეზონში ჩვენი მიზანი ექვსეულში შესვლაა. ევროსაგზურის მოპოვებას რაც შეეხება, ჯერ ორი თვის გუნდი ვართ. რაც ყველაზე მთავარია, სწორი გზით მივდივართ და ამ სეზონში თუ არა, "ჩიხურა" მაინც მალე მოხვდება ევროსარბიელზე"* - ასე მიაჩნია ოდიკაძეს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# დიმიტრი სანაკოევი: საუკეთესო თავდაცვა თავდასხმაა

## სპარტაკის ხაშურში გადასვლა რეგიონს გამოაცოცხლებს

**შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალის "სპარტაკის" პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი ფეხბურთით ცხოვრობს – იგი სისტემატურად ესწრება არა მარტო საკუთარი კლუბის, არამედ სხვა მატჩებსაც. სანაკოევს "სპარტაკის" ამჟამინდელ მდგომარეობასა და კლუბის სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ.**



**- ისე მოხდა, რომ ცხინვალის „სპარტაკი" პირველ ლიგაში ასპარეზობს და საკმაოდ წარმატებულად. კმაყოფილი ხართ?**

- გასულ სეზონში ბოლომდე შევეცადეთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას, მაგრამ, ვერ შევძელით და პირველ ლიგაში დავქვეითდით. ასაკოვანმა და გამოცდილმა ფეხბურთელებმა დაგვტოვეს. ძველი გუნდის ბირთვიდან გუნდის კაპიტანი თეიმურაზ შონია, 2-3 გამოცდილი და რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი შევინარჩუნეთ. უმაღლეს ლიგაში ნაცადი ზვიად მეტრეველი დავიმატეთ. პერსპექტიული ახალგაზრდები შემოვიკრიბეთ, ამ კონტინგენტით სახეცვლილი გუნდი ჩამოვაყალიბეთ და პირველ ლიგაში ასპარეზობას შევუდექით. ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა. მჯერა, ამ ახალგაზრდული კრებულის ძლიერ გუნდად ჩამოსაყალიბებლად პირველ ლიგაში ასპარეზობა დიდად წაგვადგება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მოლოდინი გამართლდა. ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებმა პირველ ლიგაში კარგად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. საწყის 4 ტურში ყველა მატჩი მოვიგეთ, მხოლოდ ერთი გოლი მივიღეთ, 11 კი გავიტანეთ და ცხრილს სათავეში მოვექეცით. ჩვენი მიზანია არსებული კონტინგენტით ძლიერი გუნდი ჩამოვაყალიბოთ. მჯერა, სწორ გზაზე ვდგავართ და ჩვენს ჩანაფიქრს განვახორციელებთ.

**- უშუალო კონკურენტებად ვის მიიჩნევთ?**

- ცხრილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უმთავრესი კონკურენტი ხობის "კოლხეთია". თუმცა, უმაღლეს ლიგაში აღზევებისთვის, თბილისის "ლოკომოტივი", ქობულეთის "შუქურა", "სამტრედია" და ალბათ სხვა გუნდებიც იბრძოლებენ. ჯანსაღ კონკურენციას ყოველთვის მივესალმები. ნიჭიერი ახალბედები სწორედ ამ გარემოში ყალიბდებიან კარგ ფეხბურთელებად.

**- პირველ ლიგაში დაქვეითებით მეორე გუნდის ყოლის აუცილებლობა აღარ იყო, მაგრამ თქვენი კლუბი კვლავ ორი გუნდით ასპარეზობს...**

- კარგი იქნებოდა, უმაღლესში დავრჩენილიყავით - მთავარი გუნდის გარდა, დუბლებიც გვეყოლებოდა და ჭაბუკთა ასაკობრივ გუნდებსაც შევინარჩუნებდით. მეორე გუნდის არსებობა აუცილებლად ჩავთვალეთ და "სპარტაკი-2" თბილისის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით მიმდინარე მეორე ლიგაში ასპარეზობს. მეორე გუნდში 1996-97 წლებში დაბადებული ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს, საიდანაც შევსებას მივიღებთ. ამას გარდა, გორში ჩვენი საფეხბურთო სკოლა ფუნქციონირებს და მომავალ თაობას იქაც ვზრდით. უმაღლეს ლიგაში რომ დავბრუნდებით, დუბლებიც გვეყოლება და ჭაბუკთა ორი ასაკობრივი გუნდიც.

**- კლუბის ფინანსური მდგომარეობა როგორია?**

- ნორმალური. ფეხბურთელები და კლუბის ყველა წევრი გასამრჯელოს დროულად იღებს და ამ მხრივ პრობლემა არ გვაქვს. ფეხბურთელებს ყველა პირობა აქვთ ზრდა-განვითარებისა და შედეგიანი ასპარეზობისთვის.

**- ბევრჯერ ითქვა და დაიწერა ხაშურის სტადიონზე, სადაც რეკონსტრუქციის შემდეგ „სპარტაკი" საშინაო მატჩებს გამართავს...**

- დიახ, ხაშურის არენა ქართული ფეხბურთის განვითარების პროგრამაშია ჩასმული და რეკონსტრუქციის შემდეგ ჩვენს საფეხბურთო ინფრასტრუქტურას კიდევ ერთი კოხტა არენა შეემატება. ჩვენ გვინდა ამ რეგიონში ფეხბურთის განვითარებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. "სპარტაკის" ხაშურში გადასვლა რეგიონს გამოაცოცხლებს, ადგილობრივი ნიჭიერი მოთამაშეების კარგ ფეხბურთელებად ჩამოყალიბებას დაუდებს სათავეს.

**- უმაღლესი ლიგის მატჩებზეც ხშირად გხედავთ. ფეხბურთი უზომოდ გიყვართ და ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზეც საკუთარი შეხედულება გაქვთ...**

- კრიტიკულობა ნამდვილად არ მაკლია, მაგრამ, როცა საქმე კეთდება, ამასაც კარგად ვხედავ. ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ ხელისუფლება და ფეხბურთის ფედერაცია ბევრს აკეთებს ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის. ამ ბოლო ხანს, მასშტაბურად მიეხედა ინფრასტრუქტურას და ეს პროექტი კვლავაც გრძელდება. ეროვნულ ჩემპიონატში უკვე არის საპრიზო ფონდი, მსაჯების ანაზღაურება საგრძნობლად გაიზარდა და მსაჯობაც აშკარად გამოსწორდა... ჩვენი ფეხბურთისთვის სხვა მნიშვნელოვანი პროექტებიც ხორციელდება და მჯერა, ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. პროგრესია უმაღლეს ლიგაშიც. გორის "დილას" სახით კიდევ ერთი ძლიერი გუნდი შეემატა ჩვენს ფეხბურთს. მჯერა, მალე მოვა დრო და ქართული გუნდი ევროტურნირების ჯგუფურ რაუნდში იასპარეზებს... უმაღლეს ლიგას თავი რომ დავანებოთ, პირველ ლიგას უკვე ტექნიკური სპონსორი ჰყავს, გერმანული კომპანია "სალერი", რომელმაც პირველი ლიგის 24-ივე გუნდს ეკიპირება დაურიგა. ხვალ-ზეგ ეს პოზიტივი კიდევ უფრო მეტად საგრძნობი იქნება.

**- ეროვნული ნაკრების მატჩებს სისტემატურად ესწრებით. მსოფლიოსა და ევროპის მოქმედ ჩემპიონ ესპანეთთან მატჩს თუ დაესწარით და რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ეროვნულის კი არა, ახალგაზრდული ნაკრების საშინაო მატჩებსაც სისტემატურად ვესწრები. რა თქმა უნდა, ჩვენი ნაკრების ორივე მატჩზე ვიყავი, ბელარუსთანაც და ესპანეთთანაც. ესპანეთის ნაკრები მსოფლიოში უძლიერესია და მათ წინააღმდეგ ჩვენი ბიჭების თავდადებით კმაყოფილი დავრჩი. ჩვენმა გუნდმა ღირსეულად იბრძოლა. სათამაშო დისციპლინისა და სწორი თამაშის ხარჯზე, ესპანეთის ნაკრებსა და ალბათ საფეხბურთო მსოფლიოს, ჩვენმა ნაკრებმა თავი დაამახსოვრა. თუმცა, საბოლოოდ კლასმა თავისი გაიტანა და მინიმალურად დავმარცხდით. კარგი იქნებოდა, ეს თამაში არ წაგვეგო და მსოფლიო ფეხბურთისთვის სენსაცია შეგვეთავაზებინა, მაგრამ, ასე არ მოხდა. მართალია, წავაგეთ, მაგრამ, მართალი გითხრათ, ამით ამაყი ვიყავი. ამისულაშვილს ის რეალური მომენტი გოლად რომ ექცია, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, ალბათ არც წავაგებდით. ძალიან მინდა ისეთი გუნდი იყოს საქართველოს ნაკრები, რომ ნებისმიერი გუნდის წინააღმდეგ შემტევი ფეხბურთი აჩვენოს...

**- როგორც ჩანს, შემტევი ფეხბურთი გხიბლავთ...**

- დიახ, ასეა, ბავშვობიდან შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ. ახლაც, სისტემატურად ვთამაშობ ფეხბურთს და ჩემი შეკრებილი გუნდი ყოველთვის შემტევ სტილში თამაშობს. შემტევი ფეხბურთი შემოქმედებითი, სანახაობრივი და დინამიკურია და ბევრად მირჩევნია დაცვით სტილს. სხვა თუ არაფერი, თავდაცვის საუკეთესო საშუალება სწორედ რომ შეტევაა.

ჭაბუკობაში ჩემი კერპი დავით ყიფიანი იყო. საბჭოური ჩემპიონატის სხვა გუნდებიდან კი— ბესონოვი და ზავაროვი. დღევანდელი ჩვენი მოთამაშეებიდან მეკარე ლორიასა და ოქრიაშვილს გამოვარჩევდი, "დინამოდან" მომწონს დვალი. თანამედროვე ფეხბურთში, ქართული გუნდების გარდა, "ბარსელონას" გულშემატკივარი ვარ, ინიესტასა და მესის თამაში ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს XXIV ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# საინტერესო პერსონები

**დაპირებისამებრ, დღეს პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდების ფეხბურთელებზე ვისაუბრებთ. „ლელოს" გუშინდელ ნომერშიც გაუწყეთ, რომ 2012-13 წლების სეზონის პირველი ლიგის გათამაშებაში ჩვეюი მასშტაბით ცნობილი მწვრთნელების გარდა, არაერთი საინტერესო ფეხბურთელიც ასპარეზობს.**

## A ჯგუფი

გასაკვირი ის იქნებოდა, „გაგრას" არჩეული გეზისთვის რომ ეღალატა: კლუბის დამაარსებლისა და პრეზიდენტის, **ბესო ჩიხრაძის** გუნდი ხომ ტალანტების სამჭედლოდ არის ქცეული. შორს წაგვიყვანს იმ ფეხბურთელების ჩამოთვლა, „გაგრაში" რომ დაფრთიანდნენ და შემდეგ, ბევრად უფრო მაღალ დონეზე აგრძელებენ ასპარეზობას; ახლაც, პირველ ლიგაში დაქვეითებული „გაგრას" საშუალო ასაკი 20 წელს არ აღემატება. გუნდის მიზანი, რაღა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაა და „გაგრაც" ჯერჯერობით ამართლებს ერთ-ერთი ფავორიტის სტატუსს. გუნდში დარჩა წინა სეზონის ერთ-ერთი აღმოჩენა, 19 წლის **ჯონ ჯერემია,** თანაც ამ სწრაფ და ტექნიკურ ფორვარდს გვერდს კიდევ ორი ნიგერიელი უმშვენებს: 19 წლის **უმარ მაგაჯი** და გუნდის დებიუტანტი, 18 წლის **ბენჯამინ ტეიდი.**

„ა" ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტად, რაღა თქმა უნდა, ლანჩხუთის „გურია" უნდა მივიჩნიოთ. გუნდში არაერთი გამოცდილი ფეხბურთელია, უმაღლეს ლიგაში წლების განმავლობაში რომ უასპარეზიათ: 31 წლის **ლევან ვართაგავა,** 30 წლის **გია თოდუა,** 26 წლის **გიგა კვერენჩხილაძე,** 23 წლის **დავით მაისაშვილი;** კვლავაც ლანჩხუთელთა გუნდის ღირსებას იცავენ ადგილობრივი ფეხბურთელები: 29 წლის **ტარიელ კუკულაძე,** 28 წლის **რევაზ კუკულაძე** და 25 წლის **ჯემალ გოგიბერიძე.** „გურიას" ახალწვეულთაგან უნდა აღვნიშნოთ 23 წლის მეკარე **გიორგი ძაძამია,** 23 წლის ნახევარმცველი **ალექსანდრე შენგელია** და, რაღა თქმა უნდა, გამოცდილზე გამოცდილი ნახევარმცველი, 35 წლის **ალექსანდრე გოგობერიშვილი.** ცნობისათვის: გოგობერიშვილი „გურიაში"... 17-წლიანი პაუზის მერე დაბრუნდა!

ოთხი ტურის შემდეგ III-IV ადგილებს იყოფენ დედაქალაქური გუნდები „სასკო" და „სტუ". „სასკო" პირველი ლიგის დებიუტანტია და ძირითადად, 19-20 წლის ბიჭებით არის დაკომპლექტებული. ამ გუნდის მეტ-ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელი კი 21 წლის **ანდრე ნონოსია** — კამერუნელმა მეკარემ უმაღლეს ლიგაში რამდენიმე გუნდი გამოიცვალა, თუმცა უკვე მეორე სეზონია რანგით ქვედა ლიგაში ასპარეზობს!

აი, „დინამო-2"-ის შემადგენლობას თუ გადავხედავთ, თითქმის ყველა ფეხბურთელი საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებში (ახალგაზრდულ, 19-წლამდე, 17-წლამდე) თამაშობდა თუ ახლაც თამაშობს: **თორნიკე ზარქუა და ჯაბა ჯიღაური, ირაკლი ლექვთაძე და ნიკა კვეკვესკირი, დავით ხოჭოლავა და არჩილ ტვილდიანი, გიორგი პაპავა და ლაშა პარუნაშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი** და **ლაშა ჩაფიძე.**

„ა" ჯგუფის სხვა გუნდებშიც მრავლად შეხვდებით ისეთ ფეხბურთელებს, უმაღლესი ლიგიდან კარგად რომ გვახსოვს; მაგალითად, 31 წლის **ლევან შავგულიძე,** რომელიც ტყიბულის „მეშახტეში" ასპარეზობს, 28 წლის **ლაშა ჯანგიძე** — „რაჭაში", 30 წლის **დავით სევასტოპულო** — „ჭიათურაში". სხვათა შორის, „ჭიათურაში" აგრძელებენ კარიერას პირველი ლიგის წინა სეზონის გამორჩეული ბომბარდირები, ძმები **იაგო** და **იაკობ დეისაძეები.** დაბოლოს, „ა" ჯგუფის კიდევ ერთ გუნდზეც: პირველი ლიგის დებიუტანტ „ბეთლემში" არაერთი გამოცდილი ფეხბურთელია, რომელთაგანაც, უპირველეს ყოვლისა, ბათუმის „დინამოს" ყოფილი მოთამაშეები **ვიტალი დარჩიძე** და **კახაბერ ქაცარავა** უნდა აღვნიშნოთ.

## B ჯგუფი

„ბ" ჯგუფში და საერთოდ, პირველ ლიგაში ორადორი გუნდია, ოთხივე მატჩი რომ მოიგეს. „სპარტაკისგან" ასეთი შედეგი არავის უნდა გაკვირვებოდა: 20 წლის მეკარე **გიორგი ნადირაძე,** 19 წლის ნახევარმცველი **ვალერი კილასონია,** 23 წლის მცველი **ლევან ჭაფოძე** და 19 წლის ფორვარდი **დავით გელაშვილი** გუნდს უმაღლესი ლიგიდან „გადმოჰყვნენ". ეგ კი არა, ხანმოკლე პაუზის მერე გუნდს დაუბრუნდა 26 წლის **ზვიად მეტრეველი** და, რაც მთავარია, „სპარტაკში" დარჩა გუნდის კაპიტანი და ლიდერი, 22 წლის **თეიმურაზ შონია.** აი, მეორე უდანაკარგო გუნდი კი ხობის „კოლხეთია", რომელიც წლების განმავლობაში სტაბილური შემადგენლობით ასპარეზობს და რამდენიმე ისეთი ფეხბურთელიც ირიცხება გუნდში, უმაღლეს ლიგაში რომ უთამაშია: **დავით ჭითანავა, გიორგი ქირია, მამუკა ჭკადუა, ლევან ჯიქიძე.**

**...ნიკა ჭანტურია, გიორგი გოროზია, დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი, დავით დარციმელია, გიორგი გაბაძე, მათე ცინცაძე,** — ამ 17 წლის ბიჭებმა წლეულს უდიდესი სიხარული მოგვანიჭეს, როდესაც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში ასპარეზობდნენ. ახლა კი „ლოკომოტივის" ძირითადში გამოდიან და ვინ იცის, იქნებ ამ სეზონშივე შეძლონ უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება. ცნობისათვის: „ლოკომოტივის" ყველაზე „ასაკოვანი" ფეხბურთელი... 21 წლის ცენტრალური მცველი **თორნიკე შალიკაშვილი** გახლავთ! განაცხადში ასევე ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს „მერცხალსაც", თუმცა კვლავაც აგრძელებენ თავიანთ ხანგრძლივ კარიერას 42 (!) წლის მეკარე **გია გოგუა** და 37 წლის ცენტრალური მცველი **მიხეილ ქობულაძე.**

„სამგურალისა" და „სამტრედიის" შემადგენლობაშიც მრავლად არიან ისეთი ფეხბურთელები, უმაღლეს ლიგაში არაერთი სეზონი რომ გაუტარებიათ: **ბესიკ ხაჭიპერაძე, მიხეილ ჩხარტიშვილი** (ორივე — „სამგურალი"), **სპარტაკ გოგია, ზაურ ხაჭიპერაძე, აკაკი კუპრეიშვილი, გიორგი მელქაძე, დემურ სამსეიშვილი** (ყველა — „სამტრედია") და სხვები. იმავეს თქმა შეიძლება ხარაგაულის „ჩხერიმელას" ორ გამოცდილ ნახევარმცველზეც — 25 წლის **არმაზ დოლონაძესა** და 38 წლის **გიორგი თურმანიძეზე.**



ალექსანდრე გოგობერიშვილი

დაბოლოს, პირველ ლიგაში გარკვეული პაუზის შემდეგ აღზევებულ „შუქურაზეც"; გუშინაც ვწერდით, რომ ამ გუნდის დირექტორი 80-იანი წლების თბილისის „დინამოს" ცნობილი თავდამსხმელი **რევაზ ჩელებაძე** გახლავთ, მთავარი მწვრთნელი კი **ასლან ბალაძე,** ლამის 20 წლის განმავლობაში რომ წარმატებით იცავდა ბათუმის „დინამოს" კარს. „შუქურაში" რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელიც თამაშობს: **ავთანდილ ბრაჭული, გიორგი ჩელებაძე** (წინა სეზონში რუსული პრემიერლიგის გუნდის, ყაზანის „რუბინის" დუბლებში რომ ასპარეზობდნენ) და **მინდია ფუტკარაძე** 20 წლის ბიჭები არიან და საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებშიც თამაშობდნენ; თუმცა, „შუქურას" შემადგენლობაში ყველაზე ცნობადი სახე 30 წლის **მიხეილ კაკალაძე** გახლავთ — ფეხბურთის ქართველ ქომაგს, ალბათ, კარგად ეხსომება მართლაც ორიგინალური „ხელწერის" მქონე ფლანგის თავდამსხმელი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა 2004 წელს ევროტურნირებზე თბილისის „დინამოს" წარმატებულ ასპარეზობაში.

**გია ტუხაშვილი**

● საინტერესო საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რატომ გაუკვირდათ ესპანელებს ლორიას ქართველობა?

## ქართველები, ბასკები და სხვა უცნაური დამთხვევები

**- საიდან გყავთ ესპანელი მეკარე ლორია? - გაკვირვებულმა მკითხა საქართველოსა და ესპანეთის ნაკრებების შეხვედრამდე პრესლოჟაში ერთ-ერთმა სტუმარმა ჟურნალისტმა.**

**ესპანეთსა და ესპანურენოვან ქვეყნებში ბევრი ლორია ცხოვრობს და კიდევ ერთხელ გვახსენებს დასავლეთისა და აღმოსავლეთის იბერიაზე არსებულ ლეგენდას.**

**სწორედ ამიტომ, დღეს თქვენს ყურადღებას გვარების უცნაურ დამთხვევებზე გავაკეთებთ.**



სიმონე ლორია

### იტალიელი ლორია

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მეკარე **გიორგი ლორიას** საკმაოდ საინტერესო მოგვარეები ჰყავს. იტალიის სერია A-ს "ბოლონიაში" ირიცხება ტურინის "იუვენტუსის" გაზრდილი მცველი **სიმონე ლორია,** რომელსაც ბევრ ცნობილ კლუბში უთამაშია: 1995-1996 წლებში ტურინული გრანდის ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ ერთი შეხვედრაც არ ჩაუტარებია. ხანგრძლივი პერიოდი სერია C2-სა და C1-ის კლუბებში გამოდიოდა: "ოლბიაში" (1996-1997), "ბატიაბალენზეში" (1997-1998), "ნოჩერინაში" (1999-2000) და "ლეკოში"(2000-2002).

ამის შემდეგ დაიწყო იტალიელი ლორიას კარიერული ნინსვლა: "კალიარიდან" (2002-2005) "ატალანტაში" (2005-2007) გადაბარგდა, საიდანაც თავი "სიენაში" (2007-2008) ამოყო და იქ ჩატარებული შთამბეჭდავი სეზონების შედეგად იტალიური ფეხბურთის გრანდმა, "რომამ" (2008-2011) მიიწვია. მერე იყო "ტორინო" (2009-2010), 2011 წლიდან კი "ბოლონიაშია".

### კოსტარიკელი ლორია

საკუთარი ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრია **ხოსე მიგელ კუბერო ლორია,** რომელსაც კუბეროთი უფრო იცნობენ. 25 წლის ნახევარმცველი კოსტარიკელია - 2010 წლიდან მოყოლებული ეროვნულ გუნდში 16 შეხვედრა ჩაატარა და მეტოქის კარი ერთხელ აილო. ამჟამად კოსტა რიკის პრიმერა-დივიზიონის "ჰერედიანოში" თამაშობს.



დავით ლორია

### ყაზახი ლორიები

ყაზახეთის ნაკრებისა და პავლოდარის "ირტიშის" 30 წლის მეკარე **დავით ლორია** თურქეთის პირველი ლიგის "რიზესპორში" თამაშობს. ყაზახეთის ეროვნულში 38 შეხვედრა ჩაატარა, რაც ამ აზიური ქვეყნის მეკარეებში სარეკორდო მაჩვენებელია.

თამაშობდა მოსკოვის ცსკა-სა და ავსტრალიური "ენფილდ სიტი ფეკონში", შვედური "ჰალმსტადში", ნალჩიკის "სპარტაკსა" და წამყვან ყაზახურ კლუბებში.

საქართველოდან, გუდაუთიდან ყაზახეთში დავითის ბაბუა წინა საუკუნის 60-იან წლებში გადასახლდა, როდესაც საბჭოთა კავშირმა ყამირის ათვისება დაიწყო. მამამისი, ყარაღანდის "შახტარის" ადრინდელი გენერალური დირექტორი **გრიგოლ ლორია** გახლავთ.

დავით ლორიას დედა ყაზახეთში დაბადებული რუსია და ცხადია, ქართულად ვერ ლაპარაკობს, მაგრამ ისტორიულ სამშობლოს ყოველთვის თბილად ახსენებს და შეურაცხყოფილია კითხვით, გულშემატკივრობს თუ არა საქართველოს ნაკრებს: "ცხადია, ვგულშემატკივრობ, რადგან ქართველი ვარო და ფესვები არასოდეს დამავიწყდება".



### ბასკი ბარათელი

საფრანგეთის ნაკრების ყოფილი მეკარე **დომინიკ ბარათელი** 1947 წლის 26 ოქტომბერს ნიცაში დაიბადა.

მიუხედავად შედარებით დაბალი სიმაღლისა (178 სმ), ფრანგები ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ მიიჩნევენ. საფრანგეთის ჩემპიონატში 593 შეხვედრა ჩაატარა, რაც ქვეყნის ისტორიაში მესამე შედეგია.

ბარათელი თამაშობდა „აიაჩოში" (1967–1971), „ნიცაში" (1971–1978), „პარი სენ-ჟერმენში" (1979–1985). საფრანგეთის თასის 1982, 1983 წლების გამარჯვებულია, ქვეყნის ეროვნულ გუნდში ჩაატარა 21 შეხვედრა: პირველად 1972 წლის 11 ივლისს ირლანდიასთან (ფრანგებმა 3-1 მოიგეს), ნაკრებიდან გაცილების მატჩი 1982 წლის 28 აპრილს პერუსთან მოუწყვეს (0-1).

საფრანგეთის ნაკრებს 1978 და 1982 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე ახლდა. 1978 წელს არგენტინასთან შეხვედრის 55-ე წუთზე დაშავდა და უგონო მდგომარეობაში მოედნიდან გაიყვანეს.

ამჟამად დომინიკ ბარათელი საფეხბურთო სკოლის მწვრთნელია.

■ ■ ■

**სულხან-საბა ორბელიანი** ამტკიცებდა, რომ საუკუნეების წინ, დასავლეთ საქართველოდან მოსახლეობის ნაწილი დასავლეთ იბერიაში გადაიხვეწა, სწორედ ისინი არიან ბასკებიო.

ესპანეთში ოთხი ბასკური პროვინციაა, საფრანგეთში – სამი და ისინი ერთმანეთს ესაზღვრებიან. გასაოცარია, მათი ადათ-ჩვევების, ხასიათებისა და გვარების ქართველებთან დამთხვევა – ბასკეთში ცხოვრობენ შემდეგი გვარები - ნოდია, ბოკერია, კაიშაური, ჯინორია, არის მთა არჩანდა, გურია... საფრანგეთის ნაკრების მეკარე ბარათელიც ბასკი გახლდათ.

### ურუგვაელი ჯიქია

ქართულ-ბასკური ნათესაობის თეორიის მიმდევარი **დათო ტურაშვილი** ამტკიცებს, რომ 1950 წელს ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი გმირი ურუგვაის ნაკრების ყოფილი მოთამაშე, **ალსიდეს ედგარო გიდჯია**, სინამდვილეში იგი ბასკი **ჯიქიაა**, ურუგვაიში 1939 წელს, **ფრანკოს** რეჟიმისგან გაქცეულ ბევრ ბასკთან ერთად აღმოჩნდა.

"ვიკიპედიაშიც" დაახლოებით იგივე წერია: *"ესპანურიდან მოთამაშის გვარი ხიხიად უნდა იკითხებოდეს. თუმცა, გიდჯია იტალიური წარმოშობის მოთამაშეა, ლა-პლატას რეგიონის (არგენტინისა და ურუგვაის ტერიტორიებზეა) ესპანურენოვანი მოსახლეობა კი ასეთ ვარიანტს, პრაქტიკულად, არც იყენებს. ამიტომ, სავარაუდოდ, გვარი დჯიგიადან უნდა მოდიოდეს".*

ალსიდეს ედგარო გიდჯია 1926 წლის 22 დეკემბერში ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში დაიბადა. ერთდროულად უთამაშია ურუგვაისა და იტალიის ეროვნულ ნაკრებებში.

ურუგვაის სახელით 1950-1952 წლებში ასპარეზობდა და ბრაზილიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა - 12 შეხვედრაში მეტოქეთა კარი 4-ჯერ აილო, 1957-1959 წლებში იტალიის ნაკრებში კი - 5 მატჩში 1 გოლის გაიტანა.

1948 წელს "პენიაროლში" ორჯერ გახდა ურუგვაის ჩემპიონი. 1953 წელს ჩაირიცხა "რომაში", სადაც 201 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა, არის ბაზრობათა თასის (უეფას თასის წინამორბედი) მფლობელი.



გიორგი ლორია

1961 წელს კარიერა "მილანში" გააგრძელა, 4 თამაშში თავი ერთხელაც ვერ გამოიჩინა, მაგრამ კლუბთან ერთად იტალიის 1961/62 სეზონის ჩემპიონის ტიტული მაინც შერჩა. 1962 წელს სამშობლოში დაბრუნდა და 1968 წლამდე თამაშობდა.

1950 წლის „მარაკანაზე" გამართულ ფინალურ მატჩში ურუგვაიმ ბრაზილია 2:1 დაამარცხა. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს: გიდჯიამ ბურთი მოედნის ცენტრისკენ წაილო, მაისური შემოიხია და თავისიანებს დაუყვირა –თამაში არ დამთავრებულა და ეს მაჯლაჯუნები უკვე გამარჯვებას ზეიმობენ, ბრაზილიელები კაცებად არ გვთვლიანო. იგივე გასახდელშიც გაიმეორა.

მეორე ტაიმში ურუგვაელებმა ბრაზილიელებს ორჯერ გაუტანეს, გადამწყვეტი ბურთი სწორედ გიდჯიამ გაიტანა და მსოფლიოს ჩემპიონები მეორედ გახდნენ.

### უზბეკი კაპაძე

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის "ტორპედოს" მეტოქის, ყაზახეთის "აქტობეს" შემადგენლობაში ერთ-ერთი გამორჩეული უზბეკეთის ეროვნული ნაკრების ნახევარმცველი, თურქი-მესხი ნახევარმცველი **თემურ კაპაძე** გახლდათ.

1944 წელს მეორე მსოფლიო ომის დროს სამხრეთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმანი ქართველები და თურქები ყაზახეთსა და უზბეკეთში გადაასახლეს. ბედის ირონიაა: თურქი-მესხების წინამძღოლი, **იუსუფ სარვაროვი** სინამდვილში **დიდებულიძე** გახლდათ - სამცხელი თავადების შთამომავალი. საქართველოს ეროვნული მოძრაობა ამ ტერმინს კატეგორიულად არ ცნობდა. მართლაც, ნაჯვარი ერი ბუნებაში არ არსებობს - ესეც ჩვენი წარსულის უკუღმართობის შედეგია.

თემურ ტაჰირის ძე კაპაძე 1981 წლის 5 სექტემბერს უზბეკეთის ქალაქ ფერღანაში დაიბადა. 1998 წლიდან ფერღანას „ნეფთჩიში" თამაშობდა, 2002-2007 წლებში ტაშკენტში „ფახტაკორში", 2008-ში კი იმ დროისათვის პოსტსაბჭოეთის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბ ტაშკენტის „ბუნიოდკორში", სადაც ბრაზილიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, **ლუიშ ფელიპე სკოლარი** ავარჯიშებდა. 2011 წელს გადავიდა კორეულ „იენჩხონში", ხოლო წლევანდელ ზაფხულს - „აქტობეში".

2002 წლიდან დღემდე უზბეკეთის ნაკრებში 95 მატჩში 8 გოლი გაიტანა. ამ ქვეყნის 7-გზის ჩემპიონი და 2-გზის თასის მფლობელია. 1998 წელს გახდა ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, ხოლო 5-ჯერ - უზბეკეთის წლის ფეხბურთელი (1998, 2001, 2004, 2005, 2006 წლებში).

**მერაბ მამულაშვილი**



დომინიკ ბარათელი



თემურ კაპაძე (№18)

● ლივერპული

# კარაგერი რჩება

## ჩემპიონატი, მერსისაიდელთა უპირველესი საფიქრალი



ჯეიმი კარაგერი, შესაძლოა, ფეხბურთიდან სეზონის დასრულების შემდეგ წავიდეს

**ჯეიმი კარაგერი** "ლივერპულის" დაცვის ბურჯად წლების განმავლობაში ითვლებოდა, მაგრამ მას მერე, რაც გუნდში **დანიელ აგერი** და **მარტინ შკრტელი** გამოჩნდნენ, ვეტერანმა სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა. მართალია, კარა სულითა გულით "წითელია", მაგრამ მასზე წერენ, რომ შესაძლოა მალე ფეხბურთიდან წავიდეს. არც ფეხბურთელს და არც მის აგენტს ამაზე სიტყვაც არ დასცდენიათ, მაგრამ... აღნიშნულ თემაზე **ბრენდან როჯერსმა** ინება კომენტარი და განაცხადა, რომ მას ჯეიმის დიდი იმედი აქვს და რომ 34 წლის ფეხბურთელი წელს სათამაშო პრაქტიკას აუცილებლად მიიღებს. ამას გარდა როჯერსმა გუნდის პრიორიტეტებზეც ილაპარაკა:

- ჯეიმის "ლივერპულში" მოსვლის მერე ველაპარაკე. ის ერთ რამეში არ იყო დარწმუნებული, განაგრძობდა თუ არა საერთოდ აქტიურ საფეხბურთო კარიერას. კარა დღემდე მაოცებს სავარჯიშო მოედანზე თუ მის მიღმა გაწეული სამუშაოთი. დარწმუნებული ვარ, რომ მას მომავალშიც შეეძლება მაღალ დონეზე თამაში. ჯეიმი ჩვენი კლუბის სული და გულია. ის ხომ სწორედ "ლივერპულშია" აღზრდილი. მისი კალიბრის პერსონებისთვის ჩვენს რიგებში ადგილი ყოველთვის გამოინახება. იცით, მას უკვე ორი თვეა ვაკვირდები და ერთ მიზეზსაც ვერ ვპოულობ, რატომ არ უნდა ითამაშოს მომდევნო სეზონში.

მესმის, რომ გულშემატკივრებს აქვთ უფლება გაგვაკრიტიკონ, ევროპალიგის მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გამო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩვენ ყველაფერს მხოლოდ კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე ვაკეთებთ. საიდუმლო არავისთვისაა, რომ ჩვენი უმთავრესი ინტერესი პრემიერლიგაში წარმატებული თამაშია. მე თავიდანვე ამ პოზიციას ვიცავდი. ევროთასებზე ტრავმის გამო წამყვანი ფეხბურთელი თუ დავკარგეთ, ეს სერიოზულ პრობლემას შეგვიქმნის უახლოესი თვეების განმავლობაში. "არსენალთან" აშკარად შევატყვე, რომ ფეხბურთელების ნაწილი სერიოზულად იყო დაღლილი. წინ "მანჩესტერ იუნაიტედთან" დაპირისპირებაა და მინდა, ლიდერები ამ თამაშს საუკეთესო ფორმაში შეხვდნენ.

### ალენი დიდი მატჩის მოლოდინში

"წითლების" ახალწვეული **ჯო ალენი** აცხადებს, რომ "ლივერპულში" სწორედ ისეთი მატჩების ხათრით გადავიდა, როგორიც მას წინ ელის – ლაპარაკია, 23 სექტემბერს, "ენფილდზე" "მანჩესტერ იუნაიტედთან" გასამართ დაპირისპირებაზე. *"მერსისაიდელთა რიგებში გადასვლის ერთ-ერთი მოტივაცია სწორედ ასეთი დიდი მატჩები იყო. მგონია, რომ მსოფლიო ფეხბურთში მსგავსი დონის თამაშები არცთუ ისე ბევრია. აქედან გამომდინარე, მოუთმენლად ველოდები თამაშის დაწყებას. ცხადია, სამი ქულის აღების იმედი გვაქვს, მაგრამ ისიც გვესმის, რომ ამის გაკეთება ძალიან რთული იქნება. "სანდერლენდთან" ბოლო თამაშში დავამტკიცეთ, რომ სწორ გზას ვადგავართ. ჩვენ ნელ-ნელა სულ უფრო უკეთ ვახერხებთ ბურთის კონტროლს და ერთმანეთისაც კიდევ უფრო კარგად გვესმის"*.

### ბორინი იღბალს უჩივის

"ლივერპულის" იტალიელი თავდამსხმელი **ფაბიო ბორინი** ჯერჯერობით ვერ ახერხებს თავისი პოტენციალის ჩვენებას და ამას სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების მთელი წყება აქვს. 8 თამაშში გატანილი 1 გოლი ნამდვილად არ არის აპენინელის პიკი. *"მუხლჩაუხრელად ვვარჯიშობ, რათა ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესო და ტაქტიკური არსენალი გავიმდიდრო. ამაში მწვრთნელები და პარტნიორებიც მეხმარებიან. ხანდახან მართლა არ მიმართლებს ხოლმე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და გოლებიც მოვა,"* – განუცხადა "ლივერპულის" ვებგვერდს 21 წლის თავდამსხმელმა.

### ჰენრი უმდიდრესთა შორის

გამოცემა "ფორბსმა" "ლივერპულის" უმთავრესი აქციონერი **ჯონ ჰენრი** ამერიკის 400 ყველაზე მდიდარ მოქალაქეს შორის დაასახელა. შარშან მას 1.1 მილიარდით 375-ე ადგილი ეკავა, წელს კი მისი ქონება 1.5 მილიარდამდე გაიზარდა, რამაც 311-ე ადგილამდე დაწინაურების საშუალება მისცა. ბიზნესმენი "ლივერპულის" გარდა ბეისბოლის კლუბ "ბოსტონ რედ სოქსსაც" ფლობს.

**ლევან ბიბილაშვილი**

● მანჩესტერ სიტი. დაპირისპირება

# ფეხბურთი და სიგარეტი არ გამოვა

**მარიო ბალოტელი** და სკანდალები დიდი ხანია, განუყრელ ცნებებად იქცა და ეს ყოველივე უპირველესად სწორედ ფეხბურთელის დიდი მონდომებით. 22 წლის "სუპერმარიო" "მანჩესტერ სიტისთან" ერთად ეწვია მადრიდს, მაგრამ **რობერტო მანჩინისთან** კონფლიქტის გამო ის განაცხადშიც კი ვერ მოხვდა. "დეილი სტარი" დეტალებით დაინტერესდა და შემდეგი ამბავი შეიტყო:

"სტოკ სიტისთან" მატჩის (1:1) დასრულების შემდეგ მწვრთნელმა ყველას სთხოვა, რომ მაქსიმალურად მორიდებოდნენ დატვირთვას, რათა "სანტიაგო ბერნაბეუზე" გასამართი მატჩისთვის ძალები შემოენახათ. რჩევა ერთადერთმა ფეხბურთელმა არ გაითვალისწინა და გასაგებია, რომ ეს ბალოტელი იქნებოდა. ის გასართობად ღამის კლუბს ეწვია და დილის საათებამდე შემორჩა. ინფორმაციამ გუნდის მთავარ მწვრთნელამდე მიაღწია. მადრიდში გაფრენამდე ოსტატსა და შეგირდს შორის დაძაბული დიალოგი გაიმართა. მანჩინიმ ბალოტელის ცხადად განუმარტა, რომ ის გუნდს ესპანეთში გაჰყვებოდა, მაგრამ წინდაწინ უნდა სცოდნოდა, რომ განაცხადში ვერ მოხვდებოდა. ამას გარდა, რობერტომ ფეხბურთელს კიდევ ერთხელ მკაცრად მოსთხოვა, რომ სიგარეტს თავი დაანებოს და დახმარებისთვის ფსიქოთერაპევტს მიმართოს. ბალოტელიმ მწვრთნელის მითითებები შორს დაიჭირა.

"მანჩესტერ სიტის" ინკოგნიტო წარმომადგენელი ადასტურებს, რომ მანჩინისა და ბალოტელის შორის "მორიგმა შავმა კატამ" გაირბინა და ამის მიზეზი მარიოს ღამეული თავგადასავლები და ნიკოტინისადმი მიდრეკილებაა. იტალიელ მწვრთნელს შეგირდები კარგ დიპლომატად ახასიათებენ. საინტერესოა, მოახერხებს თუ არა ის მარიოს შემორიგებას და თუ მოახერხებს, რამდენ ხანში შეძლებს ამის გაკეთებას.

**ლევან ბიბილაშვილი**



მწვრთნელსა და შეგირდს ურთიერთობა კიდევ ერთხელ დაეძაბათ

● ტრავმა

# ძელთან შეჯახების შედეგები

"ევერტონის" 27 წლის ხორვატი თავდამსხმელი **ნიკიცა იელავიჩი** გუნდს მინიმუმ ორი კვირა ვერ დაეხმარება და ამის მიზეზი "გუდისონ პარკზე" "ნიუკასლთან" მატჩის პირველი ტაიმის მიწურულს შტანგასთან შეჯახება გახდა. ფეხბურთელს ფეხი აქვს დაზიანებული და სიარულიც კი უჭირს. ექიმების პროგნოზით, თავდამსხმელი მოედანს 6 ოქტომბერს "უიგანთან" დაუბრუნდება. ამრიგად, იელავიჩს პრემიერლიგის ორი შეხვედრა ("სუონსი" 22 სექტემბერი, "საუთჰემპტონი" 29 სექტემბერი) და ლიგის თასის მესამე ეტაპის მატჩი ("ლიდსი" 25 სექტემბერი) გაუცდება.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ევროპალიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური


ეროვნული ბიბლიოთეკა

ედუარდო ვარგასმა შვედებს სამი გაუტანა

# ვარგასს ფალკაოობა მოუნდა

## დიდები სათადარიგოებით იწყებენ

**გუშინ** სტარტი აილო ევროპალიგის მე-4 გათამაშებამ. 12 ქვეჯგუფში ერთბაშად 48 გუნდი ჩაება ასპარეზობაში, მათ შორის ტიტულის მფლობელი მადრიდის "ატლეტიკო", რომელმაც სტუმრად იოლად დაამარცხა თელ-ავივის "ჰაპოელი" – 3:0. სხვათა შორის, არ უთამაშია **რადამელ ფალკაოს**, ტურნირის წინა ორი გათამაშების ნამდვილ გმირს. საერთოდაც, ასეთი ტენდენცია გამოიკვეთა – მეტნაკლებად სოლიდური კლუბები ევროპალიგას აგდებულად შეხვდნენ, თითქმის მეორე შემადგენლობები გამოიყვანეს, მაგრამ ძირითადად მიზანს მაინც მიაღწიეს. მაგალითად, "ლივერპულმა" სათადარიგო გუნდითაც კი მოუგო სტუმრად "იანგ ბოიზს", თანაც ხუთი გოლი გაუტანა – 5:3. შვედური აიკ-ის კარში ჰეთთრიკი შეასრულა "ნაპოლის" 22 წლის ჩილელმა ფორვარდმა **ედუარდო ვარგასმა**.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**A ჯგუფი**

**იანგ ბოიზი–ლივერპული 3:5**

**გოლები:** 0:1 ოჯალა (4 ს.კ.), 1:1 ნუცოლო (38), 1:2 უისდომი (40), 2:2 ოჯალა (53), 3:2 სარატე (63), 3:3 კოატესი (67), 3:4 შელვი (76), 3:5 შელვი (88)

**უდინეზე–ანჟი 1:1**

**გოლები:** 0:1 პადელი (45 ს.კ.), 1:1 დი ნატალე (91)

**B ჯგუფი**

**ჰაპოელი (თ.ა.)–ატლეტიკო 0:3**

**გოლები:** 0:1 კ. როდრიგესი (37), 0:2 დ. კოშტა (40), 0:3 რ. გარსია (63)

**პლზენი–აკადემიკა 3:1**

**გოლები:** 0:1 ედუარდო (19), 1:1 ჰორვატი (47), 2:1 დურისი (58), 3:1 რაიტორალი (80)

**C ჯგუფი**

**აელ–მიონხენგლადბახი 0:0**

**ფენერბაჰჩე–მარსელი 2:2**

**გოლები:** 1:0 ერკინი (28), 2:0 ალექსი (57), 2:1 ვალბუენა (83), 2:2 ჯ. აიუ (94)

**D ჯგუფი**

**მარიტიმუ–ნიუკასლი 0:0**

**ბორდო–ბრიუგე 4:0**

**გოლები:** 1:0 სანე (13), 2:0 გუფრანი (27), 3:0 ენგელსი (47. ს.კ), 4:0 ჟუსიე (66)

**E ჯგუფი**

**შტუტგარტი–სტიაუა 2:2**

**გოლები:** 1:0 იბიშევიჩი (5), 1:1 ჩიპკიუ (6), 1:2 რუსესკუ (80), 2:2 ნიდერმაიერი (85)

**კოპენჰაგენი–მიოლდე 2:1**

**გოლები:** 1:0 კლაუდემირი (20), 1:1 პ. დიუფი (45), 2:1 კორნელიუსი (74)

**F ჯგუფი**

**დნიპრო–პსვ 2:0**

**გოლები:** 1:0 მატეუსი (50), 2:0 ჰატჩინსონი (58. ს.კ.)

**შენიშვნა:** *ჯაბა კანკავა (დნიპრო) შევიდა 85-ე წუთზე*

**ნაპოლი–აიკ 4:0**

**გოლები:** 1:0 ვარგასი (6), 2:0 ვარგასი (46), 3:0 ვარგასი (69), 4:0 ძემალი (90)

**გაძევება:** ჰამშიკი (75. ნაპოლი)

**J ჯგუფი**

**გენკი–ვიდეოტონი 3:0**

**გოლები:** 1:0 ვოსენი (22), 2:0 ბუფელი (78), 3:0 დე სოლაერი (91)

**სპორტინგი–ბაზელი 0:0**

**გაძევება:** ჩანდაო (51. სპორტინგი)

**H ჯგუფი**

**ინტერი–რუბინი 2:2**

**გოლები:** 0:1 რიაზანცევი (17), 1:1 ლივაია (39), 1:2 რონდონი (84), 2:2 ნაგატომო (92)

**პარტიზანი–ნეფთჩი 0:0**

**I ჯგუფი**

**ლიონი–სპარტა 2:1**

**გოლები:** 1:0 გომისი (59), 2:0 ლოპესი (62), 2:1 კრეიჩი (77)

**ბილბაო–ჰაპოელი (ქ.შ.) 1:1**

**გოლები:** 0:1 ლენსი (14), 1:1 სუსაეტა (40)

**G ჯგუფი**

**მარიბორი–პანათინაიკოსი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბერიჩი (25), 2:0 იბრაიმი (62), 3:0 ტავარესი (88-პენ)

**გაძევება:** სპიროპულოსი (92. პანათინაიკოსი)

**ტოტენჰემი–ლაციო 0:0**

**K ჯგუფი**

**რაპიდი–როსენბორგი 1:2**

**გოლები:** 0:1 ელიუნუსი (18), 0:2 დორსინი (60), 1:2 კატცერი (65)

**ლევერკუზენი–მეტალისტი 0:0**

**L ჯგუფი**

**ლევანტე–ჰელსინგბორგი 1:0**

**გოლი:** 1:0 ხუანფრანი (40)

**ტვენტე–ჰანოვერი 2:2**

**გოლები:** 1:0 იანსენი (7), 2:0 ჩადლი (54), 2:1 სობიეხი (67), 2:2 ვიზგერჰოფი (73 ს.კ.)

უცხოური ფეხბურთი

სამხრეთ ამერიკის სუპერკლასიკო. ნიკოლას ლეოსის თასი

# ბრაზილიას ნეიმარმა მოაგებინა

**ბრაზილია — არგენტინა 2:1**

**ბრაზილია** (4-2-2-2): ჯეფერსონი – ლუკასი, რევერი, დედე, ფაბიო სანტოსი – პაულინიო, რალფი – ჟადსონი (ტიაგო ნევეში 62), ლუკას მოურა (ველინგტონ ნემი 76) – ნეიმარი, ლუიშ ფაბიანო (ლეანდრო დამიაო 68).

**არგენტინა** (3-4-2-1): უსტარი – ს. დომინგესი, დესაბატო, ლისანდრო ლოპესი (ვერხინი 73) – პერუცი, ბრანია, გინიასუ, კლემენტე როდრიგესი – მაქსი როდრიგესი, ხუან მარტინესი (სომოსა 87) – ბარკოსი (როხელიო ფუნეს მორი 76).

**გოლები:** 0:1 ხუან მარტინესი (20), 1:1 პაულინიო (26), 2:1 ნეიმარი (94-პენ.)

**გაფრთხილება:** პაულინიო, ნეიმარი – დესაბატო

გოიასის შტატის ქალაქ გოიანიაში ძალიან საინტერესო მატჩი გაიმართა – მსოფლიო ფეხბურთის კლასიკა: ბრაზილია – არგენტინა. გუნდები ძირითადი შემადგენლობით არ თამაშობდნენ, ორივე ნაკრებში მხოლოდ სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე მოთამაშე ფეხბურთელები იყვნენ გამოძახებულნი. მატჩი ამხანაგური არ გახლდათ – გუნდები ერთმანეთს **ნიკოლას ლეოსის** (კონმებოლის მოქმედი პრეზიდენტი) სახელობის თასის გამო ერკინებიან ორმატჩიან დუელში, რომლის პირველი თამაშიც ბრაზილიაში შედგა.

შემადგენლობებზე ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს, რომ ბრაზილიის ნაკრები გაცილებით კარგად იყო დაკომპლექტებული და მათი საბოლოო გამარჯვება მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა, თუმცა "სელესაოს" გაუჭირდა და მხოლოდ 94-ე წუთზე გატანილი პენალტით მოიგო.

ორივე გუნდის რიგებში იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც ეროვნული ნაკრების მუდმივი წევრები არიან, თუმცა სხვაობა აქაც კოლოსალურია, როგორც ფეხბურთელთა კლასში, ასევე მოთამაშეთა პერსპექტივაში. თუ **მანო მენეზეშს** ეროვნულ ნაკრებშიც კი უმეტესად ახალგაზრდა მოთამაშეები ჰყავს, **ალეხანდრო საბელია** თავის გაუგებარ სელექციას აგრძელებს და ასეთ მატჩებშიც კი უცნაურ საკადრო გადაწყვეტილებებს იღებს. ბრაზილიის ნაკრებში გამოძახებულთაგან ყველაზე ასაკოვანი 31 წლის **ლუიშ ფაბიანო** იყო, იმ დროს, როდესაც არგენტინის ნაკრებში 34 წლის **პაბლო გინიასუმ**, 33 წლის **ლეანდრო დესაბატომ**, 33 წლის **როდრიგო ბრანიამ**, 32 წლის **სებასტიან დომინგესმა**, 31 წლის **კლემენტე როდრიგესმა**, 31 წლის **ლეანდრო სომოსამ** და ასევე 31 წლის **მაქსი როდრიგესმა** ითამაშეს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს ნაკრები პერსპექტიულის გარდა ყველაფერი იყო.

"ალბისელესტეს" ქომაგებისთვის ყველაზე საგანგაშო კი არის ის, რომ საბელია ჩამოთვლილ ფეხბურთელთაგან, ეროვნული ნაკრების მუდმივ კანდიდატებად მხოლოდ სება დომინგესს და ლეანდრო სომოსას არ მიიჩნევს. ალბათ, იმის გამო, რომ მათ მასთან ერთად "ესტუდიანტესში" არ უმუშავიათ. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც უკანასკნელ დროს მთავარ მწვრთნელს არ აკრიტიკებდნენ, იყო კარგი შედეგი, რომელიც არგენტინას ჰქონდა, მაგრამ ფაქტია, რომ თუ **ხულიო გრონდონა** დროულად ვერ მიხვდება თავის შეცდომას (და ალბათ ვერ მიხვდება, რაშიც წარსული წლების გამოცდილება გვარწმუნებს) არგენტინის ნაკრებს ალეხანდრო საბელიას ხელში კარგი დღეები არ ელის. ამ გადმოსახედიდან არგენტინას 2014 წლის ჩემპიონატზე გამარჯვების შანსი არ ექნება, მით უმეტეს თუ საბელია იქ 2 წლით დაბერებულ დესაბატოს, გინიასუს, ბრანიას და თავის სხვა მეგობრებს წაიყვანს.

ამ დროს ბრაზილიის ეროვნულ გუნდში რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა. ნაკრები უნიჭიერესი ფეხბურთელებით არის სავსე, რომლებმაც 2 წლის მერე კიდევ უფრო უკეთ უნდა ითამაშონ.

შეხვედრა, რა თქმა უნდა, მასპინძლების შეტევებით დაიწყო და აშკარად ჩანდა, თუ რომელი გუნდი იყო უკეთესი. ამის ფონზე, კიდევ უფრო მოულოდნელი იყო გოლი, რომელიც არგენტინამ გაიტანა. 12-პასიანი კომბინაციის ბოლოს კლემენტე როდრიგესმა "კორინთიანსის" ფორვარდ **ხუან მანუელ მარტინესს** გადააწოდა, რომელმაც ბურთი მიწაზე დაუშვებლად გადაგზავნა კარისკენ. **ჯეფერსონი** უძლური იყო და 20-ე წუთზე სტუმრები წინ გავიდნენ. "სელესაო" გაშვებულმა გოლმა არ დააბნია და ანგარიშიც მალე გათანაბრდა – **ნეიმარმა** სტანდარტულიდან საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი ყველას "კორინთიანსის" კიდევ ერთმა წევრმა, **პაულინიომ** დაასწრო და თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა.

მეორე ტაიმში, მიუხედავად სათამაშო უპირატესობა, ბრაზილია საგოლე მომენტებს ვერ ქმნიდა, არგენტინა კი ძირითადად თავდაცვაზე იყო გადასული. საკმაოდ კარგი მატჩი ჩაატარა "ველეს სარსფილდის" 20 წლის მარჯვენა მცველმა **ჯინო პერუციმ**, რომელმაც მოახერხა და ნეიმარი ამოკეტა. აქტიური გახლდათ **ლუკას მოურა**, მაგრამ ეს ყველაფერი გოლის გასატანად საკმარისი არ იყო. მენეზეშმა გარდატეხის შეტანა ცვლილებებით სცადა. მწვრთნელმა მოედანზე გამოცდილი **ტიაგო ნევეში**, უკანასკნელ პერიოდში სერია A-ს გამორჩეული ფიგურა, უნიჭიერესი **ველინგტონ ნემი** და **ლეანდრო დამიაო** შემოიყვანა. საბელიამ კი თამაშში **სანტიაგო ვერხინი, როხელიო ფუნეს მორი** და **ლეანდრო სომოსა** ჩართო. პირველი ცვლილება იძულებითი ხასიათის იყო, რადგან **ლისანდრო ლოპესმა** (არ აგერიოთ "ლიონის" ფორვარდ ლისანდრო ლოპესში) ტრავმა მიიღო.

მატჩი თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, როდესაც 93-ე წუთზე ლეანდრო დესაბატომ "ესტუდიანტესში" თავის თანაგუნდელ როდრიგო ბრანიას მიბაძა და საჯარიმოში ხელით ითამაშა (ბრანიამ 8 სექტემბერს პარაგვაისთან მატჩში ზუსტად მსგავსი რამ ჩაიდინა). დაინიშნა პენალტი, რომელიც ნეიმარმა გამოიყენა და საკუთარ გუნდს მოაგებინა. ეს მოგება მნიშვნელოვანი იყო მანო მენეზეშისთვის, რადგან ბრაზილიელ სპეციალისტს საკუთარ ქვეყანაში საკმაოდ ბევრი აკრიტიკებს. ახლა სკეპტიკოსები დროებით მაინც დადუმდებიან. საპასუხო მატჩი ორ კვირაში, 3 ოქტომბერს, უკვე არგენტინაში გაიმართება.



ნეიმარმა გადამწყვეტი გოლი 94-ე წუთზე გაიტანა

ინტერვიუ


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟან-პიერ პაპენი მარსელის შესახებ

**ჟან-პიერ პაპენი ლიგა 1-ის ოფიციალურ საიტს გაესაუბრა. მთავარი სალაპარაკო თემა, რა თქმა უნდა, მარსელის "ოლიმპიკი" იყო, გუნდი, სადაც მას დღემდე აღმერთებენ. პაპენი ახლა ტელევიზიაში მუშაობს, ასე რომ, მისი მოსაზრებები არა მხოლოდ ყოფილი ფეხბურთელის, არამედ მოქმედი ჟურნალისტის ნააზრევიც არის.**

## არა მგონია, ბარტონმა მარსელში გაამართლოს

სულ თავიდან პაპენს "მარსელის" ახალწვეულ **ჯოი ბარტონის** შესახებ ჰკითხეს. მოგეხსენებათ, ბარტონი "მარსელში" "ქუინზ პარკ რეინჯერსიდან" არის განათხოვრებული: *"ოლიმპიკს" ყოველთვის ჰყავდა და სჭირდებოდა მებრძოლი ფეხბურთელები, მაგრამ ჯოი ბარტონი სულ სხვა შემთხვევაა. ჩვენ მასზე, ძირითადად სკანდალებით ან მოედანზე უხეშობით ვიგებთ. სიმართლე, რომ გითხრათ, მისი თამაში ბევრჯერ ნანახი არ მაქვს და არც პირადად ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ის ლიგა 1-ში ვერ ითამაშებს, რადგან საფრანგეთის ჩემპიონატში მომუშავე არბიტრები, მას ისეთ უხეშობას არ აპატიებენ, რასაც მაგალითად ინგლისში პატიობდნენ. ბარტონი ხისტ ორთაბრძოლებს არის მიჩვეული, რადგან პრემიერლიგაში ამის საშუალებას ფეხბურთელებს მსაჯები აძლევენ, საფრანგეთში კი ინგლისელი შეიძლება ისეთი უხეშობის გამო გააძევონ, რაზეც ბრიტანეთში ჯარიმასაც კი არ დანიშნავდნენ. არ ვამბობ, რომ აუცილებლად ასე მოხდება, მაგრამ მგონია, ასე იქნება".*

## ჟინიაკს მეტი ნდობა სჭირდება

ჟან-პიერ პაპენმა "მარსელის" რიგებში 254 მატჩი ჩაატარა და ამ პერიოდში 185 გოლი გაიტანა. ის საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირი ზედიზედ ხუთჯერ გახდა. როდესაც "ოლიმპიკში" **პიერ-ანდრე ჟინიაკი** გამოჩნდა, ბევრმა ეს უკანასკნელი სწორედ პაპენს შეადარა: *"ვფიქრობ მისთვის ზედმეტი ტვირთი საჭირო არ არის. ფეხბურთელების შედარება არ შეიძლება, ვიცი, რომ ძალიან გვიყვარს, მაგრამ ეს არასწორია. ჩვენ ერთ გუნდში არ ვთამაშობთ, არც საერთოდ თანაგუნდელები გვყავს და ფეხბურთიც საკმაოდ შეიცვალა. ჟინიაკი საფრანგეთის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, მან 25 გოლი გაიტანა და ამ ყველაფრისთვის გამართლების გამო არ მოულწევია. მას შეუძლია, რომ "ოლიმპიკისთვის" ისეთივე სასარგებლო იყოს, როგორიც "ტულუზისთვის" იყო, უბრალოდ ქომაგებმა და თანაგუნდელებმა მისი უნდა ირწმუნონ, მე კი შარშან მეჩვენებოდა, რომ ჟინიაკის შესაძლებლობებში ყველას ეჭვი ეპარებოდა".*

## პაპენს მარსელის კარგი სტარტი არ უკვირს

ჟან-პიერმა "მარსელში" 6 წელი გაატარა, 1991 წელს კი "ოქროს ბურთი" მოიგო და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. მიუხედავად იმ უამრავი პრობლემისა და სკანდალისა, რომელსაც სეზონის დაწყების წინ "მარსელში" ჰქონდა ადგილი, პაპენს კლუბის კარგი სტარტი არ გაკვირვებია: *"მე დარწმუნებული ვიყავი, რომ "ოლიმპიკი" კარგად დაიწყებდა, რადგან მაინცდამაინც რთული კალენდარიც არ ჰქონდა. ერთადერთი ძლიერი მეტოქე "მონპელიე" იყო, რომელიც ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ მგონი ყველა გუნდი მოუგებს. გაოცებას ის იწვევს, რომ ამ შედეგს გუნდი პრაქტიკულად იმავე ფეხბურთელებით აღწევს, მათ ხომ გამორჩეული არავინ შეუძენიათ. როგორც ჩანს, ფეხბურთელებმა სარკეში ჩაიხედეს და დაინახეს, რომ წინა სეზონის ჩავარდნა მთლიანად მათ სინდისზეა. "მარსელის" ასეთი კარგი სტარტი მოთამაშეების პასუხია იმ კრიტიკაზე, რომელიც მათ შარშან უხვად შეხვდათ".*

პროვანსელების ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი არის **ელი ბოპი**, ადამიანი, რომელთან ერთადაც პაპენი კარიერის ბოლოს "ბორდოში მუშაობდა, სადაც ბოპი მთავარი მწვრთნელი იყო.

*"ბოპის დანიშვნა კარგი იდეა იყო თუ ცუდი, ეს სეზონის ბოლოს გამოჩნდება. ახალ მწვრთნელს ყოველთვის ახალი იდეები და ხედვა მოაქვს, მაგრამ მთავარი მაინც შედეგია, ასე რომ მაისამდე უნდა მოვიცადოთ."*

ამბები



ჟილსონ კლეინა "პალმეირასის" ახალი მთავარი მწვრთნელია

## პალმეირასი კლეინამ უნდა გადაარჩინოს

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** გაგდების შემდეგ ბრაზილიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი და "სანტოსთან" ერთად ყველაზე ტიტულოვანი გუნდი (8-8 ჩემპიონობა) მთავარი მწვრთნელის გარეშე იყო დარჩენილი. სკოლარის შესაძლო შემცვლელებად **ემერსონ ლეაოს, ჟორჟინიოს** და **ფალკაოს** ასახელებდნენ, მაგრამ სან პაულოს კლუბის ხელმძღვანელებმა 500 000 დოლარის გადახდა არჩიეს და "პონტე პრეტადან" **ჟილსონ კლეინას** კონტრაქტი გამოისყიდეს.

44 წლის კლეინამ შარშან "პონტე პრეტას" სერია A-ს საგზური მოუპოვა, მიმდინარე სეზონში კი მისი გუნდი შთამბეჭდავ მეათე ადგილს იკავებდა. სპეციალისტს ბევრ კლუბში უმუშავია, მათ შორის 2000 წელს "მარსელში", სადაც ის ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელი იყო.

"პალმეირასის" ხელმძღვანელებმა კლეინას კონტრაქტი 2013 წლის დეკემბრამდე გაუფორმეს. მწვრთნელის წინაშე რთული ამოცანაა - მან გუნდი სერია A-ში უნდა დატოვოს. შეგახსენებთ, რომ "პალმეირასი" ჩემპიონატის დამთავრებამდე 14 ტურით ადრე 20 ქულით მე-19 ადგილზეა და მე-16 ადგილზე მყოფ "ფლამენგოს" 8 ქულით ჩამორჩება. პირველ მატჩს "მწვანეები", ახალი მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, შაბათს ჩაატარებენ. "პალმეირასი" უშუალო კონკურენტს, მე-18 ადგილზე მყოფ, "ფიგეირენსეს" ესტუმრება.

## რობინიო ნეიმარს ბარსაში წასვლას ურჩევს

"მილანის" ფორვარდი ბრაზილიურ გაზეთ "ლანსენეტს" გაესაუბრა და სხვა საინტერესო თემებთან ერთად **ნეიმარის** შესაძლო ტრანსფერზეც ისაუბრა. მოგეხსენებათ, ნეიმარს "სანტოსთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აკავშირებს. დიდი ხანია ცნობილია, რომ უნიჭიერესი ფეხბურთელით დაინტერესებას უამრავი კლუბი გამოხატავს, მაგრამ ყველაზე რეალური ფავორიტები "ბარსელონა" და "რეალი" არიან. რობინიო, მადრიდულ გუნდზე დღემდე ნაწყენია და ახალგაზრდა თანამემამულეს კატალონიურ გიგანტში გადასვლას ურჩევს. აი რა თქვა მან: *"ნეიმარი უნიჭიერესია და მას აქვს შანსი, რომ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს, მაგრამ ბრაზილიის ჩემპიონატში ამის გაკეთება შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, ის სათამაშოდ ლა ლიგაში უნდა წავიდეს და თუ "ბარსელონასა" და "რეალს" შორის ასარჩევი ექნება, მე მას "ბარსაში" გადასვლას ვურჩევ, რადგან ვილანოვას გუნდი მსოფლიოში საუკეთესოა და ბრაზილიელი ფეხბურთელები იქ ყოველთვის კარგად თამაშობდნენ".*

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ინტერვიუ. არიგო საკი

# მარადიული არაფერია

## ერთ დროს ჩემი მილანი მეფობდა

**არიგო საკი იტალიური სამწვრთნელო სკოლის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელია, რომელმაც თავის დროზე "მილანთან" ერთად უდიდეს წარმატებებს მიაღწია და შემდეგ, "სკუადრა აძურას" ჩაუდგა სათავეში. იტალიის ეროვნული ნაკრები 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, სადაც თერთმეტმეტრიანების სერიაში დამარცხდა ბრაზილიასთან. თუმცა, შედეგებზე მეტად, ის რევოლუციური ცვლილებებია აღსანიშნავი, რომლებიც სენიორ არიგომ სპორტის უპირველეს სახეობაში შეიტანა და რომლის წყალობითაც მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელთა შორისდაიმკვიდრა ადგილი. მისი რეფორმების დეტალებზე საუბარი შორის წაგვიყვანს და ჯობია, ეს საქმე სამომავლოდ გადავდოთ - დღეს კი "რაი სპორტისთვის" მიცემულ მის ინტერვიუს გავეცნოთ, რომელიც ძირითადად სამწვრთნელო თემატიკას ეხება...**



არიგო საკი

**- როგორ შეაფასებთ ახალი სეზონის სტარტს?**

- სიმართლე გითხრათ, საფეხბურთო ბატალიებში ჯერ კიდევ ვერ ჩავერთე სრულფასოვნად და არცთუ ისე დიდ ინფორმაციას ვფლობ. სხვათა შორის, ბევრია ჩემსავით და შესაძლოა, ეს ევროპის ჩემპიონატის ბრალი იყოს. კონტინენტის პირველობა იმდენად სანახაობრივი და ემოციური გამოვიდა, რომ საკლუბო ბატალიებზე გადმორთვა, თანაც სასტარტო პერიოდში ბევრს გაუჭირდა. დროთა განმავლობაში, სეზონი გახურდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

**- რადგან ევროპის ჩემპიონატი ასე ძალიან მოგეწონათ, იქნებ გაგვიზიაროთ თქვენი შთაბეჭდილება?**

- ძალიან დაძაბული და სანახაობრივი მატჩები ვიხილეთ, რომლებმაც პირადად მე უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. ამასთან, წინა პლანზე იყო წამოწეული მწვრთნელთა ტაქტიკური ჭიდილი, რამაც ჩემპიონატს დამატებითი პეწი შესძინა. გამახარა ჩვენი ნაკრების წარმატებულმა ასპარეზობამ და ვფიქრობ, რომ "აძურას" სულაც ტროფეის მოგება შეეძლო. მართალია, ფინალში ოთხბურთიანი უპირატესობით დაგვამარცხეს, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც ერთ გუნდს ყველაფერი გამოუვიდა, ხოლო მეორეს არაფერი. ყველა სიკეთესთან ერთად, ესპანელებს ფორტუნამაც გაუღიმა.

**- როგორ შეაფასებთ ჩეზარე პრანდელის მიერ შესრულებულ სამუშაოს?**

- ჩემპიონატის საწყის ორ პაექრობაში პრანდელი 3-5-2 ტაქტიკას იყენებდა, შემდეგ კი 4-4-2-ზე გააკეთა აქცენტი. ვფიქრობ, რომ ჩეზარე ყველა სხვა მწვრთნელზე უკეთ იყო მომზადებული და ეს არაერთ პაექრობაში დადასტურდა. პრანდელიმ ყველაზე მეტ ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება და ყველაზე უფრო მეტად იყო ამოუცნობი მეტოქეთათვის. მოკლედ, ჩეზარეს მუშაობას ძალიან მაღალ შეფასებას ვაძლევ. რაც შეეხება ფინალს, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ერთ კონკრეტულ შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ნახევარფინალში რომ პორტუგალიელებს ესპანელებისთვის თერთმეტმეტრიანების სერიაში მოეგოთ, ფინალში სხვა პირეწეელებს ვიხილავდით.

**- პრანდელი მუშაობას აგრძელებს, როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს იტალიას მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატზე?**

- ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ამიტომ, პროგნოზების გაკეთება არ მიყვარს. შეიძლება გუნდი ჩემპიონატისთვის იდეალურად მოამზადო, მაგრამ ერთმა ეპიზოდმა ყველაფერი თავდაყირა დააყენოს. მაგალითად, ბრაზილიის ნაკრები ვერასდროს ხდებოდა ჩემპიონი, როდესაც ფავორიტად ითვლებოდა და ხშირად მაშინ იგებდა ტურნირს, როდესაც ამას არავინ ელოდა. მოკლედ, ფეხბურთში პროგნოზების კეთება სრული სისულელეა. ისე კი, იტალია მომზადებული შეხვდება ბრაზილიურ მუნდიალს და აუცილებლად თასს დაუმიზნებს.

**- საკლუბო თემებზე გადმოვერთოთ. "მილანი" ღრმა კრიზისშია და სავარაუდოდ, მასიმილიანო ალეგრის პოსტის დატოვება მოუწევს...**

- "მილანი" მართლაც კრიზისშია და ეს შედეგებიდან ჩანს, მაგრამ ვერ ვხვდები, რატომ აკრიტიკებს ყველა მასიმილიანო ალეგრის. ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, "როსონერი" წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს, მათი ღირსეული შემცვლელები კი არ დაუმატებიათ. ასეთ პირობებში, მთავარი მწვრთნელისთვის მოთხოვნების წაყენება და მისი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება აშკარად არასწორია. ალეგრი ახალ რეალობაშია, მას ბევრად უფრო სუსტი შემადგენლობა ჰყავს, ვიდრე ჰყავდა და ამ ახალ რეალობასთან შესაგუებლად მეტი დრო სჭირდება. "მილანის" მესვეურთა მხრიდან, მწვრთნელის პასუხისმგებლობის დაყენება დღეს, რბილად რომ ვთქვათ არაადეკვატურია და პირადად მე, ალეგრის სრულ მხარდაჭერას ვუცხადებ.

**- თანამედროვე იტალიელი მწვრთნელებისგან ვინ არის თქვენი ფავორიტი?**

- ანტონიო კონტე, რომელმაც ჯერ კიდევ "ბარიში" მუშაობისას მიიქცია ჩემი ყურადღება. არანაკლებ ნაყოფიერი იყო "სიენაში", "იუვენტუსში" კი შესაძლებლობები სრულად წარმოაჩინა. ის რომ შესანიშნავი ტაქტიკოსი და სტრატეგია, ძველი ამბავია და ამაზე აღარ გავამახვილებ ყურადღებას... მთავარი ის გახლავთ, რომ გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე ადამიანია და მისი ეს თავდაჯერებულობა ფეხბურთელებზეც შესაბამისად აისახება. კონტე იტალიური სამწვრთნელო სკოლის მომავალია და იმედი მაქვს, ერთ მშვენიერ დღეს იტალიის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

**- ფეხბურთის მოდის კანონმდებლები დღეს ესპანელები არიან, რომლებმაც ცნობილი ტიკი-ტაკას მეშვეობით ყველაფერი მოიგეს. რა უნდა დაუპირისპირონ სხვა საფეხბურთო კულტურებმა ესპანურ მოდელს?**

- ეს "ბარსელონას" მოდელია, რომელიც შემდეგ ვისენტე დელ ბოსკემ ესპანეთის ეროვნულ გუნდში გადაიტანა. როდესაც მე მადრიდის "რეალში" ვმუშაობდი, ტიკი-ტაკას შესახებ არავინ არაფერი იცოდა და შესაბამისად, ეს ფილოსოფია ათწლეულების მანძილზე არ ყალიბდებოდა როგორც ამას ბევრი ამბობს. დღეს, "ბარსელონას" მოდელი მართლაც დომინანტია, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და აუცილებლად დადგება დღე, როდესაც ტიკი-ტაკას ჰეგემონია დაემხობა. იყო დრო, როდესაც ჩემი "მილანის" გამჩერებელი არავინ ჩანდა, მაგრამ როგორც ხედავთ, დღეს "მილანის" ღრმა კრიზისზე ვსაუბრობთ. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ პეპ გვარდიოლას შექმნილი "ბარსელონა" ჩემში აღფრთოვანებას იწვევს და არ მინდა ვინმე იფიქროს, რომ ტიკი-ტაკას საწინააღმდეგო მაქვს რამე.

**- "ბარსელონას" ჰეგემონია ჟოზე მოურინიოს უნდა დაემხო, მაგრამ ჯერჯერობით ამას მთლად ვერ ახერხებს...**

- ჟოზე მოურინიოს ასეთი მისია ვინ დააკისრა? - ვფიქრობ, ნებისმიერი მწვრთნელი უნდა ფიქრობდეს ახალი საფეხბურთო ფილოსოფიის შექმნაზე, რომელიც კატალონიურ მოდელზე უკეთესი აღმოჩნდება. სწორედ ასეთ ჭიდილში ვითარდებოდა ფეხბურთი ათწლეულების განმავლობაში და ასევე უნდა გაგრძელდეს. როდესაც ჰოლანდიელებმა ტოტალური ფეხბურთი მოიგონეს, მათი გამჩერებელი არავინ ჩანდა, მაგრამ ძალიან მალე, იმავე ტოტალურმა ფეხბურთმა სხვა ქვეყნებში უკეთესი ტრანსფორმაცია განიცადა და სხვა საფეხბურთო კულტურებად მოგვევლინა. ჩემი "მილანი", რომელსაც დაუმარცხებელი გუნდის სახელი ჰქონდა, სწორედ ტოტალური ფეხბურთიდან აღმოცენდა. ამიტომ, საჭიროა ან რაიმე სრულიად ახლის შექმნა, ან არსებულის ფორმირება და გაუმჯობესება. ამ ყველაფერზე ნებისმიერმა ამბიციურმა მწვრთნელმა უნდა იფიქროს და იზრუნოს.

**- რას ელით ფეხბურთისგან უახლოეს მომავალში?**

- იმედი მაქვს, რომ ფეხბურთში ძირეული ცვლილებები არ მოხდება, რასაც ბევრი ითხოვს. ვგულისხმობ, წესებში ცვლილებებს, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას თუ ათას სისულელეს... თუ ამ ყველაფერს ავცდით, ფეხბურთი კიდევ ძალიან დიდხანს იქნება ასეთი მიმზიდველი.

**ლაშა ნიკლაური**

პალერმო

# იღბლიანი და უიღბლო მწვრთნელები

ცნობილი ამბავია, რომ "პალერმოს" პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** მწვრთნელებს არ ინდობს და მათ გასათავისუფლებლად განსაკუთრებული საბაბი არ სჭირდება. ეგ კი არა, ხანდახან სრულიად უსაფუძვლოდ ხსნის მწვრთნელებს და მათ ნაცვლად ახალი სპეციალისტი მოჰყავს. მაგალითად, ასე იყო **სტეფანო პიოლის** შემთხვევაში, რომელიც ისე მოხსნა პოსტიდან, რომ მისი თავკაცობით "პალერმოს" ერთი მატჩიც არ ჰქონდა ჩატარებული. "პრეზიდენტის" ბოლო მსხვერპლი **ჯუზეპე სანინიო** გახლავთ, რომელმაც მხოლოდ სამ თამაშზე უთავკაცა გუნდს და უმუშევარიც დარჩა. მის ნაცვლად, "პალერმო" **ჯამპიერო გასპერინიმ** ჩაიბარა და გასაგებ მიზეზთა გამო, კონტრაქტში ისეთი პუნქტის ჩამატება მოითხოვა, რომელიც მის ფინანსურ დაზღვევას ითვალისწინებს - ანუ, კონტრაქტის ცალმხრივად გაწყვეტის შემთხვევაში, ის ჩვეულებრივად მიიღებს ყოველთვიურ გასამრჯელოს გათვალისწინებული ვადის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ ძამპარინი ასეთი პუნქტის ჩამატებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ გასპერინის შემთხვევაში გამონაკლისი დაუშვა. ამასობაში, "კორიერე დელო სპორტმა" "პალერმოს" პრეზიდენტის მიერ გათავისუფლებული მწვრთნელების რეიტინგი შეადგინა და ისინი ორ ნაწილად დაყო: იღბლიანი და უიღბლო მწვრთნელები - ბოლოს, სწორედ ამ რეიტინგს გავეცნოთ...

### იღბლიანი მწვრთნელები

ფრანჩესკო გვიდოლინი (112 მატჩი პალერმოს მთავარი მწვრთნელის რანგში), ალბერტო ძაკერონი (95), ვალტერ ნოველინო (72), დელიო როსი (59), პიეტრო მაროზო (44), ჩეზარე პრანდელი (43).

### უიღბლო მწვრთნელები

ეძიო გლირენი (3), რენცო გობო (3), ჯუზეპე მატერაცი (3), ჯუზეპე სანინიო (3), სერჯო ბუზო (1), სტეფანო პიოლი (0).

**ლაშა ნიკლაური**



მაურიციო ძამპარინი

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა



### კუელიარი დაისვენებს

"სანდერლენდის" 31 წლის ესპანელი ცენტრალური მცველი **კარლოს კუელიარი** "შავ კატებს" რამდენიმე კვირის განმავლობაში მუხლის ტრავმის გამო ვერ დაეხმარება. ზუსტი დიაგნოზი ჯერჯერობით უცნობია. პირენეელმა დაზიანება "ლივერპულთან" პირველ ტაიმში მიიღო. *"რას ვიზამთ, ძალიან სამწუხაროა, რომ ეს მოხდა, მაგრამ ფეხბურთში მსგავსი ტრავმები ხშირია. მისი გამოჯანმრთელების ლოდინის გარდა აღარაფერი დაგვრჩენია,"* – განაცხადა პრესკონფერენციაზე "სანდერლენდის" მთავარმა მწვრთნელმა **მარტინ ონილმა**.

### სტარიჯი ჩელსიდან გარბის

"ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი **დენიელ სტარიჯი** გუნდის სამწვრთნელო შტაბს კიდევ ერთხელ დაუპირისპირდა და იანვრის სატრანსფერო ფანჯრის გახსნისთანავე, შესაძლოა, "ლივერპულში" 12 მილიონ ფუნტად გაიყიდოს. ის, რომ ფეხბურთელი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, ახალი ამბავი არავისთვის არის, მაგრამ "იუვენტუსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში **რობერტო დი მატეომ** მას სკამზეც კი ვერ მოუნახა ადგილი. მწვრთნელები პირად საუბრებში უკვე აღარ მალავენ, რომ დენიელის არასათანადო განწყობით უკიდურესად უკმაყოფილონი არიან. იტალიელ მწვრთნელთან დაძაბული ურთიერთობის ამბავს არც ფეხბურთელი მალავს. შეიძლება ითქვას, რომ ყველანაირი წინა პირობა ტრანსფერის განსახორციელებლად მზადაა.

### 16 მილიონზე მეტი

"დეილი მეილის" ინფორმაციით, "ტორინო" **ანჯელო ოგბონას** ტრანსფერში დაინტერესებული კლუბებისგან 16 მილიონ ევროს ითხოვს. როგორც ირკვევა, ნიგერიული წარმოშობის 24 წლის იტალიელი ცენტრალური მცველის შეძენას "მანჩესტერ იუნაიტედი" ცდილობს. აი, რას აცხადებს იტალიური კლუბის სპორტული დირექტორი **ჯანლუკა პეტრაჩი**: *"ჩვენს თამაშებს ძალიან ბევრი სკაუტი ესწრება და უმრავლესობას ოგბონას თამაში აინტერესებს, რადგან ეს ბიჭი ძალიან დიდ პოტენციალს ფლობს. როგორც ვიცით, სკაუტებს შორის "იუნაიტედის" წარმომადგენლებიც არიან ხოლმე. თავად ფეხბურთელს დიდი გეგმები აქვს, მაგრამ ამ ეტაპზე აჯობებს, თუკი ის ჩვენთან დარჩება".*

### სიტის სამპდორიელმა თვალი მოსტაცა

"ფუტბოლ იტალიის" ცნობით, სამპდორიელი **პედრო ობიანგის** გადაბირებით "მანჩესტერ სიტი" დაინტერესდა. 20 წლის ესპანელი დაცვითი ტიპის ცენტრალური ნახევარმცველია. "ქალაქელებმა" ფეხბურთელზე დასაკვირვებლად **ატილიო ლომბარდო** მიავლინეს. საინტერესოა, რომ უკანასკნელს "ბლუჩერკატის" რიგებში 250-ზე მეტი თამაში აქვს გამართული.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ჩემპიონთა ლიგა. I ტური. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# ისევ ის იუვე და გალა

## ასევე: კლუჟი, ბატე და, რა თქმა უნდა, ლეო მესი

**მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ჩემპიონთა ლიგაში სენსაცია არ არსებობს, არსებობის უფლება, რა თქმა უნდა, აქვს, მაგრამ „კლუჟისა“ ბატე-ს წარმატებებს მაინც სენსაციები უნდა ვუწოდოთ. „ბარსას“ და „მანჩესტერს“ საუკეთესო ფორმამდე ბევრი აკლიათ, „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგისთვის მართლაც მზად ყოფილა და დაგვეთანხმეთ, რომ „გალათასარაი“ ჩემპიონთა ლიგას მაგრად უხდება!**

### E ჯგუფი

### ჩელსი-იუვენტუსი 2:2

**გოლები:** 1:0 ოსკარი (31), 2:0 ოსკარი (33), 2:1 ვიდალი (38), 2:2 კვალიარელა (81)

**ბურთის ფლობა:** 46%-54%; **დარტყმა:** 11-12; **კუთხურები:** 5-5

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ოსკარი (ჩელსი)

„იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგაში ძველებური ეფექტურობით დაბრუნდა: ტურინელებს „სტემფორდ ბრიჯზე“ ორი რეალური მომენტი ჰქონდათ, ორივე გამოიყენეს და შინ ქულით ხელდამშვენებულები დაბრუნდნენ.

მატჩი პირველიდან ბოლო წუთამდე ინტენსიური იყო, მაგრამ საქმე საგოლე მომენტებამდე არ მიდიოდა. „იუვე“ ჩემპიონთა ლიგის მოქმედ გამარჯვებულს თამამად უტევდა, სწრაფ ტემპშიც აჰყვა და მიუხედავად იმისა, რომ საწყის წუთებში მეკარეები ფაქტობრივად უსაქმოდ იყვნენ, თამაში ძალიან კარგი საყურებელი გამოვიდა და, რაც მთავარია, 4 გოლი ვნახეთ.

ლონდონელები **ოსკარის** ერთი მოხდენილი და ერთიც ბრწყინვალე გოლებით 2:0 დაწინაურდნენ - პირველი, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე, რიკოშეტით გაიტანეს, მეორე კი მართლაც გენიალური, თითით საჩვენებელი გოლი იყო. თუმცა **არტურო ვიდალმა** ერთი ბურთი პირველივე ტაიმში, ეფექტური დარტყმით გაქვითა, მეორე ტაიმში კი **ანტონიო კონტემ**, რომელიც თამაშს თვალს ყველასათვის კარგად ცნობილი მიზეზის გამო ტრიბუნებიდან ადევნებდა და ასისტენტ **კარერას** რჩევა დარიგებებს გვერდით მჯდომი კოლეგის დახმარებით აძლევდა, შეცვლა გამოიცნო: ანგარიში **კლაუდიო მარკიზიოს** პასით **ფაბიო კვალიარელამ** გაათანაბრა.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფრე ლოგიკური შედეგია, „ჩელსიში“ ოსკარმა გაიბრწყინა, „იუვენტუსი“ კი ჩემპიონთა ლიგისთვის მართლაც მზად ყოფილა...

**არტურო ვიდალი (იუვენტუსი):** *„ჩვენმა შრომამ შედეგი ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიღო. ყველას დავუმტკიცეთ, რომ ამ სეზონშიც შეგვიძლია ისეთი შემართებითა და მონდომებით თამაში, როგორითაც წინა სეზონში მთელი იტალია და ევროპა გავაოცეთ.“*

### შახტარი-ნორდსიელანდი 2:0

**გოლები:** 1:0 მხითარიანი (44), 2:0 მხითარიანი (76)

**ბურთის ფლობა:** 44%-56%; **დარტყმა:** 20-3; **კუთხურები:** 5:4

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ჰენრიხ მხითარიანი (შახტარი)

დანიის ჩემპიონს ევროპის საკლუბო ელიტაში დებიუტი ჰქონდა და ისე ითამაშა, როგორც დებიუტანტებს სჩვევიათ: „ნორდსიელანდის“ ფეხბურთელებმა დონეცკელებს კარისკენ მხოლოდ სამჯერ დაურტყეს, საპასუხოდ კი 20 დარტყმა მიიღეს და ორი გოლი გაუშვეს.

დანიელებს ყველაზე მეტად ერთი ფეხბურთელის მოთოკვა გაუჭირდათ: 23 წლის სომეხმა შემტევმა **ჰენრიხ მხითარიანმა** „ცხოვრების მატჩი“ ჩაატარა, დუბლი შეასრულა და „შახტარს“ სამი ქულა მოუტანა, რაც იმას ნიშნავს, რომ დონეცკური კლუბი პირველი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა. მომდევნო ტურში შახტარი „იუვენტუსს“ ესტუმრება და **მირჩა ლუჩესკუს** გუნდის რეალურ ძალას სწორედ ტურინში დავინახავთ.

რაც შეეხება „ნორდსიელანდს“: ჯერჯერობით ისე ჩანს, რომ ამ გუნდის ერთადერთი იმედი ის იქნება, რომ ბოლო დანიურმა კლუბმა, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობდა, 2010 წელს მერვედფინალში გააღწია...

**მირჩა ლუჩესკუ („შახტარის“ მწვრთნელი):** *„ნორდსიელანდთან“ საკუთარ მოედანზე აუცილებლად უნდა მოგვეგო და მიხარია, რომ ეს, ფაქტობრივად, უპრობლემოდ შევძელით.“*

### F ჯგუფი

### ბაიერნი-ვალენსია 2:1

**გოლები:** 1:0 შვაინშტაიგერი (38), 2:0 კროოსი (78), 2:1 ვალდესი (90)

**გაძევება:** რამი (90)

*92-ე წუთზე მანჯუკიჩმა (ბაიერნი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**ბურთის ფლობა:** 62%-38%; **დარტყმა:** 17-14; **კუთხურები:** 10-2

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ტონი კროოსი (ბაიერნი)

ახლა უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მიუნხენელებმა „ჩელსისთან“ „ალიანს არენაზე“ განცდილი დრამა საბოლოოდ დაივიწყეს: რეკორდმაისტერი „ვალენსიასთან“ ფინალის ტრაგიკულმა გმირმა, **ბასტიან შვაინშტაიგერმა** დააწინაურა. თუმცა რეკორდმაისტერს წუნი მაინც ჰქონდა - **ვალდესის** გვიანი გოლის მომენტში მიუნხენელი მცველები ცუდად გამოიყურებოდნენ, მერე კი **მარიო მანჯუკიჩმა** პენალტი ვერ გაიტანა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ **იუპ ჰაინკესმა ხავი მარტინესი** ძირითად შემადგენლობაში პირველად ათამაშა და 40-მილიონიანმა ესპანელმაც საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საუკეთესო კი გამთამაშებლის პოზიციაზე გამწესებული **ტონი კროოსი** გახლდათ, რომელიც, გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, მთელი მატჩის განმავლობაში მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

**იუპ ჰაინკესი („ბაიერნის“ მწვრთნელი):** *„მართალია, „ვალენსიას“ მომენტები თითქმის არ შევაქმნევინეთ, მაგრამ მიღებულ გოლს მაინც კრიტიკულად უნდა შევხედოთ. ასეთი რამ დაუშვებელია, ყველა მატჩში ბოლომდე კონცენტრირებულები უნდა ვიყოთ.“*

### ლილი-ბატე 1:3

**გოლები:** 0:1 ვოლოდკო (6), 0:2 როდიონოვი (20), 0:3 ოლეხნოვიჩი (43), 1:3 შედიუ (60)

**ბურთის ფლობა:** 55%-45%; **დარტყმა:** 24-6; **კუთხურები:** 10-0

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ალექსანდრ ვოლოდკო (ბატე)

ხუმრობის გარეშე: F ჯგუფს პირველი ტურის შემდეგ ბორისოვის ბატე ლიდერობს! ეს ბელარუსებისთვის ბრწყინვალე რეალობაა, „ლილისთვის“ კი მწარე სიმართლე. არა გვგონია, რომ „ლილის“ ასეთი მარცხის მიზეზი მხოლოდ **ედენ აზარის** დაკარგვა იყოს. ფაქტია, რომ ბატე გუშინწინ ფრანგულ კლუბზე გაცილებით ეფექტური გახლდათ. **ვოლოდკოს** გოლი ულამაზესი გამოვიდა (უძლიერესი დარტყმა 30 მეტრიდან), მეორე გოლი კი შეიძლებოდა არც ჩათვლილიყო, რადგან თამაშგარე მდგომარეობიდან გატანილს ჰგავდა.

მსაჯს მეორე ტაიმში შეეძლო „ლილის“ კარში ორი პენალტი დაენიშნა, მაგრამ ეს არ გააკეთა, ფრანგებმა კი პრესტიჟის გოლი შეაგდეს. ერთი სიტყვით, საღამო, რომელზეც ბატე-მ 45 წუთში იმაზე მეტი გოლი გაიტანა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის წინა გათამაშებაში მთლიანად, ბელარუსებს ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ.

### G ჯგუფი

### ბარსელონა-სპარტაკი 3:2

**გოლები:** 1:0 ტელიო (14), 1:1 ალვეში (29-საკ. კარში), 1:2 რომულო (58), 2:2 მესი (71), 3:2 მესი (80)

**ბურთის ფლობა:** 65%-35%; **დარტყმა:** 18-5; **კუთხურები:** 8-3

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ლიონელ მესი (ბარსელონა)

მაინც, რა გახდა რუსული კლუბები „ბარსელონასთვის“? კატალონიელებმა ჩემპიონთა ლიგაში ბოლო საშინაო მარცხი ყაზანის „რუბინთან“ (?!) იგემეს, შარშან მოსკოვში ცსკა-ს დაუზავდნენ (1:1), ახლა კი „ნოუ კამპზე“ კინაღამ „სპარტაკთან“ დამარცხდნენ. გასაგებია, რომ „კინაღამ“ არ ითვლება, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ამაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელი იყო.

მოსკოველებმა ტრადიციულად ხისტი ფეხბურთი ითამაშეს, მაგრამ ასეთი ხერხისთვის „ბარსას“ არაერთ გუნდს მიუმართავს, წარმატებისთვის კი მხოლოდ ერთეულებს და ისიც უიშვიათესად მიუღწევიათ. „სპარტაკის“ „კინაღამ-წარმატების“ საიდუმლო კი ამ შემთხვევაში აშკარად იმაში მდგომარეობს, კატალონიელებმა ბევრი შეცდომა რომ დაუშვეს.

**ტელიომ** ანგარიში მოხდენილი დარტყმით გახსნა, მაგრამ ეს გოლი სათვალავში ჩასაგდები აღარაა, რასაც ის **დანი ალვეშს** უნდა „უმადლოდეს“, რომელმაც უხერხული ავტოგოლით რუსებს წონასწორობა აღადგენინა.

მეორე ტაიმში **რომულოს** გოლმა „ნოუ კამპზე“ სენსაციის სუნი დააყენა, მაგრამ „ბარსას“ ხომ **ლეო მესი** ჰყავს, რომელსაც მოედანზე განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, მაგრამ დუბლი შეასრულა და თამაში კატალონიელთა სასარგებლოდ შეატრიალა. დავძენთ მხოლოდ იმას, რომ მესიმ ჩემპიონთა ლიგაში 52-ე და 53-ე გოლები გაიტანა.

**ხავიერ მასკერანო (ბარსელონა):** *„სპარტაკმა“ ძალიან კარგად ითამაშა, რაც, ვფიქრობ, უნაი ემერის დამსახურებაა, რომელიც კარგად გვიცნობს. მომავალში ასეთი შეცდომები აღარ უნდა დავუშვათ - ბოლო პასის გაკეთება ძალიან გვიჭირდა. კიდევ კარგი, რომ არ შევრცხვით.“*

**უნაი ემერი („სპარტაკის“ მწვრთნელი):** *„თამაშის წინ ვამბობდი, ბარსელონაში დიახაც მოსაგებად ჩამოვედით-მეთქი და ამის გამო ალბათ ბევრმა დამცინა. დარწმუნებული ვარ, რომ სკეპტიკოსები ახლა ჩუმად არიან. ჩვენ „ბარსას“ კინაღამ მოვუგეთ და მინდა ყველას შევახსენო, რომ „კამპ ნოუზე“ მოსაგებად აბსოლუტურად სრულყოფილი ფეხბურთის თამაშია საჭირო.“*

### სელტიკი-ბენფიკა 0:0

**ბურთის ფლობა:** 52%-48%; **დარტყმა:** 7-11; **კუთხურები:** 9-10

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** კრის კომონსი (სელტიკი)

ყველას გვაინტერესებდა, როგორ გადაიტანდა „ბენფიკა“ ისეთი ფეხბურთელების დაკარგვას, როგორებიც არიან **ვიტსელი** („ზენიტში“ გადავიდა) და **ხავი გარსია** („მანჩესტერ სიტის“ მიაშურა). სამწუხაროდ, გლაზგოში დაფიქსირებულმა 0:0-მა ამ კითხვას ნაწილობრივაც კი ვერ უპასუხა.

ზედმეტ რისკზე წასვლას ორივე გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ერიდებოდა და, შესაბამისად, უგოლო ფრე ლოგიკურია. უპასუხოდ დარჩა კიდევ ერთი, ნეიტრალური ქომაგისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი კითხვაც: რომელს უფრო შეუძლია „ბარსასთან“ ერთად მერვედფინალში გასვლისთვის ბრძოლა?



ჩელსი-იუვენტუსი 2:2. ჯონ ტერისა და სებასტიან ჯოვინკოს ორთაბრძოლა

### H ჯგუფი

### მან. იუნაიტედი-გალათასარაი 1:0

**გოლი:** 1:0 კერიკი (7)

*53-ე წუთზე ნანიმ (იუნაიტედი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**ბურთის ფლობა:** 52%-48%; **დარტყმა:** 18-3; **კუთხურები:** 7-7

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** დავიდ დე ხეა (მანჩესტერ იუნაიტედი)

2012 წლის 19 სექტემბრის შემდეგ „გალათასარაის“ ფანებისთვის საძულველი რამე-რუმეების სიას ორი რამე და ვინმე შეემატა: „ოლდ ტრაფორდის“ კარის ძელი და გერმანელი არბიტრი **ვოლფგანგ შტარკი**, რომელიც, თამამად ვთქვათ, გულზე არც ქართველებს გვეხატება. გუშინ მთელი საფეხბურთო თურქეთი და ადგილობრივი პრესა შტარკს უკიდურესად ცუდი ეპითეტებით იხსენიებდა იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა პირველ წუთზე (**ნემანია ვიდიჩის** ფოლი **უმუთ ბულუთზე**) მანჩესტერელთა კარში პენალტი არ დანიშნა. ამასთან, **ფათიჰ თერიმის** შეგირდებმა „იუნაიტედის“ კარის ძელი სამჯერ (!) „მოიკითხეს“.

„იუნაიტედი“ ძელის გარდა რამდენჯერმე მეკარე **დავიდ დე ხეამაც** იხსნა. განსაკუთრებით ეფექტური 72-ე წუთზე განხორციელებული ორმაგი სეივი გახლდათ, რითაც დე ხეამ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. მიუხედავად ამ ყველაფრისა, **სერ ალექს ფერგიუსონის** ბიჭებმა მაინც სამი ქულა მოიპოვეს, რისთვისაც **მაიკლ კერიკისა** და **შინჯი კაგავას** მშვენიერი კომბინაცია ეყოთ, რომელიც ქერიკმა გოლით დააგვირგვინა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „იუნაიტედმა“ პირველი ნაბიჯი გადადგა იქითკენ, რომ შარშანდელი ფიასკო აღარ გაიმეოროს. გეხსომებათ, მაშინ ფერგის გუნდი იმ ჯგუფში ჩარჩა, სადაც ინგლისური გიგანტის გარდა „ბენფიკა“, „ბაზელი“ და „ოცელული“ ასპარეზობდნენ. „გალათასარაიმ“ კი დაგვიმტკიცა, რომ ნაღდი თურქული გრანდია და ერთი თავით მაღლა დგას „ბეშიქთაშზე“, „ტრაბზონსპორზე“ „ფენერბაჰჩესა“ და „ბურსაზე“, რომლებიც წინა სეზონებში თურქულ ფეხბურთს ევროპაში არცხვენდნენ.

**ალექს ფერგიუსონი („მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელი):** *„პირველი მატჩის კვალობაზე კარგად ვითამაშეთ. სამი ქულით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმისათვის, რომ აღარ დაგვემართოს ის, რაც შარშან დაგვემართა.“*

**ფათიჰ თერიმი („გალათასარაის“ მწვრთნელი):** *„რა თქმა უნდა, დამწუხრებულები ვართ, რადგან თამაში წავაგეთ, მაგრამ, რაც მთავარია, დღეს „გალათასარაის“ სული და მენტალიტეტი კარგად გამოჩნდა. პენალტი არ დაგვინიშნეს, ბურთი ძელს სამჯერ მოვარტყით - მეტი რაღა ვთქვა?“*

### ბრაგა-კლუჟი 0:2

**გოლები:** 0:1 ბასტოსი (20), 0:2 ბასტოსი (34)

**ბურთის ფლობა:** 65%-35%; **დარტყმა:** 35-10; **კუთხურები:** 6-3

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** რაფაელ ბასტოსი (კლუჟი)

ამ მატჩმა ერთი მეტად საინტერესო ისტორია შექმნა: **რაფაელ ბასტოსმა** („ლიონის“ გაცილებით ცნობილ ფეხბურთელ **მიშელ ბასტოსში** არ აგერიოთ), რომელიც 2010 წელს „ბრაგას“ ღირსებას იცავდა, ყოფილი გუნდი ფაქტობრივად მარტომ დაამარცხა.

არადა, „ბრაგას“ ფეხბურთელებმა „კლუჟის“ კარისკენ 35-ჯერ (!!!) დაარტყეს და მთელი 90 წუთის მანძილზე სათამაშო უპირატესობასაც ფლობდნენ, გოლი კი ვერაფრით გაიტანეს. „კლუჟმა“ მიზანმიმართული, პრაგმატული ფეხბურთი ითამაშა, თან გაუმართლა და შინ სამი ქულა წაიღო. ვერ გეტყვით, რას იზამს „კლუჟი“ მომდევნო მატჩებში, მანამდე კი ფაქტია, რომ პირველი ტურის შემდეგ ჯგუფში ლიდერია. რაც შეეხება „ბრაგას“: პორტუგალიური კლუბი მერვედფინალში გამსვლელს არ ჰგავს.

**გოტფრიდ ლენცი**

● ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ. ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐ. IV ᲢᲣᲠᲘ. ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲬᲘᲜ

# ᲘᲡᲔᲕ ᲤᲔᲔ ᲒᲐᲘᲪᲘᲜᲔᲑᲡ?

## ᲓᲦᲔᲡ ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘᲡ ᲯᲐᲮᲘᲐ

**ᲓᲦᲔᲡ**

**ᲜᲘᲣᲠᲜᲑᲔᲠᲒᲘ–ᲐᲘᲜᲢᲠᲐᲮᲢᲘ 22:30**

**ტრავმა:** პლუშეკი, მენდლერი - ამედიკი, კუემაა

ᲑᲣᲜᲓᲔᲡᲚᲘᲒᲘᲡ მეოთხე ტური ორი ისეთი გუნდის დაპირისპირებით იხსნება, რომლებმაც სეზონის სტარტზე მთელი საფეხბურთო გერმანია გააოცეს. ეს განსაკუთრებით „აინტრახტზე" ითქმის, რადგან ფრანკფურტულ კლუბს მიუნხენის „ბაიერნის" დარად სამივე თამაში მოგებული აქვს. თუმცა არც „ნიურნბერგის" მიღწევაა (ორი მოგება, ერთი ფრე) ნაკლები კალიბრის, რადგან ფრანკებმა ის ერთი ფრე გერმანიის მოქმედ ჩემპიონ დორტმუნდის „ბორუსიასთან" დააფიქსირეს. ფაქტია, რომ ამ შეხვედრაში რომელიმე გუნდის ფავორიტად შერაცხვა შეუძლებელია.

„ნიურნბერგის" წარმატებას სამი ძირითადი მიზეზი აქვს: პირველი ტაქტიკური დისციპლინაა: მწვრთნელმა **დიტერ ჰეკინგმა** თავისი გუნდი ყველა მატჩისთვის სათანადოდ მოამზადა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ცენტრალური მცველები **კლოზე** და **ნილსონი** ძალიან კარგ ფორმაში არიან და ყველაზე



არმინ ფეე ჩინებულ განწყობაზეა: მის აინტრახტს სამივე თამაში მოგებული აქვს

მთავარი: „ნიურნბერგს" ჰყავს იაპონელი შემტევი ნახევარმცველი **ჰიროში კიოტაკე**, რომელიც უკვე მთელ საფეხბურთო გერმანიას ალაფრთოვანებს.

„აინტრახტი" ელიტაში ახლა დაბრუნდა და შესაბამისად, **არმინ ფეეს** გუნდის ასპროცენტიანი შედეგი ორმაგად დასაფასებელია. ფრანკფურტელები თვალსასეირო, შემტევ ფეხბურთს თამაშობენ და შედეგსაც აღწევენ. მიზეზი: ფეეს კარგად დაბალანსებული შემადგენლობა ჰყავს. „აინტრახტში" არიან როგორც ახალგაზრდა ტალანტები (**როდე, იუნგი, აიგნერი, ოჩიპკა, ინუი**), ასევე გამოცდილი და შემდგარი ფეხბურთელებიც (**მაიერი, შვეგლერი, ოუშენი**). ფრანკფურტელთა მეკარე **კევინ ტრაპი** კი ბრწყინვალე ფორმაშია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 2. აინტრახტი | 3 | 3 | 0 | 0 | 9-3 | 9 |
| 3. ჰანოვერი | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 7 |
| 4. შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 5. ბორუსია (დ) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 6. ნიურნბერგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5-3 | 7 |
| 7. ფორტუნა | 3 | 1 | 2 | 0 | 2-0 | 5 |
| 8. ფრაიბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6-6 | 4 |
| 9. ბორუსია (მ) | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 10. ვოლფსბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-4 | 4 |
| 11. ვერდერი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-5 | 3 |
| 12. ლევერკუზენი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 13. ფიურტი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-5 | 3 |
| 14. მაინცი | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| 15. აუგსბურგი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |
| 16. შტუტგარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-7 | 1 |
| 17. ჰამბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |
| 18. ჰოფენჰაიმი | 3 | 0 | 0 | 3 | 4-11 | 0 |

**ბომბარდირები:** 3 – თ. მიულერი (ბაიერნი); 2 – ჰუნტელაარი (შალკე), ლანიგი (აინტრახტი), მანჯუკიჩი (ბაიერნი), ა. მაიერი (აინტრახტი), შაჰინი (ფორტუნა), სობიეხი (ჰანოვერი).

● ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲐ. I ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ

# ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲝᲡᲙᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ



**ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ პირველი ტურის სიმბოლურ ნაკრებში რომან ვაიდენფელერს, ჰენრიხ მხითარიანს, ზლატან იბრაჰიმოვიჩსა და რაფაელ ბასტოსსაც მოვიაზრებდით, მაგრამ საბოლოოდ ამ 11 ფეხბურთელზე შევაჩერეთ არჩევანი.**

**დავიდ დე ხეა (მანჩესტერ იუნაიტედი)** - თანაგუნდელები რამდენჯერმე იხსნა. განსაკუთრებით ეფექტური კი 72-ე წუთზე განხორციელებული ორმაგი სეივი გახლდათ, რითაც დე ხეამ ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

**კირიაკოს პაპადოპულოსი (შალკე)** - „ოლიმპიაკოსის" ფანებმა ექს-ფეხბურთელი თბილად მიიღეს, მაგრამ პაპადოპულოსი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ სამაგალითო იყო. ბერძენმა მცველმა ორთაბრძოლების 75 პროცენტი მოიგო.

**დანტე (ბაიერნი):** რეკორდმაისტერის დაცვის ბურჯმა განსაკუთრებით კარგად პირველ ტაიმში ითამაშა და ლომის წვლილი შეიტანა იმაში, რომ ვალენსიელებმა პირველ ნახევარში მანუელ ნოიერი ერთხელაც ვერ შეაწუხეს. დანტე შეტევებშიც ხშირად და რაც მთავარია, ეფექტურად ერთვებოდა.

**მარსელო (რეალი)** - „რეალის" მარცხენა მცველს დაცვაში საქმე იშვიათად ჰქონდა, რის გამო, დროის უმეტესი ნაწილი შეტევებში გაატარა და განსაკუთრებით მეორე ტაიმში „სიტის" უკანახაზელებს სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ამასთან, მარსელომ შორეული დარტყმით გატანა ოთხჯერ სცადა და მიზანსაც მიაღწია.

**არტურო ვიდალი (იუვენტუსი)** - პირველ ტაიმში „იუვეს" ყველაზე ეფექტური ფეხბურთელი ვიდალი გახლდათ და თანაც, სწორედ მან შეძლო ტაიმის მიწურულს იმ გოლის გატანა, რომლითაც ტურინული გრანდი თამაშში დაბრუნდა. მეორე ნახევარში ისეთი ეფექტური აღარ იყო, მაგრამ ტურინელთა თითქმის ყველა სახიფათო იერიშში მონაწილეობდა.

**ტონი კროოსი (ბაიერნი)** - კროოსი ნომინალურად გამთამაშებლის პოზიციაზე იყო გამწესებული, მაგრამ უკანახაზელებს ძალიან ხშირად და რაც მთავარია, იდეალურად ეხმარებოდა, შვაინშტაიგერს ხშირად უცვლიდა პოზიციას და შეტევაში ჩართვის საშუალებას აძლევდა. კარგი თამაში ტონიმ მნიშვნელოვანი გოლით დააგვირგვინა.

**ისკო (მალაგა)** - 20 წლის ისკომ „მალაგას" გამარჯვებაში (3:0 ზენიტთან) ორი გოლითა და სამი სახიფათო დარტყმით მთავარი როლი შეასრულა და ანდალუსიურ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში საოცნებო სტარტი აღებინა.

**ოსკარი (ჩელსი)** - ბევრისთვის გასაოცრად 32 მილიონ ევროდ შეძენილ ოსკარს „იუვენტუსთან" მატჩში ნერვიულობა ოდნავადაც არ დასტყობია. ბრაზილიელმა ჯერ მარტო ანდრეა პირლოს გათიშვით გააკეთა დიდი საქმე და თანაც, „ჩელსის" ორივე გოლი მის ანგარიშზეა.

**ანხელ დი მარია (რეალი)** - არგენტინელი პირველ ტაიმში „რეალის" ყველა სახიფათო იერიშში მონაწილეობდა და გაელ კლიშის სიცოცხლე გაუმწარა.

**ჟერვინიო (არსენალი)** - ძალიან ბევრს მოძრაობდა. „მონპელიეს" დაცვის მარცხენა ფლანგი არაერთხელ გაარღვია. ამასთან, „არსენალის" გამარჯვების გოლი სწორედ ჟერვინიოს ანგარიშზეა.

**ლიონელ მესი (ბარსელონა)** - პირველ ტაიმში ლეო მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა, მეორე ნახევარში კი „ბარსა" სირცხვილისგან ორი გოლით იხსნა.

## ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ I ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲣᲠᲘ. ᲚᲔᲚᲝᲡ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ




● ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ

# ᲙᲚᲝᲞᲘ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ

ᲓᲝᲠᲢᲛᲣᲜᲓᲘᲡ „ბორუსიას" მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლოპმა**, რომელიც გერმანიაში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს, „გალასთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დორტმუნდში უბედნიერესია და თან გერმანიის ეროვნული ნაკრების თავკაცობაზე ოცნებობს.

*„დორტმუნდში" საოცნებო სამსახური მაქვს. „ბორუსია" სიგიჟემდე მიყვარს და აქედან დიდხანს არ წავალ, მაგრამ გერმანიის ნაკრებში მუშაობაზეც ვოცნებობ. ბუნდესმწვრთნელის თანამდებობაზე მუშაობა ნებისმიერი გერმანელი სპეციალისტისთვის საოცნებოა და გამონაკლისი არც მე ვარ. თუ ოდესმე ბუნდესგუნდში დამიძახებენ, უარს, რა თქმა უნდა, არ ვიტყვი,"* - განაცხადა 45 წლის კლოპმა.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ
**გოტფრიდ ᲚᲔᲜᲪᲛᲐ**



იურგენ კლოპი



# TimeLine

ვაჟა სიზონიშვილი

# ერთად გავშიფროთ ფესტოს დისკო

პარლამენტის ბიბლიოთეკა

1908 წელს იტალიელმა არქეოლოგმა პერნიემ კუნძულ კრეტაზე, ქალაქ ფესტოსში დისკო აღმოაჩინა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის 1850-1600 წლებით თარიღდება. მასზე გამოსახული სიმბოლოები გარკვეული თანამიმდევრობითაა განლაგებული და ცხადია, რაღაცა აზრს გადმოსცემს. დისკოს გაშიფვრა უამრავმა მეცნიერმა სცადა, ზოგს მიაჩნია, რომ მასზე პროტოქართული საგალობელია დაბეჭდილი... არსებობს კიდევ უამრავი საინტერესო ვერსია, თუმცა დისკოს სპორტული კუთხით თუ მივუდგებით, არც ჩვენ გაგვიჭირდება მასში დაშიფრული ამბის წაკითხვა - იქ ხომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ისტორიაა გადმოცემული. უკვე მეათე ციკლია, ჩვენი ეროვნული გუნდი საერთაშორისო სარბიელზე იცავს საქართველოს ღირსებას. მეათის დასაწყისი შთამბეჭდავია: გამარჯვება ბელარუსთან (1:0) და ორგანიზებული თამაში ესპანეთთან (0:1).
მეტს აღარ განვაგრძობთ, მივყვეთ მოვლენებს თანამიმდევრობით.



## ევრო-1996

მეორე სიმბოლო კოლიზეუმი არ გეგონოთ, 4 ათასი წლის წინათ გლადიატორთა არენა არ არსებობდა. დისკოზე გამოსახულია ეროვნული სტადიონი, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ყველაზე მეტად 1995 წელს გაივსო - 110 ათასი გულშემატკივარი ტრიბუნებიდან, კიბეებიდან და გასასვლელებიდან ადევნებდა თვალს საქართველო-გერმანიის დაპირისპირებას, რომელშიც ურიგოდ არ გვითამაშია, მაგრამ **იურგენ კლინსმანის** კლასმა თავისი გაიტანა.





საქართველოს ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი გოლი პირველ შესარჩევზე **გიორგი ქინქლაძემ** გაიტანა (უელსელთა კარში). მანვე შოთა არველაძის პირველ წუთზე გატანილ გოლს 47-ზე ზუსტი პენალტი მიაყოლა და საქართველოს ნაკრებმა ისტორიაში ყველაზე ხმაურიანი გამარჯვება ბულგარეთთან მოიპოვა - 2:1.



რას ნიშნავს ბურთი და მასში ჩახატული სამი წერტილი? გადავხედოთ ასეთსავე ნიშნებს, ზოგან ხუთი წერტილია, ზოგან - ექვსი. ჯგუფში სწორედ მეხუთე-მეექვსე ადგილებს შეგვაჩვია ნაკრებმა. ასე რომ, პირველ შესარჩევზე ბურთულაში მოცემული სამი წერტილი ჯგუფში მესამე ადგილის მანიშნებელია.



6. ათფურცლიანი ყვავილი ორადაა გაყოფილი - ნახევარი თეთრია, ნახევარი - შავი. საქართველოს ნაკრებმა 10-დან 5 მატჩი მოიგო და ხუთში დამარცხდა, ფრე არ უთამაშია. ასე რომ, ეს ყვავილიც მოგება-წაგება-ფრის აღმრიცხველია.

## მუნდიალი-1998

ჩვენს ჯგუფში ორი გრანდი მოხვდა - ინგლისი და იტალია. მათთან საწყის ორ მატჩში ვერაფერი გავაწყვეთ, ვერ შევაწუხეთ ულვაშიანი ბრიტანელი **დევიდ სიმენი**. არადა, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გოლის ავტორს მაშინ თეთრ მერსედესს ჩუქნიდნენ...



**ალექსანდრე ჩივაძე** საწყისი ორი წაგების გამო მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გაათავისუფლეს.



...და ორხელისუფლებიანობის დრო დადგა, ერთდროულად მუშაობდნენ **დავით ყიფიანი** და **რევაზ ძოძუაშვილი**.



ორი „ბუბლიკი“ რაღას უნდა ნიშნავდეს? - იკითხავთ. ვისაც ის შესარჩევი კარგად ახსოვს, ისიც არ დაავიწყდებოდა, რომ ისტორიაში ყველაზე ხმაურიან ფრეს ქართველებმა იტალიასთან მივაღწიეთ - 0:0. მატჩის დასრულებისთანავე კმაყოფილმა გულშემატკივრებმა გუნდი ცეცხლით გააცილეს (გაზეთებს წაუკიდეს).

ჯგუფში მეოთხე ადგილი დავიკავეთ, რვა მატჩიდან სამი მოვიგეთ და ერთი ფრედ დავასრულეთ.

## ევრო-2000

დისკოს ამ მონაკვეთში პირველად ჩნდება მოსიარული კაცის გამოსახულება - შესარჩევზე მართლაც დიდი მიდი-მოდი გაჩაღდა: ნორვეგიასთან მატჩის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **ვლადიმერ გუცაევმა**. იგი **იოჰან ბოსკამპმა** ჩაანაცვლა, რომელმაც ერთ-ერთი ვარჯიშისას **ზაზა ჯანაშია** „დინამოს“ ბაზიდან გაუშვა. არადა, მაშინ ზაზა კარიერის პიკში იყო და მისი ლაციოში გადასვლაზეც დაირხა ხმები. თავის მხრივ არც ბოსკამპი დარჩენილა პოსტზე დიდხანს...








ერთი მოგება და ბოლო ადგილი - ასეთი იყო „დიდი“ რეფორმების შედეგი.

## მუნდიალი-2002

დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით ნაკრებმა ეტაპი საოცრად დაიწყო - სტუმრად ლიტვას აჯობა, ხოლო იტალიაში ფრეს იმსახურებდა, თუმცა აპენინელები ჩვენს საჯარიმოში ორჯერ მცველის შეუხებლად აყირავდნენ და მსაჯმა ორივეჯერ უნამუსოდ დასტვინა. **ალესანდრო დელ პიეროს** კი პენალტის დარტყმა კარგად ეხერხებოდა... თუმცა ჯერ ხომ ისევ ფეხბურთელია, ამიტომ უნდა დამეწერა - ეხერხება.



ამ შესარჩევზე მწვრთნელი არ იძახებდა **ალექსანდრე იაშვილსა** და **გოჩა ჯამარაულს**.

ისინი დავით ყიფიანის შემცვლელმა ალექსანდრე ჩივაძემ ნაკრებში დააბრუნა და უნგრეთთან იაშკას გოლიც ვიხილეთ.

3 გამარჯვება და მესამე ადგილი ურიგო შედეგი არ იყო.

## ევრო-2004

ეს შავი მსხლისებრი ფიგურა ნათურაა - შესარჩევი ტურნირის დასაწყისში საქართველო-რუსეთის მატჩისას ტრიბუნაზე სინათლე გამოირთო და შეხვედრა გაზაფხულისთვის გადაიდო.

გადადებულ შეხვედრაში გუნდს **ივო შუშაკი** გაუძღვა, გამარჯვების გოლი კი **მალხაზ ასათიანმა** თავით გაიტანა - 1:0.



ამ მატჩზე ბილეთები არ გაყიდულა, მხოლოდ ისინი შეუშვეს, ვისაც შუქჩამქრალი თამაშის ბილეთი შერჩენოდა. ქომაგთა რიცხვის შეზღუდვის მიზეზი წინა შეხვედრისას (ირლანდიასთან) ტრიბუნიდან მოედანზე გადაგდებული დანა იყო.

კაცი გვირგვინით მეფეა. რა ჰქვია, საფეხბურთო მეფეს? - ფედერაციის პრეზიდენტი. საინტერესოა, რომ პრეზიდენტმა **მერაბ ჟორდანიამ** შესარჩევი ციკლი მთავარი მწვრთნელის რანგში ჩაამთავრა.

...2 მოგება, მეხუთე ადგილი.

**მუნდიალი-2006**

ჟორდანიამ გუნდის თავკაცად **ალენ ჟირესს** უხმო. ყველაფერი კარგად დაიწყო (თურქეთში 1:1 ვითამაშეთ, ხოლო დანიასთან - 2:2) და ცუდად დასრულდა. ჟირესის ნაცვლად ნაკრების თავკაცის პოსტზე **გაიოზ დარსაძე** დაინიშნა.



ექვსი ჯოხი დანიაში მიღებული ექვსი ბურთი უნდა იყოს, ისტორიაში ყველაზე დიდი სხვაობით ხომ სწორედ ვიკინგებთან დავმარცხდით - 1:6.

2 მოგება, 4 ფრე, მეექვსე ადგილი. მხოლოდ ყაზახეთს გავასწარით.

**ევრო-2008**

სოლიდური ანაზღაურების ფასად გერმანელი **კლაუს ტოპმიოლერი** ჩამოვიდა, რომელმაც ისევე უსახელოდ დატოვა პოსტი, როგორც მისმა წინამორბედებმა.



ტოპის გამონათება შოტლანდიასთან 2:0 მოგება იყო, რომელსაც ბევრი არ ელოდა.

12 მატჩში 3 მოგება, მეექვსე ადგილი.

**მუნდიალი-2010**

ყველაზე უიღბლო **ექტორ რაულ კუპერი** გამოდგა, რომლის ხელში გუნდმა ერთი მატჩიც ვერ მოიგო. არადა, იგი საქართველოში ცხოვრობდა და ბევრსაც მუშაობდა. გავიხსენოთ თუნდაც მისი სამშაბათობები.



ბულგარეთში 2:6 წავაგეთ.
ისევ მეექვსე ადგილი ჯგუფში.

**ევრო-2012**

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებს ქართველი მწვრთნელი დაუბრუნდა. **თემურ ქეცბაიამ** ახალი გუნდის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი.



მონატრებული ხმაურიანი გამარჯვება „ტაქსისტებთან" კი არა, ხორვატებთან გვქონდა - **ლევან კობიაშვილის** გოლით 1:0 მოვიგეთ.

ამ მატჩის შემდეგ ქეცბაიას **გოგიტა გოგუა** გუნდში აღარ მიუწვევია.

2 მოგება, 4 ფრე, მეხუთე ადგილი.

**მუნდიალი-2014**

ეს ნიშანი პირველი ციკლიდან გეცნობათ - „დინამოს" სტადიონია, რომელიც პირთამდე 1995 წლის შემდეგ პირველად ესპანეთთან თამაშისას გაივსო. თუმცა რესტავრირებულ არენაზე შედარებით ნაკლები ხალხი ეტევა, ესპანეთის თამაშს თვალი 54 598-მა ქომაგმა მიადევნა.

კინაღამ სენსაცია გამოვაცხვეთ - ცოტაც და ესპანურ ხარს რქებს მოვუგრეხდით.

**სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!**

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

● ჭადრაკი



გიგა ყუფარაძე (მარჯვნივ)

# მაჟორული ფინიში

ქართველ მოჭადრაკეთა უმრავლესობისთვის იზმირის (თურქეთი) საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.250 დოლარი) ბოლო ტური წარმატებული აღმოჩნდა, განსაკუთრებით **ბაჩანა მორჩიაშვილისა** და **გიგა ყუფარაძის** გამარჯვებები უნდა აღინიშნოს. ფინიშის სწორზე 6,5-6,5 ქულით ერთბაშად 9 მოჭადრაკე ინარჩუნებდა პირველ ადგილზე გასვლის შანსს. მათგან შედეგიანად მხოლოდ სამმა დაასრულა პარტია: მორჩიაშვილმა შავი ფიგურებით ივან როზუმი დაამარცხა, ყუფარაძემ თეთრებით ივან პოპოვს სძლია, ნაზარ ფირმანმა (უკრაინა) ჰანძარ ოდეევს აჯობა. სამივემ 7,5-7,5 ქულას მოუყარა თავი. უკეთესი კოეფიციენტით პირველობა და 2.000 დოლარი ფირმანს ხვდა. მეორე ადგილზე (1.500 დოლარი) მორჩიაშვილი გავიდა, რომელმაც რეიტინგი ერთბაშად 31 პუნქტით გაიმდიდრა. მესამე ადგილი და 17 პუნქტი გიგა ყუფარაძეს (1.000 დოლარი) ერგო.

ჩვენებურთაგან ფინიშზე სხვა მოჭადრაკეებმაც გამოიჩინეს თავი: არმენ გრიგორიევი - **დავით მაღალაშვილი** 0:1, ფეტი ეფეიდინი - **ზურაბ ჯავახაძე** 0:1, **კონსტანტინე შანავა** - სერხან გუდერი 1:0, კირილ სტუპაკი - **ივერი ჭილაძე** 1:0, **შოთა აზალაძე** - **მარიამ ჭოლაძე** 1:0.

ცხრა მოჭადრაკემ, მათ შორის - მაღალაშვილმა და ჯავახაძემ, 9-9 ქულა მოაგროვეს. ამის მიუხედავად, დათომ რეიტინგში შვიდი პუნქტი დაკარგა, ხოლო ზურაბმა, რომელსაც რამდენიმე დღის წინათ სტამბოლში ფიდეს კონგრესზე საერთაშორისო ოსტატობა მიენიჭა, მონაგარი ერთი პუნქტით გაიმდიდრა. კონსტანტინე შანავა - 6,5 (-14 პუნქტი), შოთა აზალაძე - 6 (-12), არმენ გრიგორიევი - 6 (+10), ალექსანდრე ებრალიძე - 6 (0), ივერი ჭილაძე - 5,5 (-7), მარიამ ჭოლაძე - 5,5 (+11) ქულა.

**ვაჟა დანელია**

# ტურნირი ძველ სატახტო ქალაქში

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის რეგიონული განყოფილების თანადგომით, ჩვენს ძველ სატახტო ქალაქში - მცხეთაში - მხარის პირველობა ჩაატარა სწრაფ ჭადრაკში. მონაწილეობდნენ მცხეთელი, დუშელი, თიანელი, ყაზბეგელი სპორტსმენები; ასპარეზობა გაიმართა „სპორტული ფესტივალი საქართველო 2012"-ის პროგრამის ფარგლებში.

22 მონაწილეს შორის, პირველი ადგილი - 7 შესაძლებლიდან 7 ქულით, უკრაინული წარმოშობის მცხეთელმა **გენადი ბონდარენკომ** მოიპოვა. მეორე ადგილზე, ასევე მცხეთელი - **რუსუდან ჭკუასელი** გავიდა (5,5 ქ.), მესამეზე - დუშელი **ელგუჯა ბედოშვილი** (5,5 ქ.).

ფედერაციის პრეზიდენტმა - **გია გიორგაძემ** და მხარის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა - **ელდარ გულბათაშვილმა** გამარჯვებულნი დააჯილდოეს დიპლომებით, მედლებით, სპორტული თასებით და ფულადი თანხით (ჩემპიონს - 500), ვიცე-ჩემპიონს - 300, მესამე პრიზიორს - 200 ლარი გადაეცათ).

მომდევნო შეჯიბრებას - იმერეთის მხარის პირველობას, სულ მალე ბაღდათი უმასპინძლებს.

**გელა გარაყანიძე**
ტურნირის მონაწილე, მცხეთა



# კახური დებიუტი

სპორტული ფესტივალი „საქართველო 2012" ბრძენთა თამაშის მოყვარულებმა კახეთიდან დაიწყეს: თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს და ახმეტის 28 მოჭადრაკე მონაწილეობდა კახეთის რეგიონის ფინალურ გათამაშებაში, რომელსაც სიღნაღმა უმასპინძლა. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გაიმართა. ქულათა მაქსიმალური რაოდენობით პირველი ადგილი თელაველმა **იოსებ შაშვიაშვილმა** დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე მასპინძლები - **ივანე სიფრაშვილი** და **ივანე მინდორაშვილი** გავიდნენ. გამარჯვებულები და პრიზიორები მედლებითა და თასებით დააჯილდოეს.

22 სექტემბრიდან სპორტული ფესტივალი „საქართველო 2012" დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლებს. მოჭადრაკეთა პირველი მასპინძელი ბაღდათი იქნება.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ნახევარფინალი და ფინალი უქართველებოდ

ბათუმში დასასრულს უახლოვდება ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 15.000 დოლარი), რომელშიც 14 ჩვენებური ჩაება, მაგრამ ნახევარფინალამდე ყველა დაემშვიდობა შეჯიბრებას. ასპარეზობის მე-2 ნომრად იყო განთესილი **სოფიო ქვაცაბაია**, თუმცა მე-7 ნომერი უკრაინელის - ანა შკუდუნის წინააღმდეგობის დაძლევა ვერ შეძლო. ქართველმა ჩოგბურთელმა დაძაბულ პაექრობაში ორივე სეტი დათმო - 5:7, 5:7 და გულშემატკივრებში გადაინაცვლა. მისი ბედი გაიზიარა **ეკატერინე გორგოძემ** (მე-6) - ტურნირის რეიტინგფავორიტ იულია კალაბინასთან (რუსეთი) დამარცხდა - 6:7, 2:6. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ნახევარფინალში ევგენია პაშკოვას (რუსეთი, 4) მძლეველ ანი ამირაგიანს (სომხეთი, 8) შეხვდება. მეორე ნახევარფინალში შკუდუნი და მისი თანამემამულე ოლგა იანჩუკი (გუშინ მან თავისი და - ელიზავეტა იანჩუკი დაჯაბნა - 2:6, 6:1, 6:3) გაარკვევენ ერთმანეთთან ურთიერთობას.



სოფიო ქვაცაბაია

ქართველმა ჩოგბურთელებმა ვერც წყვილებში იყოჩაღეს: ეკატერინე გორგოძისა და სოფიო ქვაცაბაიას პირველ ნომრად განთესილმა დუეტმა, რომელმაც წლეულს ორი ევროპული ტურნირი მოიგო, ბათუმში მესამე ნომერ იულია კალაბინასთან და ევგენია პაშკოვასთან სამ სეტში დამარცხდა: 5:7, 6:4, 9:11. რუსების წყვილს ფინალში ალონა ფომინა და ანა შკუდუნი (4) შეხვდებიან. უკრაინელებმა ალემანებს - ტერეზა კლეინშტეუბერსა და რია საბეის დააყრევინეს ფარ-ხმალი - 6:4, 6:1.

**ვაჟა დანელია**

## ქართული სპორტი

**კრივი**




# მსოფლიო პირველობაზე ტექნიკურ დელეგატად

წლეულს 28 ნოემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით ერევანი ახალგაზრდა მოკრივეთა მსოფლიოს პირველობას უმასპინძლებს. ევროპის კრივის კონფედერაციის გადაწყვეტილებით, სომხეთის დედაქალაქში შეჯიბრების ტექნიკურ დელეგატად დაინიშნა საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი, ევროპის კრივის კონფედერაციის აღმასკომისა და მსაჯთა კომიტეტის წევრი, AIBA-ს ტექნიკური დელეგატი **ვლადიმერ ახალკაცი**, რომელიც მსაჯთა ჟიურის უხელმძღვანელებს.

- ძალიან დაძაბული მსოფლიოს პირველობა იქნება, - გვითხრა ვლადიმერ ახალკაცმა. - წინასწარი მონაცემებით, თითოეულ წონაში ათეულობით მონაწილე მოსინჯავს ძალებს. გადაწყვეტილი გვაქვს, ამ შეჯიბრებაზე 7-8 სპორტსმენით ვიასპარეზოთ. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეჟან ჭიჭინაძემ ფედერაციას უკვე წარუდგინა გაფართოებული გუნდის შემადგენლობა 17 მოკრივით. ისინი დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან მზადებას. შემდეგ შესარჩევი შეხვედრები გაიმართება. უკვე შევუთანხმდით სომეხ კოლეგებს და შეჯიბრების დაწყებამდე დაახლოებით ათი დღით ადრე ბოლო საწვრთნელ შეკრებას ერევანში ჩავატარებთ რამდენიმე ქვეყნის ნაკრებთან ერთად. ამჟამად ახალგაზრდული ნაკრების ლიდერია ალექსანდრე დოკვაძე (81 კგ), რომელმაც შარშანწინ ლვოვში კადეტებში ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. მას სომხეთის დედაქალაქშიც შეუძლია მედლისთვის ბრძოლა.

**- შევიტყვეთ, რომ კალინინგრადშიც გიპირებენ ტექნიკურ დირექტორობას...**

- ევროპის კრივის კონფედერაციის პრეზიდენტის - ჰუმბერტ ფურგონის ინიციატივით წლეულს პირველად გაიმართება 19-22 წლის მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატი, რომლის მასპინძლობის უფლებაც კალინინგრადს ერგო. იქ შეჯიბრება ერევნის მსოფლიოს პირველობის დამთავრების მეორე დღეს - 9 დეკემბერს დაიწყება. იქაც დელეგატობას როგორ მოვასწრებ, ჯერჯერობით ვერ გეტყვით. მთავარი ის არის, რომ იმ შეჯიბრებაზე საქართველოს რვაკაციანი გუნდი გაემგზავრება. სწორედ, კალინინგრადული ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად კრასნოიარსკიდან ჩამოვიყვანეთ 21 წლის ლტოლვილი მოკრივე, მძიმეწონოსანი გიორგი პურიჭამიაშვილი, რომელსაც კარგი მონაცემები აქვს და ეროვნული ნაკრების წევრებსაც გაუწევს სათანადო კონკურენციას. თუკი ნაკრებში ადგილს დაიმკვიდრებენ, 19-22-წლიანთა ევროპის პირველობაზე გამოსვლის შანსი მიეცემათ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს - ზაალ კვაჭატაძეს, ჯაბა ხოსიტაშვილს, ასევე, იაგო კიზირიას, რომლებსაც ასაკიც ხელს აძლევთ. ამ ნაკრების მწვრთნელის ვინაობა ამ დღეებში გაირკვევა.

**- ბატონო ვლადიმერ, ლონდონის ოლიმპიადასაც ხომ ვერ გაიხსენებთ?**

- დღემდე შოკში ვარ. ისეთი სირცხვილი ვჭამეთ, ალბათ, 100 წელიწადში ერთხელაც რომ არ დაემართება ადამიანს. უბრალოდ, იმ ფაქტის შეფასებაც არ შეიძლება. უახლოეს ხანში ფედერაციის სხდომა გაიმართება. იქ ბევრ რამეზე ვიმსჯელებთ, მათ შორის - ეროვნული ნაკრების დაკომპლექტებისა და მწვრთნელების დასახმარებლად უცხოელი კონსულტანტის მოწვევის საკითხიც განიხილება. 15-20 ნოემბერს თბილისში ეროვნულ ჩემპიონატს ჩავატარებთ და ჩვენი სამომავლო გეგმები და მიზნებიც უფრო ნათელი გახდება.

**ვაჟა დანელია**

**ძიუდო**

# ვეტერანები კიმონოში

ქარელის სასპორტო სკოლის დარბაზმა რეგიონულ პირად-გუნდურ პირველობას უმასპინძლა ძიუდოში ვეტერანებს შორის. შეჯიბრებაში შიდა ქართლის ოთხივე რეგიონის ორმოცამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

პირად პირველობაში საუკეთესოები ხუთ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ. გაგაცნობთ გამარჯვებულებს: 66 კგ. - **თენგიზ პავლიაშვილი**, 73კგ. - **გია საბაშვილი**, 81კგ. - **ბესიკ გიორგაშვილი** (სამივე-გორი), 90კგ. - **მამუკა ჩიბირაშვილი**, მძიმე - **გია კილასონია** (ორივე-ქარელი).

გუნდურ ჩათვლაში ადგილი ასე განაწილდა: 1. გორი, 2. ქარელი, 3. კასპი. სამივე გუნდი დაჯილდოვდა ფულადი პრიზებით: I ადგილი 1000, II – 650, და III – 350 ლარი. ფალავნებს საჩუქრად გადაეცათ აგრეთვე კიმონოები. ფულადი და ფასიანი საჩუქრები საქართველოს ძიუდოს ფედერაციამ გამოყო. შეჯიბრების ორგანიზება ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანებამ (გია ბერუაშვილი) უზრუნველყო.

**ვასილ ბალახაძე**



**ჭიდაობა ჩვენი, ქართული...**



# მთავარი პრიზი – ხარი

ფალავნებით განთქმულ კასპის რაიონის სოფელ მეტეხში ამ დღეებში გაიმართა ქართულ ჭიდაობაში ცნობილი ფალავნის, სამბოში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონ იოსებ მალალაშვილის სახელობის ტურნირი შიდა და ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის და თბილისის წარმომადგენელთა მონაწილეობით. საუკეთესოები მხოლოდ ერთ - აბსოლუტურ წონით კატეგორიაში უნდა გარკვეულიყო. პირველობა კი არავის დაუთმო მეტეხელმა ფალავანმა, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა **შმაგი შარიფაშვილმა.** ფინალში მან რუსთაველ **გიორგი კილაძეს** აჯობა. მესამე ადგილზე გავიდა ხოვლელი **გიორგი მიქუტაშვილი.** გამარჯვებულს ხარი გადასცეს პრიზად. ჯილდოები ერგოთ საპრიზო ადგილზე გასულებსაც. ასპარეზობა ცნობილი ადგილობრივი სპეციალისტის **ოლეგ იაძის** მიერ იყო ორგანიზებული.

**ვასილ ბალახაძე**

**სუმო. სექტემბრის ბაშო. 9-23.09**

# ქართული დერბი ტოჩინოშინისაა

გუშინ ტოკიოში ქართული დერბი გაიმართა - **ტოჩინოშინი (ლევან გორგაძე)** და **გაგამარუ (თეიმურაზ ჯუღელი)** ერთმანეთს მეოთხედ დაუპირისპირდნენ კარიერაში.

კომუსუბის ტიტულის მფლობელი (ამ ტიტულს ლევანი მომავალ თვეში დაკარგავს) ტოჩინოშინი დაჯახებისას მარცხნივ გადახტა და ისე იგდო მეტოქის მავაში ხელთ. ამის შემდეგ მან 212-კილოგრამიანი გაგამარუ დოჰიოს კიდემდე მიიყვანა, იქ კი უვატენაგეს ილეთით წააქცია. ურთიერთდაპირისპირებებში ანგარიში გათანაბრდა (2:2), ტოჩინოშინისთვის ეს მე-4 გამარჯვება იყო შემოდგომის ბაშოზე. დღეს ის **ჰომაშოს** (5:5 ურთიერთშეხვედრებში) შეხვდება, გაგამარუს მეტოქე კი ოსი **არანი** (2:2) იქნება.

### XII დღე

(მნიშვნელოვანი ბრძოლები): ჰაკუჰო-მიოგირიუ (ცუკიტაოში), კაკურიუ-ტოჩიოძანი (იორიკირი), ჰარუმაფუჯი-გოეიდო (ცუკიტაოში), კისენოსატო-ტოიოჰიბიკი (იორიტაოში), **ტოჩინოშინი-გაგამარუ** (უვატენაგე), ტოიონოშიმა-აოიამა (ოშიდაში), კაისეი-ტაკეკაძე (ოშიდაში), ჰომაშო-ამინიშიკი (იორიკირი), ტაკაიასუ-კიოკუტენჰო (იორიკირი).

### სატურნირო მდგომარეობა

**12-0:** ჰარუმაფუჯი (ოძეკი)

**11-1:** ჰაკუჰო (იოკოძუნა)

**10-2:** კისენოსატო (ოძეკი), კაკურიუ (ოძეკი), ტაკაიასუ (მაეგაშირა 9), კიოკუტენჰო (მ 11)... **4-8::** **ტოჩინოშინი** (კომუსუბი)... **3-9:** **გაგამარუ** (მ 2).

### XIII დღე

(მნიშვნელოვანი წყვილები): ჰაკუჰო-კაკურიუ, ჰარუმაფუჯი-კისენოსატო, მიოგირიუ-კიოკუტენჰო, გოეიდო-ამინიშიკი, აოიამა-ტოიოჰიბიკი, **ტოჩინოშინი**-ჰომაშო, კაისეი-შოჰოზანი, **გაგამარუ**-არანი, ტაკაიასუ-ტოჩიოძანი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



## ძიუდო

**წასვლა**

# პაჟიმე [illegible] სპორტსმენთა წასვლისა

## დონლუზაშვილი დაგვემშვიდობა

წესისამებრ, ოლიმპიადის შემდეგ ბევრი ცნობილი ათლეტი ანებებს თავს სპორტს და გამონაკლისი არც პოსტლონდონური პერიოდია - რამდენიმე ცნობილმა ფალავანმა უკვე განაცხადა პენსიაზე გასვლის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი ჩვენი თანამემამულე, მძიმეწონოსანი ძიუდოისტი ქალი **თეა დონლუზაშვილია**, რომელმაც კარიერა საქართველოში დაიწყო, მაგრამ უმეტესი წლები რუსეთში გაატარა და ჯილდოებიც იმათ მოუტანა.

თავის დროზე დონლუზაშვილი, როგორც მისი თანაგუნდელების უმეტესობა, ნიჭიერ მოზარდად მიიჩნეოდა და ვაჟთა წარმატებებით განებივრებული ქართული ძიუდო მათგანაც ელოდა ახალი მწვერვალების დაპყრობას. გოგონებს შედეგებიც ჰქონდათ და იმედებსაც ამართლებდნენ, მაგრამ მერე ქვეყანა აირია და ბევრი ქართველის მსგავსად, კარიერის თუ თავის გადასარჩენად მანაც უცხოეთს მიაშურა. დონლუზაშვილი ბედმა რუსეთს დააკავშირა, როგორც ყველაზე უფრო ნაცნობ უცხოურ ქვეყანასთან - იმ დროს ის უკვე შედიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ასაკობრივ ნაკრებებში და ხშირად უწევდა რუსეთში ყოფნა. ოლიმპიური ბრინჯაო ათენის 2004 წლის თამაშებში, მსოფლიოს აბსოლუტური პირველობის ვერცხლის მედალი 2011 წელს და ინდივიდუალურის ორი ბრინჯაო (სხვათა შორის, ორივე იაპონიაში მოიპოვა) - 2003 და 2010 წლებში, ევროპის ჩემპიონობა, კიდევ 7-ჯერ ნაჭიდავები ევროპული ფინალი და სამიც კონტინენტური ბრინჯაო - ასეთია 36 წლის სპორტსმენის 22-წლიანი კარიერის მონაგარი უპირველეს ტურნირებზე. ცხადია, ამას არაერთი საერთაშორისო, ძალზე პრესტიჟული შეჯიბრების მოგებაც ემატება, მაგრამ დონლუზაშვილმა მწვერვალების დაპყრობა მაინც ვერ შეძლო - იმათგან მხოლოდ ყველაზე დაბალი, ევროპული დალაშქრა 2006 წელს, როცა სერბულ ნოვი სადში გამართულ ტურნირში ღია პირველობის ფინალში თანაგუნდელი **ნატალია სოკოლოვა** დაამარცხა. ოლიმპიადაზე მან მხოლოდ ატენში იჭიდავა და ნახევარფინალში იაპონელ მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **მაკი ცუკადასთან** დამარცხების შემდეგ ბრინჯაო მოიპოვა, სხვა დროს კი თამაშებში გამოსვლის პატივი არ ერგო. წლეულს მას მწვრთნელებმა **ელენა ივაშენკო** ამჯობინეს და ჩვენებური მას ეხმარებოდა მომზადებაში, თუმცა ამაოდ - ივაშენკო მეშვიდეზე გავიდა.

ოლიმპიური დანაკლისის ნაწილობრივ შევსება დონლუზაშვილს შარშან შეეძლო მსოფლიოს ღია პირველობაზე, რომელიც ტიუმენში ჩატარდა, სადაც კარგად დაიწყო გამოსვლა და პირველად უწია ამ რანგის ტურნირის ფინალს, მაგრამ იქ ვერაფერი გააწყო ჩინელ მთაქალთან, მსოფლიოს შვიდგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **ვენ ტონგთან.** ჩინელი მაინცდამაინც ლონდონის ოლიმპიადაზე წაიქცა, თორემ მანამ შეუჩერებელი იყო და დონლუზაშვილთანაც სრულად გაამართლა ფავორიტის იმიჯი. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს კაცს ვეჭიდავებოდიო, განაცხადა იმ ფინალის შემდეგ ჩვენებურმა.

დონლუზაშვილს სპორტიდან ოფიციალურად 29 სექტემბერს კემეროვოში, რუსეთის პირველობაზე გააცილებენ. *„მორჩა, მე დავამთავრე სპორტული კარიერა. დარჩა მხოლოდ გაცილების საზეიმო ცერემონიალი, რომელიც 29-ში კემეროვოში შედგება, ოფიციალურ ტურნირში კი არასოდეს გამოვალ“* - განაცხადა დონლუზაშვილმა და დაამატა, რომ არასოდეს ინანებს ძიუდოს არჩევას. რუსი ჟურნალისტები მას პოსტსპორტულ კარიერაზეც დაეკითხნენ, რაზეც ქართველმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა დასძინა, რომ მოხარული იქნება, თუ ქალთა ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მიიწვევენ. თუმცა იქვე დასძინა, რომ ამ სფეროში მუშაობა ჯერ არ შეუთავაზებიათ.



თეა დონლუზაშვილი

### ბიშოფიც წავიდა

ამ დღეებში კიდევ ერთმა ცნობილმა ძიუდოისტმა, გერმანელმა ოლიმპიური ოქრო-ვერცხლის მფლობელმა, მსოფლიოს ბრინჯაოს მედალოსანმა და ევროპის ჩემპიონმა **ოლივერ ბიშოფმა** (81) განაცხადა სპორტული კარიერის დამთავრების შესახებ. ის ფართო აუდიტორიის წინაშე 2004 წელს წარდგა, როცა წინა წლის მსოფლიოს ჩემპიონი, სპორტში მეტეორივით გაელვებული **ფლორიან ვანერი** შეცვალა (2003 წელს ოსაკაში მსოფლიოზე გამარჯვების შემდეგ მან, პრაქტიკულად, დაასრულა კარიერა) და ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დებიუტანტმა ვერცხლი მოიპოვა. მაშინ მან ფინალი გაბერძნებულ ქართველ **ილიას ილიადისთან** წააგო, თუმცა სანადელს მომავალ წელსვე მიაღწია - 2005-ში ისევ გავიდა ფინალში, ოღონდ ამჯერად გადამწყვეტ შეხვედრაში ბევრად მობილიზებული გავიდა. მით უფრო, არც მეტოქე ჰყავდა ბევრად ძლიერი - ვანერის არ იყოს, ერთ ტურნირად გაელვებული სლოვაკი **ბორის ნოვოტნი**, რომელსაც იოლად სძლია და ოქროს მედალი მოიპოვა.

თუმცა ბიშოფის მთავარი მიღწევები ყველაზე პრესტიჟულ შეჯიბრებას - ოლიმპიადას უკავშირდება. 2004 წელს ის ათენის თამაშებზე ვერ მოხვდა, 2008-ში კი პეკინში ბრწყინვალედ იჭიდავა - აზერბაიჯანელი **მემან აზიზოვისა** და ამერიკელი **ტრევის სტევენსის** დამარცხების შემდეგ მეოთხედფინალში ბრაზილიელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ტიაგო კამილო ორი ვაზარით წმინდად დაჯაბნა, ნახევარფინალში უკრაინელი მომავალი ოლიმპიური ბრინჯაოს პრიზიორი **რომან გონტიუკიც** იოლად გაიარა, ფინალში კი სამხრეთკორეელ **კი ჯაე ბუმს** აჯობა. ბიშოფმა ზედიზედ იჭიდავა ოლიმპიადის ორი ფინალი და საინტერესოა, რომ მისი გზა ორივეჯერ კორეელთან გადაიკვეთა - პირველ შემთხვევაში გამარჯვება თუ გერმანელს დარჩა, ლონდონში კორეელმა რევანში აიღო. სხვათა შორის, ლონდონში ბიშოფი სტევენსსაც შეხვდა - ნახევარფინალში, კორეელთან კი, როგორც მერე გაირკვა, კარიერის უკანასკნელი ორთაბრძოლა გამართა - ამის შემდეგ ის ტურნირებში არც გამოსულა, რამდენიმე დღის წინ კი კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა.

**ირაკლი თავაძე**

ინტერვიუ შალვა სუთიაშვილთან

# დიდებულიძე საფრანგეთში ცნობილი მწვრთნელია

**საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი შალვა სუთიაშვილი წლების განმავლობაში ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „მასიში“ თამაშობდა. ეს გუნდი ზედიზედ სამი წელიწადი ელიტურ, მეორე დივიზიონში გადაბარგებას ცდილობდა და მესამე ჯერზე გამოუვიდა კიდეც. ახლა შალვა და „მასი“ პროფესიულ დივიზიონში ასპარეზობენ და სტარტზე ოთხი მატჩიდან ორი მოიგეს, რაც გათამაშების დებიუტანტისთვის ცუდი შედეგი სულაც არ არის.**



სუთიაშვილი „მასის“ ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრია, მას როგორც კლუბში, ისე ეროვნულ ნაკრებშიც სხვადასხვა პოზიციაზე უთამაშია, რაც მისი, როგორც მორაგბის უნიკალურობაზე მიგვანიშნებს. საკლუბო კარიერისა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ **შალვა სუთიაშვილს** პარიზში დავუკავშირდით.

**- ელიტურ დივიზიონში თამაშმა წლეულს პირველად მოგიწიათ. მართალია, თქვენმა გუნდმა ჯერ ოთხი მატჩი გამართა, მაგრამ ალბათ შეფასების მიცემა, თუ რა განსხვავებაა ფედერალ 1 დივიზიონსა და ელიტურ, მეორე დივიზიონს შორის, შესაძლებელია...**

- ცხადია განსხვავება დიდია. ფედერალ 1 დივიზიონში თამაშისას მეტ-ნაკლებ წინააღმდეგობას ორი გუნდი, „ლილი“ და „ნევერი“ გვიწევდა, სხვა დანარჩენი სუსტები იყვნენ. მეორე დივიზიონში ძალიან ბევრი ძლიერი გუნდია და სუსტებიც არ არიან. ამასთან ერთად, აქ გაცილებით მეტი მატჩის გამართვა გვიწევს, რის გამოც სრულიად განსხვავებული რეჟიმით ვემზადებით, ვვარჯიშობთ. ერთი სიტყვით, ელიტაში ბევრად მაღალი დონეა. თანაც ცოტა დამღლელიცაა, რადგან შარშანდელი სეზონი გვიან დავამთავრეთ და წლევანდელი ადრე დავიწყეთ. მოსამზადებლად სულ რაღაც ორი კვირა გვქონდა.

**- მიუხედავად ამისა, ოთხი თამაშიდან ორის მოგება შეძელით, რაც ურიგო არ არის...**

- დიახ ასეა. აქ ყველა გუნდი სხვადასხვა ტაქტიკით თამაშობს. რასაც ვუყურებ, შინ ყველა იგებს და გასვლაზე ყველა აგებს.

**- ამაზე მსაჯებიც ხომ არ ახდენენ გავლენას?**

- არა, მთლიანად მსაჯებს ვერ დავაბრალებ, თუმცა არც უმაგისობაა. მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ შინ და გარეთ გუნდები სხვადასხვა ტაქტიკურ მონახაზებს მიმართავენ. მაგალითად, საკმაოდ კარგი გუნდია „ექსი“, რომელმაც ჩვენთან მატჩში აქცენტი ბურთის ფეხით ზურგს უკან გადატანაზე, სწრაფ ჩახურვასა და კონტრშეტევებზე გააკეთა. ამით ვერაფერს გახდნენ და მოვუგეთ. შემდეგ მატჩში „ოშმა“ პირიქით, ხელდახელ ბურთაობა შემოგვთავაზა. ასევე განსხვავებულად ითამაშა „კარკასონმაც“. „ბეზიესთან“ მატჩში ჩვენმა მწვრთნელებმა ოლივიე მანმა და ვიქტორ დიდებულიძემ სწორი ტაქტიკა შეგვირჩიეს და ისევ გავიმარჯვეთ. ჩვენს მწვრთნელებს მუშაობის გამორჩეული სპეციფიკა აქვთ. ვიდეო ანალიზს მხოლოდ საკუთარ თამაშს ვუკეთებთ. მეტოქის თამაში არასდროს განგვიხილავს. ასეთი რამ სხვა გუნდებში არ ხდება.

**- რატომ არ განიხილავთ მეტოქეების თამაშს, საამისოდ შესატყვისი პირობები არ გაქვთ?**

- პირობები რაოგორ არ გვაქვს. ეს უბრალოდ ერთგვარი ტაქტიკაა, რათა თამაშამდე მორაგბე ფსიქოლოგიურად არ გადაიტვირთოს. მაგალითად, „ლიონში“ თამაშობენ სებასტიან შაბალი და ლიონელ ნალე, ესენი ფრანგული რაგბის ლეგენდები არიან და მათმა ავტორიტეტმა შეიძლება დამთრგუნველად იმოქმედოს. ამიტომ მათ თამაშს არ ვუყურებთ. სამაგიეროდ კარგად ვიცით თვითონ როგორ ვითამაშოთ, რა გავაკეთოთ. ერთი სიტყვით, ჩვენც ასე გვირჩევნია.

**- ვიქტორ დიდებულიძე ოთხი წელიწადია, რაც „მასის“ ერთ-ერთი თავკაცია. როგორც ჩანს, ის კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბდა...**

- ვიქტორი „მასიში“ შერკინების მწვრთნელია, მალე ელიტურ დიპლომს აიღებს, რაც საშუალებას მისცემს ნებისმიერი რანგის გუნდში მთავარ მწვრთნელად იმუშაოს. მან უკვე ჩააბარა გამოცდები და ახლა ერთწლიანი პრაქტიკის კურსებილა დარჩა გასავლელი. ის საფრანგეთში უკვე ცნობილი მწვრთნელია.

**- რა მიზნებს ისახავს წლეულს „მასი“ საფრანგეთის ჩემპიონატში?**

- ლიონელ ნალემ თქვა, მე-8 ადგილი უნდა დავიკავოთო, ეს ბევრს სასაცილოდ არ ეყო. მაგრამ მას შემდეგ რაც ორი მატჩი მოვიგეთ, ჩვენ მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა. „მასი“ სენსაციური გუნდია. არავინ ელოდა, რომ ჩვენ მეორე დივიზიონში გადასვლას მოვახერხებდით, ახლა სტარტიც კარგი ავიღეთ და უკვე სხვა თვალით გვიყურებენ.

**- ელიტურ დივიზიონში თამაშს პირობებიც სათანადო სჭირდება. რამდენად არის მზად კლუბი მარათონულ სეზონს ღირსეულად გაუძლოს?**

- პირობები კარგი გვაქვს, შარშანდელთან შედარებით კლუბის ბიუჯეტი გაორმაგდა. შეიძლებოდა მეტიც, მაგრამ დრო არ გვეყო საიმისოდ, რომ მეტი რაოდენობის სპონსორები მოგვეზიდა. იმედი გვაქვს, წლეულს ელიტურ, მეორე დივიზიონში ადგილს შევინარჩუნებთ და სამომავლოდ პირობები კიდევ უფრო გაგვიუმჯობესდება.

საფრანგეთის რაგბის ფედერაცია ქალაქ მასისთან ახლოს ეროვნული ნაკრებისთვის დიდი სტადიონის მშენებლობას აპირებს და მის ინტერესებშიცაა, რომ ჩვენს რეგიონში კარგი გუნდი ჰყავდეს. ეს რაგბის განვითარებას ჩრდილოეთ საფრანგეთშიც ხელს შეუწყობს.

**- „მასიში“ თქვენ გარდა კიდევ ერთი ქართველი, შერკინების ბურჯი დავით აშვეთია თამაშობს...**

- დიახ, ძირითად გუნდში ორნი ვართ. ესპუართა ანუ სთადარიგო გუნდში კი სამი ქართველია, მინდია ელგუჯაური, არჩილ კობაური და ნიკა თევდორაძე. ამათ გარდა კიდევ სამი ქართველი უნდა შემოგვიერთდეს, მაგრამ საფრანგეთის საკონსულომ სავიზო პრობლემები შეუქმნა. „მასის“ ძალიან კარგი სარაგბო სკოლა აქვს და სასურველი იქნება, თუ ამ მოთამაშეებს ჩვენი რაგბის კავშირი დაეხმარება სავიზო პრობლემების მოგვარებაში.

**- წლეულს ექვსი ერის გათამაშებისას საფრანგეთის ნაკრებმა „მასისთან“ ერთობლივი წვრთნები ჩაატარა. რატომ შეაჩერეს „ლე ბლოს“ ხელმძღვანელებმა არჩევანი თქვენს გუნდზე?**

- ჩვენი მწვრთნელი ოლივიე მანე ფრანგულ რაგბიში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ის წლების განმავლობაში იცავდა „ლე ბლოს“ ღირსებას. მას კარგად იცნობენ. თანაც საფრანგეთის ნაკრების საწვრთნელი ცენტრიც მასისთან ახლოსაა. თითქმის ყოველი თამაშის წინ, კვირის დასაწყისში ჩამოდიოდნენ და ერთად ვვარჯიშობდით. ძირითადად შერკინება და დერეფანში თამაში აინტერესებდათ. ჩვენთვისაც ძალიან კარგი იყო, დიდი გამოცდილება მივიღეთ. თუ არ ვცდები, მსგავსი წვრთნები მომავალშიც იგეგმება.

**- რადგან სანაკრებო თემას შევეხეთ, მოდით საქართველოს ეროვნულ გუნდზეც ვთქვათ. ნოემბერში „ბორჯღალოსნებს“ თბილისში სერიოზული გამოცდა ელით...**

- ორივე ძალიან მაგარი გუნდია. ფიჯის ნაკრებს ადრე ერთი სისუსტე ჰქონდა, შერკინება არ ჰყავდა ისეთი ძლიერი, როგორიც უკანა ხაზი. ახლა ეს ხარვეზი აღმოფხვრილია. ძალიან რთული თამაშები გველის. თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ ჩვენც წინ მივიწევთ. საფრანგეთში ნაკრების წევრების აბსოლუტური უმრავლესობა ელიტურ დივიზიონებში ვთამაშობთ. მიუხედავად ამისა, მაინც სერიოზულად უნდა მოვემზადოთ და აუცილებლად გავიმარჯვოთ.



საქართველოს ჩემპიონატი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკადემია და ხარები ისევ დაუმარცხებელია

**საქართველოს ჩემპიონატის ჭაბუკთა A ლიგაში, რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ოთხი ტურით ადრე დაუმარცხებელი ჯერ კიდევ ორი გუნდი რჩება. ესენი B ჯგუფის ბინადარნი, თბილისის „აკადემია“ და რუსთავის „ხარები“ არიან. A ჯგუფის ან უკვე ყოფილმა ლიდერმა თბილისის „ლელომ“ კი პირველი მარცხი იწვნია.**

ლელოელებმა მე-10 ტურში ქუთაისის „აიას“ უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით 12:43 წააგეს. ქუთათურებმა ამ გამარჯვების შემდეგ 36 ქულით სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე გადაინაცვლეს, თუმცა ისიც ალსანიშნავია, რომ „ლელოს“, რომელსაც 32 ქულა დაუგროვდა ერთი თამაშით ნაკლები აქვს გამართული.

„ლელოს“ წამოეწია მესამე ადგილზე მყოფი თბილისის „ჯიქები“, რომელმაც თანაქალაქელ „ჯვაროსნებს“ მშრალი ანგარიშით სძლია - 55:0. „ჯიქებსა“ და „ლელოს“ შორის ქულათა სხვობა ორამდე შემცირდა.

ასევე ორი ქულით ჩამორჩება „ჯიქებს“ მეოთხეადგილოსანი თბილისის „ივერია“, რომელმაც „წიქარა“ დაამარცხა - 54:5.

### ჭაბუკთა A ლიგა

### A ჯგუფი

**ლელო-ქუთაისი 12:43, ჯიქები-ჯვაროსნები 55:0, წიქარა-ივერია 5:54.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. ქუთაისი - 36 ქულა, 2. ლელო - 32, 3. ჯიქები - 30, 4. ივერია - 28, 5. ლოკომოტივი - 15, 6. ჯვაროსნები - 5, 7. წიქარა - 0.**

### XI ტური

**ჯიქები-ლელო, ქუთაისი-ივერია, ლოკომოტივი-წიქარა.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაუმარცხებლად განაგრძობენ ასპარეზობას „ხარები“ და „აკადემია“. რუთაველები მე-10 ტურში ისვენებდნენ. „აკადემიამ“ კი „ყოჩები“ დაამარცხა 43:10 და 37 ქულით სატურნირო ცხრილს სათავეში მოექცა. „ხარები“ აკადემიელებს ორი ქულით ჩამორჩებიან.

ლიდერებს დანარჩენები საგრძნობლად დაშორდნენ. 22 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა „არმია“ , რომელმაც შინ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ოზურგეთის „არწივები“ - 18:15.

B ჯგუფის კიდევ ერთ მატჩში თბილისის „ხულიგანამ“ შინ მოუგო აუტსაიდერ ჭიათურის „იმერეთს“ - 36:19.

### B ჯგუფი

**ხულიგანა-იმერეთი 36:19, არმია-არწივები 18:15, ყოჩები-აკადემია 10:43.**

### სატურნირო მდგომარეობა

**1. აკადემია - 37 ქულა, 2. ხარები - 35, 3. არმია - 22, 4. არწივები - 21, 5. ხულიგანა - 20, 6. ყოჩები - 7, 7. იმერეთი - 5.**

### XI ტური

**არწივები-ხულიგანა, არმია-ყოჩები, ხარები-აკადემია**

ჭაბუკთა B ლიგაში გათამაშების მეორე ეტაპი დაიწყო. ამ ლიგის საუკეთესო რვა გუნდი ორ ჯგუფშია განაწილებული. გუშინ პირველი ტურის ორი მატჩი გაიმართა. A ჯგუფის სავარაუდო ფავორიტმა თბილისის „ჯიქებმა“ შინ დაამარცხეს ქუთაისის „აიას“ მესამე გუნდი.

ერთი თამაში გაიმართა B ჯგუფშიც, სადაც თბილისის „აკადემიამ“ ქუთაისის „აია 2“-ს აჯობა - 17:5.

### ჭაბუკთა B ლიგა

**A ჯგუფი:** ჯიქები (თბილისი), აია 3(ქუთაისი), რაინდები (ფოთი), ხულიგანა (თბილისი).

**B ჯგუფი:** აკადემია (თბილისი), ხარები (რუსთავი), აია 1 (ქუთაისი), აია 2 (ქუთაისი).

### I ტური

**ჯიქები-ქუთაისი 3 31:0, აკადემია-ქუთაისი 2 17:5.**

ლეგიონერები

# მწვრთნელთა ლეგიონი

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონებში შვიდ ათეულზე მეტი ქართველი მორაგბე ასპარეზობს. ახლა მათ ჩვენებური მწვრთნელებიც დაემატნენ.**

ყველაზე მაღალ დონეზე ქართველ მწვრთნელთაგან **ვიქტორ დიდებულიძე** მუშაობს. ის ელიტური, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „მასის“ შერკინების მწვრთნელია და დიდი ხანია ამ გუნდში სამწვრთნელო პრაქტიკა აქვს. დიდებულიძემ საფრანგეთში მწვრთნელთა სკოლის ყველა დონე გაიარა და შეუძლია ნებისმიერი რანგის გუნდის, მათ შორის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის მოვალეობაც შეასრულოს.

დავით ბოლლაშვილი უკვე მერამდენე სეზონია ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ლილის“ ერთ-ერთი დამრიგებელია. მანაც, ფაქტობრივად იგივე გზა გაიარა, რაც დიდებულიძემ და მალე უმაღლესი დონის მწვრთნელის დიპლომი ექნება.

ახლახან ფრანგული რაგბის გრანდის, „ტულუზის“ ყველა ასაკობრივი გუნდის შერკინების კვაჭების მწვრთნელად დაინიშნა, საქართველოს ნაკრების ყოფილი პირველხაზელი **აქვსენტი გიორგაძე.**

ელიტური, პირველი დივიზიონის ლიდერის „ტულონის“ ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელია ასევე ყოფილი ბორჯღალოსანი **გია ლაბაძე.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ფორმულა 1




# უაზრო ხარჯები აღარ იქნება

ცოტა ხნის წინ, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ჟან ტოდტმა განაცხადა, რომ თუ გუნდები და ჩემპიონატის ხელმძღვანელობა დაახლოებით 30 პროცენტით არ შეამცირებს ხარჯებს, უახლოესი სამი წლის განმავლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეთა რიცხვი, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შემცირდეს. რესურსების შეზღუდვის შესახებ ახალი ხელშეკრულების განხილვისას წარმოიშვა წინადადება, რომ დაუბრუნდნენ ბიუჯეტების მკაცრი ლიმიტირების იდეას, რომლის ინიციატორი, თავის დროზე, ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი **მაქს მოსლი** იყო. სამი წლის წინ, ამ იდეამ პოპულარობა ვერ მოიპოვა, მაგრამ ახლა, ისევ მიიქცია გუნდების ყურადღება.

Autosport-ისთვის მიცემულ ინტერვიუში „ზაუბერის" აღმასრულებელმა დირექტორმა **მონიშა კალტენბორნმა** განაცხადა, რომ ყოველთვის მხარს უჭერდა ბიუჯეტის შეზღუდვის იდეას, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს ციფრი უნდა დაფიქსირებულიყო გუნდებისთვის საჭირო დონეზე.

*„ჩვენ კვლავაც გვჯერა ბიუჯეტის ლიმიტირების იდეისა და ვცდილობთ მის წინ წამოწევას, რადგან ასე გუნდები შეძლებენ თავიანთი ძლიერი მხარეების გამოყენებას. ბიუჯეტის მკაცრი ჩარჩოები გაათანაბრებს გუნდების შესაძლებლობებს, ამასთან, თითოეული თავად აირჩევს იმ გზას, რომელიც მას მოსწონს. ჩემი აზრით, ჩვენი სპორტი ამით მხოლოდ მოგებული დარჩება.*

*ამასთან, დონე, რომლითაც ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ, დღევანდელზე ნაკლები არ უნდა იყოს. გულშემატკივრებს სურთ იხილონ პილოტების ბრძოლა და თან ესმოდეთ ჩვენი გადაწყვეტილებები გუნდების განვითარების სტრატეგიისა და ტრასაზე მუშაობის მხრივ"*, - ამბობს „ზაუბერის" შეფი.

„მერსედესის" ხელმძღვანელს **როს ბრაუნს** მიაჩნია, რომ ხარჯების შემცირება ჩემპიონატის განვითარების უფრო ეფექტური საშუალება იქნება, ვიდრე ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების გამკაცრება.

*„მე მგონია, რომ სიამოვნებით მივიღებთ ნებისმიერ სამართლიან და დასაბუთებულ იდეას რესურსების შეზღუდვის შესახებ. არ გვსურს იმაზე მეტი თანხის დახარჯვა, ვიდრე ფორმულა 1-ში წარმატებულ და კონკურენტუნარიან მუშაობას სჭირდება. სავარაუდოდ, ბევრი ჩვენგანი არ იცავს ამ პირობებს, მაგრამ არსებობს ხუთი-ექვსი გუნდი, რომლებიც მართლაც მოთხოვნების ზედა ზღვარის პირობებში მუშაობენ.*

*არ ვიცნობ არავის, ვისაც არ სურს ხარჯების შემცირება კონკურენტუნარიანი მანქანის შექმნისთვის, ოღონდ იმ პირობით, რომ ეს იდეა სამართლიანად იქნება რეალიზებული და არ მიანიჭებს რომელიმე კონკურენტს უპირატესობას.*

*ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს რესურსების შეზღუდვის ხელშეკრულებას, რადგან მისი გამოყენება სრულიად მარტივად მიგვაჩნია. წელს ჩვენ ვხარჯავთ გარკვეული ოდენობის თანხას, მომავალ წელს მას 20 პროცენტი მოაკლდება, კიდევ ერთი წლის შემდეგ - 40 პროცენტი. ასე რომ, ხარჯების შემცირება საკმაოდ მარტივია.*

*ფორმულა 1-ში მუშაობის პერიოდში მე არ მინახავს, რომ არსებობდა ხარჯების შემცირების რაიმე მრავალწლიანი გეგმა ტექნიკური რეგლამენტის შეცვლის ხარჯზე, თუ არ ჩავთვლით წარმატებულ შეზღუდვებს ძრავებისა და გადაცემათა კოლოფის გამოყენების მხრივ.*

*თუ შევზღუდავთ ყველა ტექნიკური ელემენტის გამოყენებას, მაშინ ჩვენ ფორმულა 1-ის „გაფუჭების" რისკზე წავალთ, მაგრამ მე, რა თქმა უნდა, დავიცავ რესურსების შეზღუდვის იდეას. არ შეიძლება განსაზღვრულ თანხაზე მეტის დახარჯვა, დაუშვებელია თანამშრომელთა რაოდენობის უსასრულოდ ზრდა, მაგრამ ამასთან აუცილებელია, რაც შეიძლება ეფექტურად შეასრულო შენი სამუშაო. ჩვენ შევძლებთ ფორმულა 1-ის ყველა უპირატესობის შენარჩუნებას. ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ"*, - ამბობს როს ბრაუნი.

„ლოტუსის" ხელმძღვანელი **ერიკ ბულიე** მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის ლიმიტირება - მხოლოდ ერთ-ერთია იმ სამი ვარიანტიდან, რომლითაც უნდა დაწესდეს კონტროლი ფორმულა 1-ში დანახარჯებზე.

ერიკ ბულიე: *„არსებობს დანახარჯებზე სამი სახის კონტროლი: ბიუჯეტის შეზღუდვა, ახალი ხელშეკრულება რესურსების შეზღუდვაზე და უფრო კონსერვატული ტექნიკური და სპორტული რეგლამენტი. დარწმუნებული ვარ, სპორტული რეგლამენტის გარკვეული ცვლილება ხარჯების შემცირების საშუალებას მოგვცემს. მაგრამ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მივიღოთ, ის ყველა გუნდს უნდა აწყობდეს".*

# ღამის რბოლა მოახლოვდა

## ახალი ამბები სინგაპურის გრანპრის წინ

ფინელმა **კიმი რაიკონენმა** უარყო ჭორები იმის შესახებ, რომ მომავალ სეზონში მან შესაძლოა "ფერარიში" **ფელიპე მასას** ან "მაკლარენში" **ლუის ჰემილტონის** ადგილი დაიკავოს. ფინელმა განაცხადა, რომ მას აწყობს ის სიტუაცია, რომელიც ამჟამად მის გუნდში – "ლოტუსშია" შექმნილი.

*"გუნდთან შესანიშნავი ურთიერთობა ჩამომიყალიბდა. ყველანი 100-პროცენტიანი მონდომებით ვმუშაობთ. ჩვენს გუნდს შედეგის მიღწევა სურს – ეს კარგი ათვლის წერტილია. მომწონს ამ ადამიანებთან მუშაობა, მომწონს ეს გუნდი, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება მომავალში. ახლა კმაყოფილი ვარ იმით, თუ როგორ ვითარდება მოვლენები.*

სინგაპურის გრანპრი სიცხისა და ტენიანობის გამო რთულ პირობებში გაიმართება. გარდა ამისა, რბოლა ღამით ჩატარდება, რაც ართულებს სიტუაციას, მაგრამ შევეცდებით კარგი შედეგის ჩვენებას. ქუჩის ტრასაზე ყოველთვის რთულია მანქანისგან მაქსიმუმის მიღება, რადგან მცირე შეცდომის გამო, შეიძლება კედელს შეეჯახო. ამის მიზეზი ისაა, რომ იქ არ არსებობს უსაფრთხოების ზონები.

რბოლებში გამარჯვება - ტიტულის მოპოვების ყველაზე მარტივი ხერხია, მაგრამ, სამწუხაროდ, წელს მე ვერ შევძელი ვერც ერთი გამარჯვების მოპოვება. მაგრამ გუნდი ახლოსაა წარმატებასთან, ყოველ შემთხვევაში, გვქონდა შანსი. რაც მთავარია, ჩვენ სერიოზულ შეცდომებს არ ვუშვებდით", - ამბობს ფინელი პილოტი.

■ ■ ■

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** სეზონის დარჩენილ ნაწილში თავის მიზნებზე ილაპარაკა.

*"ალონსოს ბოლიდი არც ისე ცუდია, როგორც ამის შესახებ მუდმივად ლაპარაკობენ. მხოლოდ სეზონის დასაწყისში არ იყო "ფერარი" კონკურენტუნარიანი. ფერნანდო ნებისმიერ პირობებში ლიდერთა შორისაა, მისი მანქანა ყოველთვის მაღალი საიმედოობით გამოირჩევა – სწორედ ამის გამო მივიჩნევ ალონსოსა და "ფერარის" წყვილს უძლიერესად.*

*თუ ჩემზე ვილაპარაკებთ, ბუნებრივია, კარგია, როცა ქულებით ლიდერი ხარ. მაგრამ დღევანდელ სიტუაციაშიც ჩვენი საქმისადმი მიდგომა არ იცვლება - მინდა მაქსიმუმს მივაღწიო მე და ჩემმა გუნდმა. ჩვენი მიზანია სეზონის ყველა დარჩენილი რბოლის მოგება. ვნახოთ რა გამოვა"*, - ამბობს ფეტელი.

■ ■ ■

ამასობაში, პრაქტიკულად გაირკვა, რომ მომავალი სეზონისთვის "ფორს ინდიას" შემადგენლობა არ შეიცვლება. მას შემდეგ, რაც გაჩნდა ჭორები "მაკლარენიდან" ლუის ჰემილტონისა და "ფერარიდან" ფელიპე მასას წასვლის თაობაზე, ინდური საჯინიბოს პილოტებს – **პოლ დი რესტასა** და **ნიკო ჰიულკენბერგს** მათ შემცვლელებად მოიაზრებდნენ, მაგრამ ყველა ჭორი უარყო "ფორს ინდიას" ხელმძღვანელმა.

*"ნიკოსაც და პოლსაც აქვთ კონტრაქტები მომავალი სეზონისთვის და ისინი ჩვენთან რჩებიან"*, - განაცხადა **ვიჯეი მალიამ**.

■ ■ ■

ამასობაში, ჩემპიონატის მონაწილეები სინგაპურში ჩავიდნენ, სადაც ჩემპიონატის აზიური ნაწილი იხსნება. „ფერარი" და „მაკლარენი" ეცდებიან შეწყვიტონ „მაკლარენის" მოგებათა სერია. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი წარმატებებისგან ბრიტანულ საჯინიბოს დიდი დივიდენდები არ მიუღია.

გარდა ამისა, საინტერესო იქნება **რომენ გროსჟანის** გამოსვლაზე დაკვირვება - მან მიიხადა ერთრბოლიანი დისკვალიფიკაცია და ყველას სურს იმის გაგება, რამდენად მოუხდა მას ეს სასჯელი.

სინოპტიკოსების პროგნოზით, არ არის გამორიცხული, კვირის რბოლა წვიმიანი იყო...

### სინგაპურის გრანპრი

**ჩატარების ადგილი** - სინგაპური, სინპაგური
**წრის სიგრძე** - 5 073 მ
**საუკეთესო წრე** - 1:45,599 (რაიკონენი, 2008)

### საერთო ჩათვლა

1. ალონსო (ფერარი) - 179
2. ჰემილტონი (მაკლარენი) - 142
3. რაიკონენი (ლოტუსი) - 141
4. ფეტელი (რედ ბული) - 140
5. უებერი (რედ ბული) - 132
6. ბატონი (მაკლარენი) - 101
7. როსბერგი (მერსედესი) - 83
8. გროსჟანი (ლოტუსი) - 76

### განრიგი

21 სექტემბერი, 15:00 - I პრაქტიკა
21 სექტემბერი, 18:00 - II პრაქტიკა
22 სექტემბერი, 14:00 - III პრაქტიკა
22 სექტემბერი, 17:00 - კვალიფიკაცია
23 სექტემბერი, 16:00 - რბოლა

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ჩემპიონატის ლიდერი ფერნანდო ალონსო

| | ავს | მალ | ჩინ | ბაჰ | ესპ | მონ | კან | ევრ | ბრიტ | გერ | უნგ | ბელ | იტა | სინ 23.09 | იაპ 07.10 | კორ 14.10 | ინდ 28.10 | ა-დაბ 04.11 | აშშ 18.11 | ბრა 25.11 | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ალონსო** (ფერარი) | 10 | 25 | 2 | 6 | 18 | 15 | 10 | 25 | 18 | 25 | 10 | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 179 |
| **ჰემილტონი** (მაკლარენი) | 15 | 15 | 15 | 4 | 4 | 10 | 25 | -- | 4 | -- | 25 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 142 |
| **რაიკონენი** (ლოტუსი) | 6 | 10 | -- | 18 | 15 | 2 | 4 | 18 | 10 | 15 | 18 | 15 | 10 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 141 |
| **ფეტელი** (რედ ბული) | 18 | -- | 10 | 25 | 8 | 12 | 12 | -- | 15 | 10 | 12 | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 140 |
| **უებერი** (რედ ბული) | 12 | 12 | 12 | 12 | -- | 25 | 6 | 12 | 25 | 4 | 4 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 132 |
| **ბატონი** (მაკლარენი) | 25 | -- | 18 | -- | 2 | -- | -- | 4 | 1 | 18 | 8 | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 101 |
| **როსბერგი** (მერსედესი) | -- | -- | 25 | 10 | 6 | 18 | 8 | 8 | -- | 1 | 1 | -- | 6 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 83 |
| **გროსჟანი** (ლოტუსი) | -- | -- | 8 | 15 | 12 | -- | 18 | -- | 8 | -- | 15 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 76 |
| **პერესი** (ზაუბერი) | 4 | 18 | -- | -- | -- | -- | 15 | 2 | -- | 8 | -- | -- | 18 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 65 |
| **მასა** (ფერარი) | -- | -- | -- | 2 | -- | 8 | 1 | -- | 12 | -- | 2 | 10 | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 47 |
| **მ. შუმახერი** (მერსედესი) | -- | 1 | -- | 1 | -- | -- | -- | 15 | 6 | 6 | -- | 6 | 8 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 43 |
| **კობაიაში** (ზაუბერი) | 8 | -- | 1 | -- | 10 | -- | 2 | -- | -- | 12 | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 35 |
| **დი რესტა** (ფორს ინდია) | 1 | 6 | -- | 8 | -- | 6 | -- | 6 | -- | -- | -- | 1 | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 32 |
| **ჰიულკენბერგი** (ფ-ინდია) | -- | 2 | -- | -- | 1 | 4 | -- | 10 | -- | 2 | -- | 12 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 31 |
| **მალდონადო** (უილიამსი) | -- | -- | 4 | -- | 25 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 29 |
| **სენა** (უილიამსი) | -- | 8 | 6 | -- | -- | 1 | -- | 1 | 2 | -- | 6 | -- | 1 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 25 |
| **ვერნი** (ტორო როსო) | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 8 |
| **რიკარდო** (ტორო როსო) | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 2 | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | -- | 4 |

● კრივი

# მოწეულს უჩხუბია

## ხულიო სესარ ჩავესს მარიხუანას კვალი დაუდგინეს



ხულიო სესარ ჩავესი

მექსიკელი მოკრივის **ხულიო სესარ ჩავესის** ორგანიზმში მარიხუანას კვალი აღმოაჩინეს. დადებითი შედეგი აჩვენა დოპინგ-ტესტმა, რომელიც მექსიკელისა და არგენტინელი **სერხიო მარტინესის** ბრძოლის შემდეგ აიღეს.

15 სექტემბერს, ლას ვეგასში ჩავესი WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ტიტულს იცავდა. მარტინესთან ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდა და გამარჯვებულად არგენტინელი გამოცხადდა – 117:110, 118:109, 118:109.

დოპინგ-ტესტის შემდეგ, ჩავესს საკრივო ლიცენზიის ჩამორთმევა ემუქრება, გარდა ამისა, 26 წლის მექსიკელმა, შესაძლოა, ის სამი მილიონიც დაკარგოს, რომელიც მან მარტინესთან ჩხუბისთვის მიიღო.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა ჩავესმა დოპინგ-ტესტი ჩააგდო. 2009 წლის ნოემბერში, მორიგი ბრძოლის შემდეგ, მის ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი დიურეტიკი აღმოაჩინეს. მაშინ მექსიკელს შვიდი თვე გაუცდა დისკვალიფიკაციის გამო. გარდა ამისა, 2012 წლის იანვარში ლოს ანჯელესის პოლიციამ ჩავესი მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო დააკავა.

მარტინესთან მარცხი პირველი იყო ჩავესის კარიერაში. ადრე მან 46 ბრძოლა მოიგო, მათ შორის 32 ნოკაუტით.

● ველოსპორტი

# ორგზის მარტინი

ჰოლანდიაში მიმდინარეობს მსოფლიოს ჩემპიონატი ველორბოლაში და იქ გამარჯვებული გამოვლინდა დროზე განცალკევებით რბოლაში.

თავიდანვე იყო ცნობილი, რომ ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებდნენ ტურ დე ფრანსის გამარჯვებული და ოლიმპიური ჩემპიონი **ბრედლი უიგინსი, ფაბიან კანჩელარა** და **კრის ფრუმი,** რამაც გაზარდა გერმანელი **ტონი მარტინის** შანსები. ეს ველომრბოლი შარშანდელ ტიტულს იცავდა. თუმცა მარტინს მაინც გამოუჩნდა კონკურენტი ყოფილი მაუნტინბაიკერის - 22 წლის ამერიკელი **ტეილორ ფინის** სახით.

ველომრბოლებს 46-კილომეტრიანი მარშრუტის განმავლობაში სამი სერიოზული ამაღლება ელოდათ. 14 წლის წინ, აქ უკვე გაიმართა მსოფლიოს ჩემპიონატი და მაშინ ესპანელმა **აბრაჰამ ოლანომ** გაიმარჯვა, ლეგენდარული **ლენს არმსტრონგი** კი მეოთხე ადგილზე დარჩა.

პირველი სერიოზული ორიენტირი ახალგაზრდა ყაზახმა **დმიტრი გრუზდევმა** დააფიქსირა, რომელიც არ შედიოდა ფავორიტთა ჯგუფში. პირველ საშუალედო ფინიშზე მისი დროის გაუმჯობესება მხოლოდ მარტინმა და ფინიმ შეძლეს.

ხელი მოეცარა რბოლის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს **ალბერტო კონტადორს.** ესპანელმა დისტანციის პირველ ნაწილში 40 და 36 წამი წააგო ფინისთან და მარტინთან და დაკარგა მედლისთვის რბოლის შანსი. როგორც ჩანს, დიადმა ესპანელმა ვერ მოასწრო ტრიუმფალური „ვუელტას" შემდეგ დასვენება. რბოლის კიდევ ერთი ხელმოცარული აღმოჩნდა იტალიელი **მარკო პინოტი,** რომელმაც დაცემის გამო დაკარგა წარმატების შანსი. მან ხელის სერიოზული ტრავმა მიიღო.

საბოლოოდ, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მარტინმა შეძლო კონტადორის დაწევა და საერთო ჯამში, მას ორწუთნახევარი მოუგო.

პირველი ადგილისთვის ბრძოლა ტონი მარტინმა და ტეილორ ფინიმ გამართეს. პირველი საშუალედო ფინიშისთვის ამერიკელი წინ იყო, მაგრამ რბოლის შუაში გერმანელმა ძალიან მოუმატა და 13-წამიანი უპირატესობა მოიპოვა. თუმცა მოქმედმა ჩემპიონმა ძალებიც მეტი დახარჯა და მისმა უპირატესობამ კლება დაიწყო. მაგრამ, ფინის დრო არ ეყო იმისთვის, რომ დაწეოდა კონკურენტს და საბოლოოდ, 5-წამიანი ჩამორჩენით მივიდა ფინიშთან.



ტონი მარტინი

მარტინი მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი დროზე განცალკევებით რბოლაში, ფინი ვერცხლის მედლის მფლობელია, რაც კარგი შედეგია ოლიმპიადაზე დაკავებული მეოთხე ადგილის შემდეგ. ბრინჯაოს მედალი კი ბელარუსმა **ვასილი კირიენკომ** მოიპოვა.

**დროზე რბოლა**

1. **ტონი მარტინი** (გერმანია) - 58.38; 2. **ტეილორ ფინი** (აშშ) - +0.05; 3. **ვასილი კირიენკო** (ბელარუსი) - +1.44; 4. **ტიჯეი ვან გარდერენი** (აშშ) - +1.49; 5. **ფრედრიკ კესიაკოფი** (შვედეთი) - +1.50; 6. **დმიტრი გრუზდევი** (ყაზახეთი) - +1.56...

# ტრაგედია ვარჯიშზე



ვიქტორ კაბედო პოდიუმზე

ესპანური ველოსაჯინიბოს „ეუსკალტელის" წევრი **ვიქტორ კაბედო** ოთხშაბათს, ვარჯიშის დროს ტრაგიკულად დაიღუპა.

23 წლის ესპანელი ველომრბოლი სატვირთო მანქანას დაეჯახა და თხრილში ჩავარდა. ინციდენტი ესპანეთის ჩრდილოაღმოსავლეთით, ონდას პროვინციაში მოხდა, ახალგაზრდა სპორტსმენის სახლიდან ორი კილომეტრის მოშორებით.

„ვიქტორ კაბედოს სიკვდილის მიზეზი ავტომობილთან შეჯახება იყო", - განაცხადა „ეუსკალტელის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

კაბედო პროფესიულ ტურნირებში 2011 წლიდან გამოდიოდა, წელს კი დებიუტი ჰქონდა ჯირო დ'იტალიაზე, სადაც გენერალურ კლასიფიკაციაში 129-ე ადგილი დაიკავა. როგორც ესპანური პრესა აღნიშნავს, კაბედო იმედისმომცემი მრბოლელი იყო, სწრაფად პროგრესირებდა და რეიტინგში ზემოთ მიიწევდა. ესპანელის ბოლო რბოლა „ბრიტანეთის ტური" იყო, რომელიც მან მეორე ეტაპიდან მიატოვა ავადმყოფობის გამო.

● ჰოკეი

# 86 მილიონი ზარალი

კომპანია ESPN-მა გამოაქვეყნა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2010-11 წლების სეზონის ფინანსური მონაცემები. როგორც გაირკვა, NHL-ის 18 კლუბისთვის სეზონი ფინანსურად წამგებიანი აღმოჩნდა.

ყველაზე უარესი მაჩვენებელი ჰქონდა „ფინიქსს" (24.4 მილიონი დოლარის ოდენობის ზარალი), შემდეგ მოდის „კოლამბუსი" (13.7 მილიონი)... საერთო დანაკარგის ოდენობამ 86 მილიონი შეადგენა.

ყველაზე მომგებიანი კლუბები გახდნენ - „ტორონტო", „რეინჯერსი" და „მონრეალი". მათმა ჯამურმა შემოსავალმა 171 მილიონ დოლარს მიაღწია. ასევე მოგებით დაასრულეს სეზონი „ვანკუვერმა" და „ედმონტონმა".

■ ■ ■

რაც შეეხება ამჟამად ლიგაში გამოცხადებულ ლოკაუტს, გუშინ, ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად გამოაცხადა ყველა საგამოფენო შეხვედრის გაუქმების შესახებ. სულ დაგეგმილი იყო დაახლოებით 60 მატჩის ჩატარება.

ასევე გაუქმებულია საწვრთნელი ბანაკების გახსნა, რომელიც 21 სექტემბრისთვის იგეგმებოდა.

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

| | |
|---|---|
| უდინეზე-ანჟი | 1:1 |
| იანგ ბოიზი-ლივერპული | 3:5 |
| ჰაპოელი (თ-ა)-ატლეტიკო | 0:3 |
| ვიქტორია-აკადემიკა | 3:1 |
| აელ-ბორუსია (მ) | 0:0 |
| ფენერბაჰჩე-მარსელი | 2:2 |
| ბორდო-ბრიუგე | 4:0 |
| მარიტიმუ-ნიუკასლი | 0:0 |
| კოპენჰაგენი-მიოლდე | 2:1 |
| შტუტგარტი-სტიაუა | 2:2 |
| დნიპრო-ეინდჰოვენი | 2:0 |
| ნაპოლი-აიკ | 4:0 |
| გენკი-ვიდეოტონი | 3:0 |
| სპორტინგი-ბაზელი | 0:0 |
| ინტერი-რუბინი | 2:2 |
| პარტიზანი-ნეფთჩი | 0:0 |
| ბილბაო-ირონი | 1:1 |
| ლიონი-სპარტა | 2:1 |
| მარიბორი-პანათინაიკოსი | 3:0 |
| ტოტენჰემი-ლაციო | 0:0 |
| ლევერკუზენი-მეტალისტი | 0:0 |
| რაპიდი-რუსენბორგი | 1:2 |
| ტვენტე-ჰანოვერი | 2:2 |
| ლევანტე-ჰელსინგბორგი | 1:0 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ბრეიდაბლიკი-ფილკირი | 1:1 |
| გრინდავიკი-რეიკიავიკი | 2:2 |
| ჰაფნარი-აკრანესი | 2:1 |
| სელფოსი-კეფლავიკი | 2:1 |
| ვალური-ვესტმანაიეარი | 0:3 |
| ფრამი-სტიარნანი | 1:1 |

**ლიტვა**

| | |
|---|---|
| ბანგა-დაინავა | 5:0 |

**აზერბაიჯანი**

| | |
|---|---|
| ხაზარი-სიმურძი | 0:2 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| მეტალურგი (ნ)-სევერსტალი | 3:5 |
| სიბირი-ვიტიაზი | 3:2 (ბ) |
| ავტომობილისტი-იუგრა | 4:3 |
| ს. იულიაევი-მეტალურგი (მ) | 4:3 (ო) |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 6:2 |
| დინამო (მ)-დინამო (მნ) | 7:2 |
| ცსკა-ბარისი | 1:3 |
| ლევ პოპრადი-ავანგარდი | 3:1 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-ტონსბერგი | 3:6 |
| სტორჰამარი-სტავანგერი | 4:3 |
| ფრისკ ასკერი-სტრომენი | 6:2 |
| ვოლერენგა-ლილეჰამერი | 4:0 |
| სპარტა-ლორენსკოგი | 3:2 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კალპა | 5:3 |
| საიპა-ბლუზი | 1:5 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ციურიხი-ბერნი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ვექსიო-ტიმრა | 2:1 (ო) |
| ლინჩოპინგი-ლულეო | 2:3 (ო) |
| როგლე-ფერიესტადი | 5:2 |
| ფრიოლუნდა-მოდო | 7:6 (ო) |
| ჰვ71-შელეფტეო | 1:0 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მეცი**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-გრანოლერსი | 7:6, 2:2 უარი |
| ლევინე-ბერერი | 6:4, 3:6, 6:0 |
| სეპი-მილო | 6:2, 6:1 |
| მიულერი-**დავიდენკო** | 5:7, 4:6 |
| **მონფილსი**-მაუ | 7:6, 7:5 |
| **კოლშრაიბერი**-პერი | 6:2, 1:6, 6:1 |

**ATP. სანქტ პეტერბურგი**

| | |
|---|---|
| სტახოვსკი-**ფონინი** | 6:7, 4:6 |
| ჟემლია-**ჩიპოლა** | 2:6, 7:6, 3:6 |
| **ბერანკისი**-ზოპი | 6:3 უარი |
| კუბოტი-**ხიმენო ტრავერო** | 4:6, 6:7 |
| **ბაუტისტა**-გაბაშვილი | 6:3, 6:4 |
| **კლიჟანი**-ბოლელი | 6:3, 6:3 |
| **გარსია ლოპესი**-ლორენცი | 6:1, 6:1 |
| **იუჟნი**-რამი | 6:1, 6:4 |

**WTA. გუანჭოუ**

| | |
|---|---|
| **უ. რადვანსკა**-სხეპერსი | 6:1, 7:5 |
| **ჰსიე**-იოჰანსონი | 6:3, 6:0 |
| კორნე-**კირსტეა** | 4:6, 3:6 |
| პენგი-**რობსონი** | 5:7, 7:5, 2:6 |

**WTA. სეული**

| | |
|---|---|
| რიბარიკოვა-**ზაკოპალოვა** | 1:6, 6:7 |
| **ვოზნიაცკი**-გარსია | 6:2, 6:3 |
| **ლეპჩენკო**-მედინა გარიგესი | 6:4, 6:1 |
| **პაჩეკი**-ლი | 6:2, 6:0 |
| ჰემპტონი-**მაკაროვა** | 3:6, 5:7 |

● TV პროგრამა

**21 სექტემბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
11:00 ინგლისის ჩემპიონატი. IV ტურის მიმოხილვა.
12:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ფენერბახჩე-მარსელი.
14:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ნაპოლი-აიკ.
16:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ინტერი-რუბინი.
18:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტურის მიმოხილვა.
19:00 ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ტვენტე-ჰანოვერი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. IV ტური. ნიურნბერგი-აინტრახტი (LIVE).
00:30 არგენტინის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. I ტური. ჰაპოელი-ატლეტიკო.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-პორტლენდი.
14:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
15:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ლაციო.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ირლანდია.
19:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ლევერკუზენი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:45 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. სან ანტონიო-პორტლენდი.
00:55 NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
12:00 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
13:00 სპორტ-NEWS.
13:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.
15:00 კალათბურთი. ევროლიგა. მილანი-პანათინაიკოსი.
17:00 სპორტ-NEWS.
19:30 კალათბურთი. ევროლიგა. კანტუ-ჟალგირისი.
21:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. პეკინი. ჩინეთი.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 28 | (მზე) |
| ქუთაისი | 21 | 35 | (მზე) |
| ბათუმი | 21 | 30 | (მზე) |
| ფოთი | 19 | 31 | (მზე) |
| ზუგდიდი | 19 | 33 | (მზე) |
| გორი | 16 | 29 | (მზე |
| თელავი | 16 | 26 | (მზე) |
| სიღნაღი | 15 | 25 | (მზე) |
| ძოხულეთი | 19 | 30 | (მზე) |
| ბაკურიანი | 12 | 23 | (მზე) |
| ბორჯომი | 12 | 28 | (მზე) |
| მესტია | 9 | 28 | (მზე) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1441 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6548 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6799 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2407 |

● ჩოგბურთი

# ვენუსის პირველი ჰოფმანი

ამერიკელი ჩოგბურთელი **ვენუს უილიამსი** თავის კარიერაში პირველად ითამაშებს ჰოფმანის თასზე, რომელიც შერეული წყვილებისთვის მსოფლიოს არაოფიციალურ პირველობად არის მიჩნეული. 2013 წლის გათამაშებაში ვენუსის პარტნიორი იქნება **ჯონ ისნერი.** სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ერთხელ მოგებული აქვს ეს ტურნირი - 2011 წელს **ბეტანი მატეკთან** ერთად მოიპოვა პირველობა.

ვენუსისგან განსხვავებით, **სერენა უილიამსს** არაერთხელ უთამაშია ჰოფმანის თასზე და ორჯერ მთავარ პრიზს დაეუფლა - **ჯეიმს ბლეიკთან** და **მერდი ფიშთან** დუეტში.

შეგახსენებთ, რომ უფრო ადრე, ჰოფმანის თასზე თამაში დაადასტურეს სერბებმა - **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და **ანა ივანოვიჩმა,** აგრეთვე ავსტრალიელმა **ბერნარდ ტომიჩმა.**

ტურნირი 29 დეკემბერს დაიწყება და 5 იანვარს დამთავრდება.

**გვერდი მოამზადა გია თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

# ვერცხლისფერი სან ანტონიო

როგორც ამერიკული პრესა წერს, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის 38 წლის გამთამაშებელი **დერეკ ფიშერი** „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" სანვრთნელ ცენტრში კლუბის ახალწვეულთან **სტივ ნეშთან** ერთად ვარჯიშობს.

ფიშერი, შესაძლოა, დაბრუნდეს „ლეიკერსში", ოღონდ ეს მარტამდე არ მოხდება. კალათბურთელი ამტკიცებს, რომ უბრალოდ ვარჯიშობს თავის ყოფილ გუნდთან.

გასულ სეზონში ფიშერმა მხოლოდ 20 მატჩი ჩაატარა „ოკლაჰომა-სიტის" რიგებში და საშუალოდ 4.9 ქულა და 1.4 შედეგიანი პასი დააგროვა.

■ ■ ■

„სან ანტონიო სპურსი" ახალ სეზონში გულშემატკივრების წინაშე ახალი სათამაშო ფორმით წარსდგება: კლუბმა მაისურის ახალი დიზაინი და შეფერილობა გუშინ წარადგინა. როგორც ცნობილია, აქამდე „სპურსი" თეთრი ან შავი ფერის ფორმით თამაშობდა, მესამე ვარიანტი კი ვერცხლისფერშია გადაწყვეტილი.

უკვე ცნობილია, რომ „სან ანტონიო" ახალი სეზონის გახსნის მატჩს „ოკლაჰომას" წინააღმდეგ სწორედ ახალი ფორმით ჩაატარებს.

■ ■ ■

უახლოესი დღეების განმავლობაში, „ბოსტონ სელტიქსმა", შესაძლოა, სერბი ცენტრი **დარკო მილიჩიჩი** გაიფორმოს. როგორც სააგენტო AP წერს, „სელტიქსის" ხელმძღვანელობა მზად არის სერბ კალათბურთელს სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზოს, რომლის საერთო ღირებულება 6 მილიონი დოლარი იქნება.

უფრო ადრე, მილიჩიჩს მადრიდის „რეალი" ეპატიჟებოდა, მაგრამ 2003 წლის დრაფტის მეორე ნომერს არ სურს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დატოვება.

მილიჩიჩმა 2011-12 წლების სეზონი „მინესოტაში" გაატარა და ამ გუნდს 4.6 ქულითა და 3.3 მოხსნით დაეხმარა.

ჩოგბურთი

# ნოვაკი და ბავშვები


ჯოკოვიჩმა ბავშვები გაართო

მსოფლიოს მეორე ჩოგანი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** UNICEF-ის საქველმოქმედო პროგრამის ფარგლებში სერბეთის ქალაქ ლეშნიცაში ბავშვთა სახლს ეწვია. ეს პროგრამა მოწოდებულია, ყურადღება მიაქციოს განათლების პრობლემებს. ჩოგბურთელმა რამდენიმე საათი გაატარა ბავშვებთან, გაესაუბრა მათ მშობლებსა და მასწავლებელს, აგრეთვე მცირე ზომის კორტზე მინი-ჩოგბურთი ითამაშა.

„დღეს მე ვნახე, რომ ეს განსაკუთრებული საბავშვო ბაღია, რომელშიც ბავშვებს ასწავლიან კრეატიულად აზროვნებასა და გუნდურ მუშაობას. აქ მათ შეუძლიათ საკუთარი ფანტაზიის გამოყენება. კარგ საბავშვო ბაღში შესაძლებელია ბავშვებს შევუქმნათ კარგი პლატფორმა ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასასვლელად. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ იმაზე, რომ ბავშვებმა შეძლონ თავიანთი ნიჭის განვითარება და მიეჩვიონ ბარიერების დაძლევას, რომელიც მათ ცხოვრების გზაზე შეხვდებათ", - მოჰყავს ჯოკოვიჩის სიტყვები ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდს.

უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საბავშვო ბაღი ნაწილობრივ ნოვაკის საქველმოქმედო ფონდის მიერ ფინანსდება.

ავტოსპორტი

# ფაბრეგასმა როსბერგთან წააგო

გერმანულმა კომპანია „პუმამ" რამდენიმე ხნის წინ საინტერესო პროგრამა დაიწყო: სპორტის სხვადასხვა სახეობის ვარსკვლავები საკუთარ შესაძლებლობებს სცდიან საჯინიბო „მერსედესის" სარბოლო სიმულატორზე. ამჯერად, ფორმულა 1-ის პილოტის რანგში თავი მოსინჯა „ბარსელონას" ფეხბურთელმა **სესკ ფაბრეგასმა**.

მის მწვრთნელად „მერსედესის" პილოტი **ნიკო როსბერგი** გამოვიდა. სწორედ მან გაიარა სიმულატორზე მონცას ტრასა და ესპანელს ორიენტირი დაუწესა - 1.21,05. ფაბრეგასმა თავის საუკეთესო ცდაზე მხოლოდ 1.30,08 აჩვენა. თუმცა ამ დროით სესკმა პირველი ადგილი დაიკავა „მერსედესის" წინა სტუმრებს შორის.

მაგრამ ფაბრეგასის შედეგი დიდი ხანი არ დარჩენილა ძალაში. მეორე დღეს სიმულატორის საჭეს მიუჯდა კრიკეტის ბრიტანელი მოთამაშე **კრეგ კისვეტერი**, რომელმაც თითქმის შვიდი წამით გააუმჯობესა ესპანელი ფეხბურთელის შედეგი - 1.24,10.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ფორტუნა Fortuna

აიღეთ ფორტუნა ბარათი!
გახდით იღბლიანი 77-ე და
თქვენს ფორტუნა ანგარიშზე
ჩაგერიცხებათ
77 ლარი!

გაიგეთ მეტი: fortuna.emoney.ge




შეავსეთ თქვენი ბალანსი ონლაინ სათამაშო
პორტალებზე და გამოიტანეთ თანხა მარტივად!

დარეგისტრირდით უფასოდ ან მიიღეთ ფორტუნა ბარათი
ლიბერთი ბანკის ფილიალებში დღესვე!

fortunacard.ge fortuna.emoney.ge 255 55 00



ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:35

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**